186
1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1992 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20194

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1992 წ.

34. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დროებითი დებულებისა და სტრუქტურის შესახებ.

35. საქართველოს რესპუბლიკაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის პირველი ეტაპის შესახებ.

36. საქართველოს რესპუბლიკის სათბობ ენერგეტიკულ კომპლექსში შემავალი დარგების მართვის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.

37. მშენებლობის სამმართველო „კავგვირაბმშენის" რეორგანიზაციის შესახებ.

38. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურაში მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენის შესახებ.

39. საქართველოს რესპუბლიკაში სატრანსპორტო მომსახურების რეგულირებისა და ლიცენზირების დროებითი დებულების შესახებ.

40. საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების ღონისძიებებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 და 6 თებერვლის № 128 დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

41. „აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ფუნქციონირებული სახელმწიფო ვაჭრობის ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე" აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის № 255 დადგენილების შესახებ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

42. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო და კავშირო რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის ორგანოების იურისდიქციაში გადაცემისა და ამ ორგანიზაციების ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფის შესახებ.
43. ქალაქ სოხუმის საბაჟოს საგუშაგოების შექმნის შესახებ.
44. მუდმივმოქმედი სამთავრობო ორგანიზაცია „სამაშველო სამსახურთა საკოორდინაციო ცენტრის“ შექმნის შესახებ.
45. გამოგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
46. სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
47. სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
48. საქართველოს მწერალთა კავშირის თარგმნის საგამომცემლო ცენტრის საკითხების შესახებ
49. რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქმეოლითის“ შექმნის შესახებ.
50. საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.
51. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შექმნის შესახებ.
52. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის შექმნის შესახებ.
53. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს შექმნის თაობაზე.
54. ცალკეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის დროებითი წესის შესახებ.
55. საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.
56. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
57. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.
58. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დროებითი დებულების შესახებ.
59. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს შესახებ.
60. თბილისის უმაღლესი კომერციული კოლეჯის ბაზაზე თბილისის კომერციის ინსტიტუტის შესახებ.
61. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნის „საქყოფსერვისის“ გაუქმების შესახებ.
62. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში (ქალაქებში) სოფლის მეურნეობის სამმართველოებისა და განყოფილებების შექმნის შესახებ.
63. თბილისის მეტროპოლიტენით სარგებლობის ახალი ტარიფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. მსჯავრდადებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე.
65. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საფელდეგერო სამსახურის შესახებ.
66. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის შექმნის შესახებ.
67. ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსთან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობის გაუქმების შესახებ.
68. საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში და მასში შემავალ ორგანიზაციებში საქართველოს რესპუბლიკის წევრად მიღების შესახებ.
69. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დროებითი დებულების შესახებ.
70. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დებულების შესახებ.
71. სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენის“ წესდების დამტკიცების შესახებ.
72. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კათედრების შექმნის შესახებ.
73. საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 24 ივლისის № 584 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
74. სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ი. გ. გვერდწითელის სახელის მიკუთვნების შესახებ.
75 რესპუბლიკური გაერთიანება „საქხილბოსტანვაჭრობის“ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.
76. საქართველოს რესპუბლიკის სწავლულ ექსპერტთა საბჭოს შექმნისა და საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ.
77. საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო კომერციული ბანკის „საქექსიმბანკის“ შექმნის შესახებ.
78. „მოსახლეობის დასაქმების სოციალური გარანტიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 10 ივნისის № 474 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
79. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.
80. საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
81. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს დებულების შესახებ.
82. მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების პროექტის შედგენის, მისი ადგილზე გამიჯვნისა და სახელმწიფო აქტების გადასაცემად მასალების მომზადების ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.
83. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტისათვის პროფესორ მ. ზ. ნოდიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

84. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით დროებით ღონისძიებათა შესახებ.

85. საქართველოს რესპუბლიკაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების დამზადების შესახებ.

86. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების კუთვნილი ობიექტებისა და სამხედრო ქონების შეძენის შესახებ.

87. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ბეგარის მოსახდელად წვევამდელთა გაწვევის შესახებ.

88. საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსათვის მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდების შესაქმნელად ახალი ნორმატივების დაწესების შესახებ.

89. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტისაგან კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტის გამოყოფის შესახებ.

90. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული არასაცხოვრებელი ფართობის გაცემის წესის შესახებ.

91. სახელმწიფო საწარმო — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენის“ წესდების დამტკიცების შესახებ.

92. რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში კულტმასობრივი, აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის რეორგანიზაციის შესახებ.

93. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ.

94. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის კურსების რეორგანიზაციის შესახებ.

95. სახელწოდებების „კოლმეურნეობისა“ და „საბჭოთა მეურნეობის“ შეცვლის შესახებ.

96. საქართველოს რესპუბლიკაში ფასების ლიბერალიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

97. საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის შესახებ.

98. ელექტროენერგიის ტარიფების მოწესრიგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34 საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დროებითი დებულებისა და სტრუქტურის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს თანდართული დროებითი დებულება და სტრუქტურა.

2. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ზღვრული რიცხოვნობა 260 ერთეულით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში შემოღებულ იქნეს მინისტრის მოადგილის 6 თანამდებობა, მათ შორის ერთი პირველი მოადგილისა.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 488 დადგენილება „საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 7 სექტემბრის № 618 დადგენილება „საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 488 დადგენილების მე-4 პუნქტის დაზუსტების თაობაზე“;

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 31 იანვრის № 102 დადგენილების მე-2 და მე-5 პუნქტები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 3 მარტი, № 256

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 3 მარტის
№ 256 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს
დროებითი დებულება

I. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“) არის რესპუბლიკის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის საქართველოს რესპუბლიკის ფინანსური და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების და სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლის საკითხები. სამინისტრო ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ფულადი რესურსების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენებისათვის და თავის კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის.

1.2. სამინისტრო კოორდინაციას უწევს რესპუბლიკაში აუცილებელი ფინანსური ბაზის შექმნის სამუშაოებს. საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რესპუბლიკის ყოველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების საკუთარი შემოსავლებით დაბალანსების წინადადებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ბიუჯეტების დამოუკიდებლობას და გამორიცხავენ ზემდგომი ორგანოებიდან შემოსავლების მიღების მოიმედეობას.

სამინისტრო ადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, შეიმუშავებს წინადადებებს ამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სტაბილურობის განმტკიცებისათვის, სახელმწიფოს ფულადი რესურსების რაციონალური და ეკონომიური გამოყენებისათვის.

სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების სამუშაოთა კოორდინაციას. რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალში მობილიზებული ფულადი სახსრების ფარგლებში ახორციელებს საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისა და იმ ღონისძიებათა ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას, რაც მიიმართება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობისა და სოციალური სფეროს დინამიურ და კომპლექსურ განვითარებაზე, აგრეთვე სხვა ღონისძიებებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ფინანსირდება.

სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკისა და ცალკეული დარგების ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანსური გაჯანსაღების, მათი რენტაბელობისა და მოგების გადიდების ღონისძიებების განხორციელებაში საბაზრო ურთიერთობებისა და კერძო მეწარმეობის ფართო განვითარების საფუძველზე.

1.3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საფინანსო სამსახურები და სხვა დაქვემდებარებული ორგანიზაცია-დაწესებულებანი შეადგენენ სამინისტროს ერთიან სისტემას.

1.4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შემადგენლობაში არსებული საფინანსო სამსახურები იმყოფება აგრეთვე სამინისტროს დაქვემდებარებაში.

1.5. სამინისტრო ავტონომიურ რესპუბლიკებში საფინანსო ორგანოების საქმიანობაზე ხელმძღვანელობას ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების მეშვეობით.

2. სამინისტროს ამოცანები

სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

2.1. საბიუჯეტო და საგადასახადო კანონპროექტების შემუშავება, რომლებიც წაახალისებს კერძო მეწარმეობას, კოოპერატივებს, საზოგადოებებსა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას მოსახლეობისათვის საჭირო სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების უზრუნველსაყოფად და სასაქონლო დეფიციტის შესავსებად საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

2.2. ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ეროვნული შემოსავლის, მოგებისა და სხვა საფინანსო რესურსების, მატერიალური და სამობილიზაციო რეზერვების გასადიდებლად, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროს სამეურნეო ანგარიშიანობის გასაღრმავებლად, მისი განვითარების სოციალური მიმართულების გასაძლიერებლად, საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების სამეურნეო მექანიზმის სხვა ელემენტებთან კავშირის გასამტკიცებლად;

2.3. იზრუნოს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის დაგროვებასა და მის შემდგომ ზრდაზე რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის განმტკიცებისა და განვითარებისათვის;

2.4. დააწესოს კონტროლი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძვირფასი ლითონების და ქვების დამუშავებასა და გამოყენებაზე;

2.5. კონცენტრაცია გაუკეთოს სახელმწიფო საფინანსო რესურსებს საზოგადოებრივი წარმოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპლექსის პრიორიტეტული მიმართულებების გასავითარებლად და დასაფინანსებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური განვითარების დასაჩქარებლად, აგრეთვე აუცილებელი სახელმწიფო ფინანსური რეზერვების შესაქმნელად;

2.6. სრულყოს ფინანსების მართვის სისტემა გამომდინარე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებიდან, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

2.7. შეიმუშაოს წინადადებანი სახელმწიფოსთან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების ფორმების სრულყოფისა და ფინანსური რესურსების ზრდის უზრუნველსაყოფად;

2.8. უზრუნველყოს ბიუჯეტით გათვალისწინებულ იმ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს რესპუბლიკის დარგთა კომპლექსისა და სოციალური სფეროს დარგების განვითარებას, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას;

2.9. საგარეო ეკონომიკური საქმიანობისადმი ხელშეწყობა საქართველოს რესპუბლიკის მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ჩართვისა და ეფექტური მონაწილეობის მიზნით.

3. სამინისტროს ძირითადი ფუნქციები

3.1. სამინისტრო ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას და კოორდინაციას უწევს ფინანსების სფეროში მართვის სხვადასხვა დონის ორგანოთა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

3.2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში ადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო (რესპუბლიკური) ბიუჯეტის პროექტებს და წარუდგენს მას განსახილველად. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვაში (პროგნოზირებაში) მონაწილეობას ღებულობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია.

3.3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან ერთად უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის განწერას, ასრულებს რესპუბლიკურ ბიუჯეტს და ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვის უზრუნველსაყოფად, დადგენილი წესით ახორციელებს რესპუბლიკური ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებას ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებთან, აგრეთვე შეაქვს ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა შემოსავალ-გასავლის ბალანსების (საფინანსო გეგმების) და ხარჯთაღრიცხვების ცალკეულ მუხლებში. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია სამინისტროს ყოველთვიურად უდგენს ანგარიშებს სახელმწიფო (რესპუბლიკური) ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ.

3.4. სამინისტრო ახორციელებს კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.5. ადგენს კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და წარუდგენს მას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

3.6. შეიმუშავებს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების წესს, ამუშავებს და ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის კლასიფიკაციას.

3.7. შეიმუშავებს ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების აღრიცხვის წესს.

3.8. შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს დარგთა კომპლექსისა და სოციალურ-კულტურული თუ სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლების, ამ მიზნებისათვის ხარჯების ნორმირების სრულყოფისა და შიდასამეურნეო რესურსების გამოვლენისათვის.

3.9. აკონტროლებს და აანალიზებს დარგთა კომპლექსისა და რეგიონთა ფინანსურ მდგომარეობას და ახდენს სათანადო რეაგირებას.

3.10. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობს ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირების საქმეში.

3.11. განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და უწყებების ანგარიშებს, აანალიზებს მათ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს მოთხოვნებს მათ საფინანსო საქმიანობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში მოახსენებს ამის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

3.12. საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით შეიმუშავებს წინადადებებს ფასწარმოქმნის სრულყოფის თაობაზე.

3.13. შეისწავლის ფულის მიმოქცევის მდგომარეობას და შეიმუშავებს წინადადებებს მისი გაუმჯობესების, სახელმწიფო შინაგანი სესხების გავრცელების, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და გავრცელების შესახებ ორგანიზაციას უწევს ფულისა და ნივთების ლატარიის ტირაჟების ჩატარებას, მონაწილეობს მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის წლიური და პერსპექტიული ბალანსების შემუშავებაში და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას.

3.14. მონაწილეობს ქართული ფულის ერთეულის შემუშავებასა და შემოღებაში.

3.15. ატარებს ეკონომიკურ და ანალიზურ მუშაობას სამმართველო აპარატის სრულყოფისათვის, ახორციელებს კონტროლს მმართველობის აპარატის შენახვის სახსრების სწორად და ეკონომიკურად ხარჯვისადმი. შეიმუშავებს წინადადებებს სამმართველო აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მისი შენახვის გაიაფების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.16. სახელმწიფო ფინანსების განმტკიცების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ოპტიმალური ფინანსური პირობების უზრუნველყოფის, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე შეიმუშავებს ღონისძიებებს რესპუბლიკაში საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისათვის.

3.17. შეიმუშავებს მეთოდურ მითითებებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ, უწევს მეთოდურ ხელმძღვანელობას და ახორციელებს კონტროლს სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების (საკუთრების ფორმების მიუხედავად) საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმიანობაზე. ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ბიუჯეტის შესრულების თაობაზე ანგარიშგების, საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების შედგენის წესს და ამტკიცებს აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმებს.

3.18. ხელს უწყობს წარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშების შემუშავებისა და გამოქვეყნების პრაქტიკას, გამომდინარე საერთაშორისო სტანდარტებიდან.

3.19. საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის საფინანსო სისტემაში ატარებს საკადრო პოლიტიკას, ახდენს კადრების შერჩევას და განაწილებას. ახორციელებს ღონისძიებებს მათი მომზადებისა და გადამზადებისათვის.

3.20. განიხილავს საქართველოსა და უცხოეთის ორგანიზაციების, ფირმებისა და მმართველობის ორგანოების მონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საერთაშორისო გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და ერთობლივი საწარმოების შექმნის საკითხებს და თავის დასკვნებს გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას, რომელიც ახორციელებს ერთობლივი საწარმოების რეგისტრაციას.

3.21. სამინისტროს ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ახორციელებენ პატენტებისა და სარეგისტრაციო მოწმობების გაცემას ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ მოქალაქეებზე, რის შესახებაც აცნობებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს.

4. სამინისტროს უფლებამოსილებანი

სამინისტრო უფლებამოსილია:

4.1. მიიღოს სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესადგენად ფაქტიური შესრულების ამსახველი მონაცემები, სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგებანი, ბალანსები, ხოლო საკრედიტო ორგანიზაციებისაგან — ცნობები დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშების მდგომარეობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს უფლება აქვს ცალკეული საკითხების განხილვისა და დამუშავებისათვის მოიწვიოს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები და სპეციალისტები ან მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია;

4.2. შეზღუდოს, ხოლო საჭიროების კვალობაზე შეაჩეროს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა მათ მიერ სახსრების უკანონოდ ხარჯვის ან ადრე გაცემული სახსრების ხარჯვაზე ანგარიშებისა თუ სხვა დაწესებული ანგარიშგების წარუდგენლობის ფაქტები. ამასთან, აცნობოს ამის შესახებ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს;

4.3. ჩაატაროს თემატური შემოწმებები საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორეზე;

4.4. მონაწილეობა მიიღოს პროდუქციაზე, საქონელზე და წარმოებისა და მოსახლეობისათვის გაწეულ მომსახურებაზე რეგულირებადი ფასებისა და ტარიფების განხილვასა და დამტკიცებაში;

4.5. განახორციელოს კონტროლი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დროულად და სწორად განხილვისადმი, შეიტანოს წინადადებანი ანგარიშებსა და ბალანსებში საჭირო შესწორებების შესახებ და შეამოწმოს ამ წინადადებათა განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები;

4.6. ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე — დაინტერესებული სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებებისა და ორგანიზაციების (საკუთრების ფორმების მიუხედავად), სამეცნიერო დაწესებულებებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4.7. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ფინანსთა სამინისტროს ენიჭება სხვა უფლებებიც, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობიდან.

5. მუშაობის ორგანიზაცია

5.1. სამინისტროს ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. ფუნქციებს მინისტრის მოადგილეებს შორის ანაწილებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი.

5.2. სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები (თანამდებობის შესაბამისად), აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

5.3. მინისტრს აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროს ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის. იგი განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეების, მთავარი სამმართველოების, სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების უფროსების პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის შესაბამისი დარგების მიმართ.

5.4. მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებს, მეთოდურ მითითებებს. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გასცემს ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საფინანსო ორგანოების, სამინისტროს სისტემის სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და ახდენს მათი შესრულების შემოწმების ორგანიზაციას.

საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღებულობს კოლეგიის ერთობლივ გადაწყვეტილებებს, გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

5.5. სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე იხილავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესადგენად და შესასრულებლად მუშაობის ორგანიზაციის, სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, დავალებათა შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და სხვა საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებულებების, წესებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა მინისტრების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საფინანსო სამსახურების, სამმართველოების, განყოფილებებისა და საქვეუწყებო ორგანიზაციათა დაწესებულებათა ანგარიშებს. კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ფორმდება მინისტრის ბრძანებით ან კოლეგიის დადგენილებით. მინისტრსა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან მოახსენებს წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს. თავის მხრივ, კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ საკუთარი აზრი აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

5.6. სამინისტროს დებულებას, ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა საერთო რიცხოვნობას და მათ შესანახ ხარჯებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ სამინისტროსათვის დამტკიცებულ სტრუქტურაში საჭიროების შემთხვევაში შეაქვს სათანადო ცვლილებები, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს მინისტრი, ხოლო დებულებებს სამინისტროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა სამსახურების თაობაზე ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგია.

5.7. სამინისტროს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიშები ბანკებში, თავისი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს ღერბი და სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 3 მარტის
№ 256 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის დროებითი სტრუქტურა

— ხელმძღვანელობა
— მთავარი საბიუჯეტო სამმართველო
— საფინანსო მექანიზმის სრულყოფის, ფასებისა და ფულის მიმოქცევის სამმართველო
— სახელმწიფო შემოსავლების ნორმატიული აქტების შემუშავების, შემოსავლების დაგეგმვისა და შესრულების ანალიზის სამმართველო
— მრეწველობისა და მშენებლობის დაფინანსების სამმართველო
— აგროსამრეწველო კომპლექსისა და ეკოლოგიის ღონისძიებათა დაფინანსების სამმართველო
— ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაფინანსების სამმართველო
— სოციალური ინფრასტრუქტურისა და მეცნიერების ხარჯების ნორმირებისა და დაფინანსების მთავარი სამმართველო
— სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების დაფინანსების სამმართველო
— თავდაცვის, სამართალდამცველი ორგანოებისა და მატერიალური რესურსების დაფინანსების სამმართველო
— საგარეო ეკონომიკურ და სავალუტო ურთიერთობათა სამმართველო
— ინფორმაციისა და ანალიზის სამმართველო
— ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო
— კადრებისა და კადრების მომზადების სამმართველო
— იურიდიული განყოფილება
— ცენტრალური ბუღალტერია
— საქმეთა მმართველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 3 მარტის
№ 256 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა

— თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი
— სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია
— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ფასეულობათა განძსაცავი
— კაპიტალური მშენებლობისა და სამეურნეო ორგანიზაციების სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 საქართველოს რესპუბლიკაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის პირველი ეტაპის შესახებ

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების, საშინაო ბაზრის სტაბილიზაციისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. უფლება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა საწარმოს, სამეურნეო ამხანაგობას, საზოგადოებას და სხვა ორგანიზაციას, საკუთრების ფორმის მიუხედავად, სპეციალური რეგისტრაციის გარეშე განახორციელოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის საშუამავლო ოპერაციები.

2. ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ბანკებს, რომლებსაც აქვთ სავალუტო ოპერაციების განხორციელების უფლება, გაუხსნან სავალუტო ანგარიშები ნებისმიერ საწარმოს, სამეურნეო ამხანაგობას და სხვა ორგანიზაციას, აგრეთვე ყველა ფიზიკურ პირს, რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

იურიდიული და ფიზიკური პირის ანგარიშზე არსებული ვალუტა გაიცეს მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი შეზღუდვისა და დამატებითი ნებართვის გარეშე.

3. უფლება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აწარმოონ რწმუნებული ბანკების მეშვეობით სავალუტო ოპერაციები, მათ შორის ნაღდი ვალუტის შესყიდვა-გაყიდვა.

4. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 11 ნოემბრის № 849 დადგენილებით გათვალისწინებული გადასახადი (სარეექსპორტო საქონლის ღირებულების 15 პროცენტი) რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბაჟოების გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისა და რეექსპორტის განხორციელებისათვის.

5. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 28 ნოემბრის № 900 დადგენილებით გათვალისწინებული გადასახადი (უცხოური ვალუტით ხუთი ათასი აშშ დოლარის ოდენობით) ერთობლივი საწარმოებისა და მათი ფილიალების რეგისტრაციაში გასატარებლად.

6. გაუქმდეს სახელმწიფო გადასახადი საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) იმპორტისათვის. ამასთან, საიმპორტო ოპერაციების ჩატარებისას შენარჩუნებულ იქნეს საბაჟო გადასახადების ამოღების არსებული წესი.

7. რესპუბლიკის სავალუტო ფონდის ფორმირების მიზნით დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების სავალუტო შემოსავლის ნაწილის რესპუბლიკის ბიუჯეტში გადარიცხვისა და სახელმწიფოსათვის ვალუტის მიყიდვის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. შენარჩუნებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვალუტით საცალო ვაჭრობისა და მომსახურების წესი უცხოური ვალუტით ანგარიშსწორების ახალი წესის შემოღებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 5 მარტი, № 259

36 საქართველოს რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შემავალი დარგების მართვის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შემავალი დარგების მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაციის, მისი ეფექტიანობის გაზრდის და სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო და გაერთიანდნენ მასში რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შემავალი ორგანიზაციები მათი ქვედანაყოფებითურთ, რომლებიც ადრე შედიოდნენ ყოფილი სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 16 აგვისტოს № 680 დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და სტრუქტურის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 აპრილის № 254 დადგენილების № 2 დანართიდან ამოღებულ იქნეს გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენი“, ტრესტი „კავკასელექტროქსელმშენი“, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „თბილჰიდროპროექტი“.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 29 მაისის № 444 დადგენილების № 4 დანართიდან ამოღებულ იქნეს ნავთობისა და გაზის მრეწველობის, ნახშირის მრეწველობის დარგების საწარმოები და ორგანიზაციები.

5. საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი ელექტროენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული საწარმოო-საექსპლუატაციო გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაცია“ გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოდ „საქმთავარენერგო“.

6. დაინიშნოს იური ესტატეს ძე ჰედია საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს „საქმთავარენერგოს“ უფროსად.

20139
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრომ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად სამინისტროს სტრუქტურა და დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 მარტი, № 273

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის
№ 273 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

ორგანიზაციებისა, რომლებიც გაერთიანდებიან საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროში

ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველო „საქმთავარენერგო“
სამშენებლო-საწარმოო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენი“
ტრესტი „კავკასელექტროქსელმშენი“
ინსტიტუტი „თბილჰიდროპროექტი“
ინსტიტუტი „თბილენერგოქსელპროექტი“
ინსტიტუტი „ორგენერგომშენი“
საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო-სარემონტო ტრესტი
სამშენებლო ტრესტი „საქელექტროქსელმშენი“
ლითონკონსტრუქციების ქარხანა
საწარმოო-სავაჭრო გაერთიანება
ქალაქ თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველო („თელასი“)
ქალაქ რუსთავის ელექტრონაგებობათა სამმართველო
ქალაქ ქუთაისის ელექტრონაგებობათა სამმართველო
ქალაქ ფოთის ელექტრონაგებობათა სამმართველო
სახელმწიფო კონცერნი „საქგაზი“
სახელმწიფო კონცერნი „საქნავთობპროდუქტი“
საწარმოო გაერთიანება „ბათიმპექსი“
საწარმოო გაერთიანება „საქნავთობი“
ტრესტი „საქნავთობგეოფიზიკა“
ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის საქართველოს კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო განყოფილება
საქართველოს მაგისტრალური ნავთობსადენების სამმართველო
საწარმოო გაერთიანება „საქნახშირი“
საპროექტო ინსტიტუტი „საქშახტპროექტი“
საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი“
ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა
ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებული სადისპეტჩერო სამმართველო
საქართველოს გაზის ზედამხედველობის ტერიტორიული ინსპექცია
სამმართველო „საქბურღგეოთერმია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი
ტრესტ „კავკასენერგომონტაჟის“ საქართველოს სამონტაჟო სამმართველო
ტრესტ „სპეცჰიდროენერგომონტაჟის“ ამიერკავკასიის სამმართველო
სრულიად საკავშირო გაერთიანება „ჰიდროსპეცმშენის“ ენგურის
სპეციალიზებული სამმართველო

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

37 მშენებლობის სამმართველო „კავგვირაბმშენის“ რეორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ“ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად და მშენებლობის სამმართველო „კავგვირაბმშენის“ სამეურნეო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას მშენებლობის სამმართველო „კავგვირაბმშენი“ 1992 წლის 1 მარტიდან დამოუკიდებელ სახელმწიფო საწარმოდ — ფირმა „საქგვირაბმშენად“.

2. ფირმა „საქგვირაბმშენმა“ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებული თავისი წესდება.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა განიხილოს და გადაწყვიტოს ფირმა „საქგვირაბმშენის“ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის საკითხი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 მარტი, № 277

ეროვნული ბიბლიოთეკა

38 საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურაში მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თხოვნა, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან, და საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების უზრუნველსაყოფად:

1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის პრობლემური ლაბორატორიისა და ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის ბაზაზე აღდგეს ამ უნივერსიტეტის სტრუქტურაში მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

2. მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაფინანსდეს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი გ. ბერიძე

ქ. თბილისი. 1992 წ. 7 მარტი, № 278

ეროვნული ბიბლიოთეკა

39 საქართველოს რესპუბლიკაში სატრანსპორტო მომსახურების რეგულირებისა და ლიცენზირების დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების, რესპუბლიკის სატრანსპორტო ბაზრის რეგულირების უზრუნველყოფის, სატრანსპორტო საწარმოთა მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების განუხრელი შესრულების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკაში სატრანსპორტო მომსახურების რეგულირებისა და ლიცენზირების თანდართული დროებითი დებულება.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დარგების მიხედვით (რკინიგზა, ავიაცია, საზღვაო, საავტომობილო, სპეცტრანსი) დროებითი დებულების გამოყენების ინსტრუქციები.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს:

— გასცეს სატრანსპორტო საქმიანობისა და მომსახურების ლიცენზიები ტრანსპორტის მფლობელ სამინისტროებზე, უწყებებზე, საწარმოებზე, დაწესებულებებზე, კოოპერატივებსა და მეწარმეებზე;

— დააწესოს სახელმწიფო კონტროლი ტრანსპორტის მფლობელთა მიერ სატრანსპორტო კომპლექსში შემავალ სამუშაოთა შესრულებისას სატრანსპორტო კანონმდებლობის, სხვა კანონქვემდებარე აქტების, ინსტრუქციების, სტანდარტებისა და ნორმების დაცვაზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინოს წინადადებანი ლიცენზირების წესების დარღვევისათვის ჯარიმის სახით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად დაამტკიცოს ლიცენზიების ტარიფები.

6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი ამ დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. შემოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკაში სატრანსპორტო მომსახურების ლიცენზირების სისტემა 1992 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი. 1992 წ. 7 მარტი № 281

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის № 281
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკაში სატრანსპორტო მომსახურების რეგულირებისა და ლიცენზირების დროებითი დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1. ლიცენზირება არის სატრანსპორტო, საექსპედიციო და სერვისული მომსახურების სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მეთოდი. იგი შემოღებულია სახალხო მეურნეობაში სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების მოწესრიგებისათვის, სატრანსპორტო ხარჯების შესამცირებლად, მომხმარებლების დასაცავად სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების მონოპოლიზმისაგან, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებისათვის და ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოების ასამაღლებლად, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების პასუხისმგებლობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, რომლის მაკოორდინირებელი ფუნქცია ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს.

1.2. ლიცენზირების ობიექტს წარმოადგენს:

1.2.1. უფლება ტვირთების გადაზიდვებზე, რომლებიც არ ეკუთვნიან სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს;

1.2.2. უფლება მგზავრების ფასიან გადაყვანაზე;

1.2.3. უფლება კომერციულ საფუძველზე დამყარებულ სატრანსპორტო-საექსპედიციო და სერვისულ მომსახურებაზე;

1.3. ამ დებულებით მოსაწესრიგებელ ურთიერთობათა სუბიექტებს წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ 1.2. პუნქტში მითითებულ საქმიანობას.

1.4. ფასიან ლიცენზირებას არ ექვემდებარება ტრანსპორტის მფლობელების კუთვნილი ტვირთების გადაზიდვა, სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა მოსავლის აღების დროს, საფოსტო გადაზიდვები, გადაზიდვები, რომლებიც ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებებით, გარდა ამ სამინისტროების მიერ წარმოებული კომერციული გადაზიდვებისა, აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ტვირთების გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა.

1.5. ამ დებულებით განსაზღვრული ლიცენზირების წესი სავალდებულოა ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის, რომლებიც ახორციელებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე.

ლიცენზიის გამცემმა ორგანომ ლიცენზირების წესის შეცვლის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელებს უნდა აცნობოს ცვლილებების შესახებ სამოქმედოდ შემოღებამდე არა უგვიანეს სამი თვისა.

2. ლიცენზირების მიზანი

ლიცენზირების ძირითადი მიზანი არის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც უზრუნველყოფს:

2.1. გადამზიდავების მიერ სატრანსპორტო კანონმდებლობის, გადაზიდვების წესების და სხვა ნორმატიული აქტების აღიარების აუცილებლობას;

2.2. სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა ინტერესების დაცვას;

2.3. კონკურენციის ოპტიმალური დონის შექმნას სატრანსპორტო მომსახურებაზე მონოპოლიზმის აუცილებლად;

2.4. სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელთათვის სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე თანაბარი სარგებლობის პირობების შექმნას;

2.5. სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე მოძრავი შემადგენლობის რაოდენობისა და სტრუქტურის რეგულირებას;

2.6. გარემოზე ტრანსპორტის ზემოქმედების მავნე ზეგავლენის შემცირებას;

2.7. ტრანსპორტზე ავარიულობის შემცირებას.

3. ლიცენზიების სახეობანი, რომლებიც გაიცემა რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ

3.1. ლიცენზიები „გტ“ გაიცემა რეგულარულ საქალაქთაშორისო სატვირთო გადაზიდვათა განხორციელებაზე.

3.2. ლიცენზიები „დტ“ გაიცემა რეგულარულ საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვათა განხორციელებაზე.

3.3. ლიცენზიები „ჩტ“ გაიცემა ტვირთების ჩარტერულ გადაზიდვათა განხორციელებაზე.

3.4. ლიცენზიები „ბმ“ გაიცემა მგზავრების რეგულარულ საქალაქთაშორისო გადაყვანის განხორციელებაზე.

3.5. ლიცენზიები „დმ“ გაიცემა მგზავრების რეგულარულ საერთაშორისო გადაყვანის განხორციელებაზე.

3.6. ლიცენზიები „ჩმ“ გაიცემა მგზავრების ჩარტერული წესით გადაყვანის განხორციელებაზე.

3.7. ლიცენზიები „ტმ“ გაიცემა რეგულარულ სატვირთო-სამგზავრო გადაზიდვების განხორციელებაზე.

3.8. ლიცენზიები „სტ“ გაიცემა განსაკუთრებული ტვირთების (სახიფათო, მსხვილგაბარიტიანი, მძიმეწონიანი) გადაზიდვების განხორციელებაზე.

3.9. ლიცენზიები „ტეს“ გაიცემა საერთაშორისო სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.10. ლიცენზიები „სპ“ გაიცემა სატრანსპორტო პერსონალის პროფესიული მომზადებისა და სწავლების განხორციელებაზე.

შენიშვნა: 1. რეგულარულ საქალაქთაშორისო გადაზიდვებს განეკუთვნება გადაზიდვები, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შორის ორზე მეტი რაიონის ტერიტორიის გავლით, დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

2. რეგულარულ საერთაშორისო გადაზიდვებს განეკუთვნება გადაზიდვები, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

3. ჩარტერულ გადაზიდვებს განეკუთვნება გადაზიდვები, რომლებიც ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელსა და დამქირავებელს შორის ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეულ რეისზე ან ვადაში.

4. ლიცენზიების მოქმედების ვადები

ლიცენზიები შეიძლება იყოს ერთჯერადი, სამთვიანი, ერთწლიანი და ხუთწლიანი.

5. ლიცენზიების მაძიებლებისადმი წაყენებული მოთხოვნები

5.1. ლიცენზიატის კუთვნილებაში მყოფი ძირითადი საშუალებანი (მოძრავი შემადგენლობა, მოწყობილობა და სხვ.), რომლებზეც დგება განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე, უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მოქმედების ზონაში ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნებს, უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარიულ და ეკოლოგიურ ნორმებს, იყოს დაზღვეული.

5.2. ლიცენზიატი უნდა იყოს მფლობელი ან განმკარგულებელი სატრანსპორტო საშუალებებისა და მოძრავი შემადგენლობისა, მოწყობილობისათვის ვარგისი შენობების ან სადგომებისა, რომელთა გამოყენება გათვალისწინებულია ლიცენზიის მიღებაზე წარდგენილ განაცხადში.

5.3. ლიცენზიატს უნდა ჰქონდეს ლიცენზიის განაცხადში მოყვანილი საქმიანობის შესატყვისი პროფესიული მომზადება.

5.4. ლიცენზიატი, როგორც იურიდიული ან ფიზიკური პირი, უნდა იყოს გადახდისუნარიანი ანუ თავისი ანგარშსწორების ანგარიშზე მოძრავი შემადგენლობის ყოველ ერთეულზე ჰქონდეს სატრანსპორტო კომპლექსში შემავალ დარგებში ამ დებულების გამოყენების ინსტრუქციებიდან გამომდინარე განსაზღვრული თანხა.

5.5. საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებზე, მგზავრთა გადაყვანასა და სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობაზე ლიცენზიატს წაეყენება დამატებითი მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს კრიმინალურ დანაშაულს, და კომერციული ხასიათის დარღვევებში მისი მონაწილეობის უქონლობას.

5.6. ლიცენზიატი ერთდროულად შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ლიცენზიის მფლობელი.

6. ლიცენზიების გაცემის პირობები და წესები

6.1. ლიცენზიები სატრანსპორტო საქმიანობასა (ტვირთების გადაზიდვაზე, მგზავრების გადაყვანაზე) და საექსპედიციო მომსახურებაზე გაიცემა ლიცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზირების რესპუბლიკური ორგანოს მიერ შემდეგი საბუთების წარდგენის საფუძველზე:

6.1.1. წერილობითი განცხადება-მოვალეობა დადგენილი ნიმუშის მიხედვით;

6.1.2. ცნობა გადახდისუნარიანობის შესახებ;

6.1.3. მოწმობა პროფესიის შესახებ;

6.1.4. საწარმოს პასპორტი;

6.1.5. განცხადებაში აღნიშნული საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო ძირითად საშუალებებზე მფლობელის ან განმკარგულებლის უფლებისა და მათი ტექნიკური ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის დამადასტურებელი საბუთები (ტექნიკური პასპორტი, რეგისტრი და სხვ.).

6.2. საბუთების ფორმა, მათი შინაარსი, ლიცენზირების განაცხადების წარდგენისა და მათი გაცემის წესები სატრანსპორტო კომპლექსში შემავალი თითოეული დარგისათვის განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკაში სატრანსპორტო მომსახურების რეგულირებისა და ლიცენზირების შესახებ დროებითი დებულების გამოყენების ინსტრუქციების შესაბამისად.

6.3. გაცემულ ლიცენზიაში მითითებული უნდა იყოს ნიხრის სახეობა (სახელმწიფო, სახელშეკრულებო, თავისუფალი), რომლის მიხედვითაც ლიცენზიის მფლობელი გაუწევს მომსახურებას მომხმარებელს.

7. ლიცენზიათა მფლობელების უფლება-მოვალეობანი

7.1. ლიცენზიის მფლობელი მოვალეა:

7.1.1. უზრუნველყოს მოძრავი შემადგენლობის და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის წესები, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემო პირობების დაცვის მოთხოვნები;

7.1.2. შეასრულოს ტვირთის გადაზიდვის და მგზავრთა გადაყვანის წესები, აგრეთვე ტრანსპორტზე მოქმედი ინსტრუქციების მოთხოვნები;

7.1.3. შეასრულოს ლიცენზიაში აღნიშნული საწარმოო საქმიანობის (მომსახურების) მოცულობები, შემკვეთთან შეთანხმებული მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად;

7.1.4. მუშაკთა სამუშაოზე მიღებისას დაიცვას მათი პროფესიული შესატყვისობის მოთხოვნები;

7.1.5. აცნობოს შემკვეთებს მომსახურების ნიხრების შესახებ, ხოლო ხელშეკრულებითი და თავისუფალი ნიხრებით მუშაობისას — მათი ცვლილებების შესახებ;

7.1.6. წარუდგინოს ლიცენზირების ორგანოს საჭირო ინფორმაცია ლიცენზიებისა და მათი გამოყენების შესახებ ამ ორგანოს მიერ დაწესებული მონაცემების ფარგლებში.

7.2. ლიცენზიის მფლობელს ეკრძალება:

7.2.1. გადასცეს ლიცენზია სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს;

7.2.2. განახორციელოს ლიცენზიით გაუთვალისწინებელი ნიხრით მომსახურება და კომერციული სატრანსპორტო საქმიანობა;

7.2.3. განახორციელოს ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა ლიცენზიაში გაუთვალისწინებელი სატრანსპორტო საშუალებებით ან ტრანსპორტით, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ექსპლუატაციისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს;

7.2.4. აწარმოოს არასანქციონირებული კონსტრუქციული ცვლილებანი ლიცენზიაში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე ლიცენზიის გამცემთან შეთანხმების გარეშე.

7.3. ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს შეცვალოს ლიცენზიის დანართში შეტანილი სატრანსპორტო საშუალება სხვაზე, მისი კლასის, ტვირთამწეობის, სტანდარტებისა და სხვა ნორმატიული მოთხოვნების გათვალისწინებით ტექნიკური პირობების, გადაზიდვების ნიხრების, მგზავრთა გადაყვანის, ტვირთების გადაზიდვის პირობების, სატრანსპორტო ოპერაციების დროის შეუცვლელად. ამ ცვლილებათა შესახებ ლიცენზიატი ვალდებულია შეატყობინოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს.

7.4. სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობის შემთხვევაში მფლობელი ვალდებულია აიღოს ახალი ლიცენზია.

8. აღრიცხვიანობა და საინფორმაციო უზრუნველყოფა

8.1. სალიცენზიო ბლანკები და სატრანსპორტო ბარათები წარმოადგენენ მკაცრი აღრიცხვის საბუთებს, იგი მზადდება სტამბური წესით, სააღრიცხვო სერიითა და სასტამბო ნომრით.

9. ლიცენზირების ობიექტების პასპორტიზაცია

9.1. ლიცენზიების გამცემ ორგანოს ლიცენზიის გაცემისას წარედგინება სალიცენზიო ობიექტის პასპორტი, დგინდება ლიცენზიატის საწარმოო-ტექნიკური და გადაზიდვების შესაძლებლობანი, მოძრავი შემადგენლობისა და საწარმოო ბაზის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, აგრეთვე შეთავაზებული მომსახურების შესატყვისობა ამ რეგიონის შემკვეთთა მოთხოვნილებებთან.

9.2. ლიცენზირების ობიექტების პასპორტიზაცია ხდება სატრანსპორტო კომპლექსში შემავალი დარგების სათანადო ინსტრუქციების მიხედვით.

10. სალიცენზიო გადასახადი

10.1. ლიცენზიები სატვირთო გადაზიდვებზე, მგზავრთა გადაყვანაზე, სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობასა და სერვისულ მომსახურებაზე არის ფასიანი და უფასო.

10.2. სალიცენზიო გადასახადი დიფერენცირებულია ლიცენზიის ტიპის, სატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობის, ტევადობის, გაწეული სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების მოცულობისა და მოქმედების ვადის მიხედვით.

10.3. სალიცენზიო გადასახადს და ვალუტის სახეობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

11. სალიცენზიო გადასახადით შემოსული სახსრების განაწილება

„გტ“, „დტ“, „ჩტ“, „სტ“ და „ტეს“ ტიპის სალიცენზიო გადასახადით მიღებული ფულადი სახსრების 50 პროცენტი ჩაირიცხება რესპუბლიკურ ბიუჯეტში, რომლის ნაწილი გამოიყენება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ხოლო 50 პროცენტს იტოვებს ცენტრალური სალიცენზიო ორგანო შენახვის ხარჯების დასაფარავად და სალიცენზიო საქმიანობის განვითარებისათვის.

12. კონტროლი და სანქციები ლიცენზირებისას

12.1. გადაწყვეტილება ლიცენზიების გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება ლიცენზიის მაძიებლის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში.

12.2. ლიცენზიების დროულ და სწორ გამოყენებას აკონტროლებენ ლიცენზირების რესპუბლიკური და რეგიონალური ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

12.3. ლიცენზიების გამოყენებისას დაშვებულ დარღვევებზე მათი მფლობელები ჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით.

12.4. ლიცენზირების მოთხოვნების დარღვევებიდან ამოღებული თანხის 50 პროცენტი ჩაირიცხება ბიუჯეტში, ხოლო 50 პროცენტს იტოვებენ ცენტრალური და რეგიონალური ორგანოები სალიცენზიო სამსახურის მუშაკების წასახალისებლად.

13. ლიცენზიის გაუქმება

13.1 ლიცენზიის გაუქმება შეუძლია მის გამცემ ორგანოს შემდეგ შემთხვევებში:

13.1.1. მფლობელის მიერ ლიცენზიის, სატრანსპორტო კანონმდებლობის და სხვა წესების და ნორმების მოთხოვნათა სისტემატური შეუსრულებლობისათვის;

13.1.2. მფლობელის მიერ ლიცენზიის, სატრანსპორტო კანონმდებლობის და სხვა წესების და ნორმების მოთხოვნათა სისტემატური შეუსრულებლობისათვის;

13.1.3. სატრანსპორტო საქმიანობის არსებული წესების და დებულებების უხეში დარღვევისას, რაც მოჰყვა ადამიანების დაშავება ან მსხვერპლი ან მატერიალურ ფასეულობათა მნიშვნელოვანი ზარალი;

13.1.4. საწარმოს (ორგანიზაციის) ლიკვიდაციისას;

13.1.5. ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობაზე მისი მფლობელის მიერ უარის თქმისას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

13.1.6. ლიცენზიის მოთხოვნათა დარღვევისას წაყენებული საჯარიმო სანქციის 10 დღის ვადაში გადაუხდელობისათვის;

13.1.7 ლიცენზიის გამცემ ორგანოებში სათანადო წესით სტატისტიკური მონაცემების წარდგენის ვადების სისტემატური დარღვევისას.

13.2. ლიცენზიის გაუქმებისას ლიცენზიის ღირებულება მფლობელს არ დაუბრუნდება.

13.3. ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში გაცემული ლიცენზია და ალიცენზიო ბარათი უნდა ჩაბარდეს მათ გამცემ ორგანოს 10 დღის ვადაში, სადაც უნდა ინახებოდეს სამი წლის განმავლობაში.

13.4. ლიცენზიის გაუქმება ფორმდება მისი გამცემი ორგანოს მიერ, რაც ლიცენზიატს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

13.5. ლიცენზიის დადგენილ ვადაში ჩაუბარებლობისას მისი მფლობელი აგებს პასუხს როგორც ულიცენზიოდ მომუშავე პირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების ღონისძიებებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 და 6 თებერვლის № 128 დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 და 6 თებერვლის № 128 დადგენილებათა შესრულების პროცესში ადგილებზე წარმოიშვა გარკვეული სირთულეები, გამოითქვა სურვილები და წინადადებანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დაწესებული ზღვრული ნორმების გაზრდის თაობაზე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიცვალოს საქართველოს რესპუბლიკს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები თავისი დანიშნულებისა და შემდგომში მათზე საკუთრების სხვადასხვა ფორმის გავრცელების გათვალისწინებით იყოფა საკუთრივ სახელმწიფო მიწების ფონდად და მიწის რეფორმის ფონდად. მიწის რეფორმის ფონდი იქმნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხარჯზე. მიწის რეფორმის ფონდში პირველ რიგში გამოიყოფა სოფლის მიმდებარე ნაკვეთები მრავალწლოვანი ნარგავების ფართობების ჩათვლით, აუცილებლობის შემთხვევაში კი — მარცვლეულის, კარტოფილისა და ბოსტნეულის კულტურების სამექანიზაციო ფართობები.

სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებზე, საცდელ სადგურებზე, ექსპერიმენტულ მეურნეობებზე, მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე-საჯიშე მეურნეობებზე, მეცხოველეობის კომპლექსებზე და სასათბურე კომბინატებზე უვადო სარგებლობით მიმაგრებული მიწებიდან მიწის რეფორმის ფონდში გამოიყოფა ის მიწები, რომლებიც არ ემსახურება მოცემული მეურნეობის ძირითადი საწარმოო პროგრამის შესრულებას.

მიწის რეფორმის ფონდში არ გამოიყოფა:

— საკურორტო (რეკრეაციული) დანიშნულების მიწები;

— სტიქიური და სხვა ობიექტური მიზეზებით განპირობებული მოსახლეობის განსახლებისათვის განკუთვნილი სარეზერვო მიწები;

— დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების აგლომერაციის მიწები;

— ნაკრძალების, ეროვნული პარკების აღკვეთილებისა და სხვა განსაკუთრებულად დაცული მიწები;

— ისტორიული და ბუნების ძეგლების, ეკლესია-მონასტრებისა და სხვა დაცული ზონის მიწები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში საზღვრიდან 21 კილომეტრის სიღრმეში სტრატეგიული კულტურებით დაკავებული მიწები, მსხვილი სამექანიზაციო ფართობები, აგრეთვე ნაკვეთები, რომლებზეც ფუნქციონირებენ მაღალსპეციალიზებული მეურნეობები, და მიწები, რომლებზეც აშენებულია მელიორაციული სისტემები და ნაგებობები. სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში მოქცეული დანარჩენი მიწებიდან იქ მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობის ფარგლებში გამოეყოფა სარგებლობის უფლებით დამატებითი საკარმიდამო ნაკვეთები სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად მათზე კაპიტალური მშენებლობის უფლების გარეშე და მათ მიზნობრივ გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით;

— შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზოლში მდებარე ის მიწები, რომლებზეც პერსპექტივაში გათვალისწინებულია ახალი კურორტების აგება ან საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო კომუნიკაციების მოწყობა, არსებული კურორტების გენერალური გეგმით გათვალისწინებული მიწები, აგრეთვე ფართობები, რომელთაც ზღვის ნაპირდაცვითი მნიშვნელობა აქვთ და მოსახლეობისათვის მათი გადაცემა გარემო დაცვის თვალსაზრისით გაუმართლებელია, ასევე ის მიწები, რომლებზეც მოწყობილია მელიორაციული სისტემები. შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზოლში მდებარე დანარჩენი მიწებიდან იქ მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობის ფარგლებში გამოეყოფა სარგებლობის უფლებით დამატებითი საკარმიდამო ნაკვეთები სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად, მათზე კაპიტალური მშენებლობის უფლების გარეშე და მათ მიზნობრივ გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით;

სახელმწიფო სასაზღვრო და შავი ზღვის სანაპიროს ზოლებში მოქცეული ამ დადგენილებით გათვალისწინებული მიწების კატეგორიების (რომლებიც არ უნდა გაიცეს სარგებლობის უფლებით) დადგენა დაევალოთ: სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (მოწვევა), საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს, ხოლო შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზოლში — საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს (მოწვევა), საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს, სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულმა სამინისტროებმა და უწყებებმა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და შესაბამისი რაიონების (ქალაქების) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად ადგილზე შეისწავლონ ზემოაღნიშნული საკითხები და ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ მასალები განსახილველად.

სახელმწიფო სასაზღვრო და შავი ზღვის სანაპიროს ზოლებში საზოგადოებრივი მეურნეობების ფუნქციონირებისა და საკარმიდამო ფონდში ფართობების გამოყოფის საკითხს ყველა შემთხვევაში შესაბამისი რაიონის (ქალაქის) ადგილობრივი მმართველობის გამგეობის, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის წარდგინებით იხილავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი".

2. არსებულ და ზღვრულ ნორმამდე საკუთრების უფლებით შევსებულ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე არ დაიშვება ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლის აშენება და ეს ნაკვეთი გამოყოფას არ ექვემდებარება.

3. საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ზღვრულ ნორმამდე შევსების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს, რომ თითოეულ სოფელს შეუნარჩუნდეს პირუტყვის გასარეკები, საერთო სარგებლობის სათიბ-საძოვრები.

4. მეურნეობაში დასაქმებულ პირთა მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებლად ჩაითვალოს 1950 წლიდან დაწყებული სხვადასხვა დროს გამსხვილებულ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში მოქცეული სოფლების ადრინდელ საზღვრებში აღდგენა და მათ ბაზაზე ბუნებრივ-საწარმოო და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით სხვადასხვა ტიპის მეურნეობების ფორმირება.

5. მიწის რეფორმის ფონდიდან მოსახლეობისათვის გადაცემულ ფართობებზე არსებული მელიორაციული სისტემების ექსპლუატაციის პირობების გაუარესება, გაუქმება ან მათზე რაიმე ნაგებობის მშენებლობა არ დაიშვება, რაზეც კონტროლს აწესებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქწყალმეურნეობა".

6. შეიცვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილების 1-ლი პუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით.

„დაწესდეს საკუთრებაში მფლობელობასა და სარგებლობაში გადასაცემი საკარმიდამო მიწის ზღვრული ნორმები ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად და მათ მიზნობრივ გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით:

— სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეებისათვის და სოფლად მუდმივად მცხოვრები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის ბარისა და ზეგნის რაიონებში — 1 ჰექტარამდე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობაა — 1,25 ჰექტარამდე,

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

მთის რაიონებში — 5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები — 1 ჰექტარამდე);

— სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის ბარისა და ზეგნის რაიონებში — 0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონებში — 5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები — 0,75 ჰექტარამდე);

— ქალაქად მცხოვრებთათვის, რომელთაც საკუთრების უფლებით მიღებული აქვთ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, და ქალაქად მცხოვრები იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ სოფლად მიიღონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები საგარეუბნო ზონებში — 0,15 ჰექტარამდე, ბარისა და ზეგნის რაიონებში — 0,25 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონებში — 1 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები — 0,25 ჰექტარამდე);

— რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და დაბების დამტკიცებულ საზღვრებში მუდმივად მცხოვრებ და მომუშავე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქალაქეთათვის — 0,75 ჰექტარამდე, ხოლო სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის (რომლებიც ცხოვრობენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მიმაგრებულ მიწებზე) — 0,5 ჰექტარამდე.

7. კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწების ყიდვა-გაყიდვის უფლება მიწათმოსარგებლეებს მიეცეთ მიწის საკუთრებაში მიღებიდან ორი წლის შემდეგ საადგილმამულო ბანკის მეშვეობით.

8. ამ დადგენილების მოთხოვნების განხორციელების შედეგად საზოგადოებრივ მეურნეობათა ლიკვიდაციის აუცილებლობის შემთხვევაში გაუნაწილებლად დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ტექნიკის, შენობა-ნაგებობების, სხვა ძირითადი და საბრუნავი საშუალებების შემდგომი რაციონალური გამოყენების საკითხთა გადაწყვეტა დაევალოთ შესაბამისი რაიონისა და სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტთან, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

ლიკვიდირებულ საზოგადოებრივ მეურნეობებზე რიცხული სახელმწიფო და მომწოდებელთა ვალების დაფარვის მექანიზმის შესახებ წინადადებათა წარმოდგენა 2 კვირის ვადაში დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს (მოწვევა), საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს.

9. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რაიონების (ქალაქების) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უზრუნველყონ მოსახლეობის ტექნიკური მომსახურება მათთვის გამოყოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ნაკვეთების დამუშავების, ათვისებისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

10. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალურ საკითხთა და დემოგრაფიის სამინისტროს (მოწვევა), საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს განსაზღვრონ რესპუბლიკაში სტიქიური და სხვა ობიექტური მიზეზებით განპირობებული მოსახლეობის განსახლებისათვის საჭირო ზონები, ამ მიზნით განკუთვნილი ფართობების ოდენობა (მათი ადგილმდებარეობის ჩვენებით) და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სათანადო წინადადება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

11. დაევალოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რაიონების (ქალაქების) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უზრუნველყონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ზღვრულ ნორმამდე შევსების, მისი საკუთრებასა და სარგებლობაში გადაცემის სამუშაოთა პრაქტიკული განხორციელება მიმდინარე წლის 1 მაისამდე.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 მარტი, № 290

ეროვნული ბიბლიოთეკა

41 **„აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ფუნქციონირებული სახელმწიფო ვაჭრობის ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის № 255 დადგენილების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეჩერდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის № 255 დადგენილება „აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ფუნქციონირებული სახელმწიფო ვაჭრობის ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე“, როგორც თვითნებური და კანონსაწინააღმდეგო, რომელიც მიზნად ისახავს ხელყოს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრების უფლება აღნიშნულ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 მარტი, № 291

ეროვნული ბიბლიოთეკა

42 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის ორგანოების იურისდიქციაში გადაცემისა და ამ ორგანიზაციების ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, დეპარტამენტებსა და უწყებებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები ახალი სახელწოდებით, თანახმად დანართისა. აღნიშნული ორგანიზაციების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის ორგანოების იურისდიქციაში გადასვლისას, მათი ქონების გადაცემა საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში განხორციელდეს უსასყიდლოდ.

2. სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობის, ბოლო საანგარიშო პერიოდის საბუღალტრო ანგარიშის და სხვა მონაცემების წარდგენა სამინისტროების, დეპარტამენტებისა და უწყებებისათვის, რომელთა დაქვემდებარებაშიც გადადიან ეს ორგანიზაციები.

3. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების 1992 წლის პროგნოზის შედგენისას გაითვალისწინონ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან 150 მილიონი მანეთის გამოყოფა იმ საბიუჯეტო სამეცნიერო ორგანიზაციების დასაფინანსებლად, რომლებიც გადადიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის ორგანოების იურისდიქციაში.

4. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნმა „საქკურორტმა“, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნმა „საქგაზმა“, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნმა „საქყოფსერვისმა“, მომხმარებელთა საზოგადოებების ცენტრალურმა კავშირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა (ცეკავშირმა) დარგების სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურების მიზნით უზრუნველყონ როგორც უშუალო დაქვემდებარებაში გადაცემული, ისე სხვა სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები შესაბამისი შეკვეთებით, რისთვისაც გამოიყენონ მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდები, რომელთა წარმოქმნის წყაროა ამ სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებებისა და კონცერნების დაქვემდებარებაში არსებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) თვითღირებულებაში გათვალისწინებული დანახარჯები დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) ახალ სახეობათა ათვისების ღონისძიებათა დასაფინანსებლად და რომელთა შექმნაც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 5 სექტემბრის № 716 დადგენილებით ამ თვითღირებულების პროცენტულად დადგენილი ოდენობით და ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის სრული თვითღირებულების მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 მარტი, № 293

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის
№ 293 დადგენილების დანართი

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია	1. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამკურნალო მცენარეთა ზონალური სადგური (ქ. ქობულეთი)	სსრკ სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს სამკურნალო მცენარეთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის სამკურნალო მცენარეთა ზონალური საცდელი სადგური
	2. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტ"	სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიის კომიტეტის ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
	3. ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი	სსრკ ტყის სახელმწიფო კომიტეტის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	4. წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი	სსრკ წყალმშენის წყალთა მეურნეობის და საინჟინრო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
II. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო	1. საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ სახმშენის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი
	2. მშენებლობის ორგანიზაციის, ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების და საწარმოო ექსპერიმენტული ინსტიტუტი	სსრკ სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის მექანიზაციის და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ექსპერიმენტული ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალი
	3. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თეორიის ინსტიტუტი	სსრკ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თეორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („თბილნიიტაგი")

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
III. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო	1. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია	სსრკ სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
	2. საქართველოს სუბტროპიული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორი	სსრკ სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორი
IV. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო	ზღვის თევზის მეურნეობისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სსრკ თევზის მეურნეობის სამინისტროს ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამხრეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება
V. საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტრო	ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
VI. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო	სატელეგრაფო ტექნიკის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო	სსრკ კავშირგაბმულობის საშუალებათა სამინისტროს თბილისის სატელეგრაფო ტექნიკის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო
VII. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო	1. ი. ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინტიტუტი	სსრკ ატომური ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტროს ი. ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი
	2. სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სახელმწიფო ცენტრი	სსრკ სახსტანდარტის საქართველოს სახსტანდარტის სამმართველო
	3. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“ მეტროლოგიის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ სახსტანდარტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“ მეტროლოგიის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	4. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ სახსტანდარტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	5. სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია	სსრკ სახსტანდარტის სტანდარტიზაციის ხარისხისა და მეტროლოგიის დარგში ხელმძღვანელი და საინჟინრო-ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინსტიტუტის ფილიალის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
	6. სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ ატომური ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტროს სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	7. საზღვაო სამეცნიერო-კვლევითი სადგური (ქ. გაგრა)	სსრკ თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს საზღვაო სამეცნიერო-კვლევითი სადგური (ქ. გაგრა)
	8. ხელსაწყოთა კლიმატური გამოცდის ცენტრი (დ. ჩაქვი)	სსრკ ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ელექტროსაზომ ხელსაწყოთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სარეჟიმო კლიმატური გამოცდის განყოფილება (დ. ჩაქვი)
	9. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება „ოპტიკა“	სსრკ ელექტრონული მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „პლატანის“ თბილისის ფილიალი
	10. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ტალღა“	სსრკ კავშირგაბმულობის საშუალებათა სამინისტროს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ტალღა“
	11. მემბრანული ტექნოლოგიის და ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის საინჟინრო ინსტიტუტი	საკავშირო აქციონერთა საზოგადოება „პლოდის“ ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მემბრანული ტექნოლოგიის და ტექნიკის დამუშავების და დანერგვის რესპუბლიკური საინჟინრო ცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	12. მცირე მექანიზაციის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სსრკ ავტომატიზაციისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს მეცხოველეობისა და საკვებმოპოვების მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტი
	13. უსაფრთხოების ტექნიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება	სსრკ პროფსაბჭოს შრომის დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
	14. რადიაციული ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სსრკ რადიომრეწველობის სამინისტროს მოსკოვის რადიოტექნიკური ინსტიტუტის თბილისის ფილიალი
	15. ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი, ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	16. მასალების გამოცდის დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (დ. ჩაქვი)	სსრკ საავიაციო მრეწველობის სამინისტროს საავიაციო მასალების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი
VIII. საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრო	1. ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	საკავშრო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კვანტის“ ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	2. გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სსრკ ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კომიტეტის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
	3. ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნისა და ძიების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრი	სსრკ ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამინისტროს ჩრდილო კავკასიის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	4. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	5. საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანმშენის“ სათაო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ გემთმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანმშენის“ სათაო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო
	6. საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანმშენის“ სათაო სპეციალური ტექნოლოგიური ბიურო „კვებმანქანმშენი“	სსრკ გემთმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანმშენის“ სათაო სპეციალური ტექნოლოგიური ბიურო „კვებმანქანმშენი“
	7. ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	8. მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიის – სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი
	9. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	10. საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს საწარმოო-გაერთიანება „ელექტროაპარატის“ სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო
	11. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ანალიზური ტექნიკის ინსტიტუტი	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ანალიზური ტექნიკის ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	12. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო
	13. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ტახომეტრიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ტახომეტრიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო
	14. მცირე ელექტრონული მანქანების სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ცენტრი	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს მცირე ელექტრონული მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის თბილისის ფილიალი
	15. საწარმოო გაერთიანება „დილას“ მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „დილას“ მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	16. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ საპროექტო საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ საპროექტო საკონსტრუქტორო ბიურო
	17. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელექტროამძრავის“ ფილიალი „აგრეგატი“	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თბილისი-ელექტროამძრავის“ ფილიალი „აგრეგატი“
	18. ელექტროშედუღების მოწყობილობათა სამეცნიერო საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ინსტიტუტი	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ელექტროშედუღების მოწყობილობათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	19. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწვის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწვის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	20. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელექტრომექანიკის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ელექტრომექანიკა“	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომექანიკის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ელექტრომექანიკა“
	21. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო	სსრკ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო
	22. ქუთაისის საწარმოო გაერთიანება „ელექტრომექანიკური ქარხნის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო	სსრკ ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის საწარმოო გაერთიანება „ელექტრომექანიკური ქარხნის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო
	23. „პროექტხელსაწყოს“ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო „რემმშენპროექტი“	სსრკ ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს „პროექტხელსაწყოს“ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო „რემმშენპროექტი“
	24. ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო	სსრკ ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს თბილისის ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო
	25. საინსტრუმენტო ცენტრი	სსრკ ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს სათავო სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო „ორგპრიმინსტრუმენტი“

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	26. მცირეგაბარიტიანი მობილური მანქანებისა და იარაღების სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ ავტომობილებისა და სოფლის მანქანათმშენებლობის სამინისტროს მცირეგაბარიტიანი მობილური მანქანებისა და იარაღების სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიურო
	27. ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სსრკ თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი
	28. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ქარენერგო“	კონცერნ „ვოდსტროის“ საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ქარენერგოს“ საქართველოს ფილიალი
	29. მანქანათმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	საკავშირო კონცერნ „ინტოსის“ ჩარხმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	30. ასლგადასაღები, გასამრავლებელი ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ასლგადასაღები გასამრავლებელი ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო
	31. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ატოლი“ (ქ. სოხუმი)	სსრკ თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ატოლის“ სოხუმის ფილიალი
	32. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „კასატკა“ (ქ. გაგრა)	სსრკ თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს სრულიად საკავშირო საწარმოო გაერთიანება „ურანის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „კასატკას“ გაგრის ფილიალი
	33. ქვანახშირის ქანისა და გაზის მოულოდნელი გამოფრქვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამეცნიერო ცენტრი	სსრკ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მაკეევკის ქვანახშირის ქანისა და გაზის მოულოდნელი გამოფრქვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ლაბორატორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	34. სამთოგეომექანიკის და სამარკშეიდერო საქმის სამეცნიერო ცენტრი	სსრკ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სამთო გეომექანიკისა და სამარკშეიდერო საქმის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიული სექტორი
	35. სამთო საქმის ტყიბულის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია	სსრკ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ა. ა. სკაჩინსკის სახელობის სამთო საქმის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტყიბულის ლაბორატორია
	36. მილსადენი ჰიდროტრანსპორტის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ გაზისა და ნავთობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს მილსადენი ჰიდროტრანსპორტის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის თბილისის საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილება
	37. სოხუმის სამეურნეოანგარიშანი სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი	საკავშირო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „როტორის“ სოხუმის სამეურნეოანგარიშიანი სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი
	38. ელექტროტექნიკური მრეწველობის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო	სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ელექტროტექნიკური მრეწველობის საკავშირო ცენტრალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს თბილისის ფილიალი
	39. სახელმწიფო კონცერნ „ავეჯმრეწვის“ სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი	სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტყემრეწვის“ ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	40. ინფორმაციული საკვლევი სადგური	სსრკ ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ინფორმაციული საკვლევი სადგური

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	41. ლაქსაღებავების მრეწველობის სამეცნიერო და საპროექტო ცენტრი (ქ. ბათუმი)	სსრკ ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ლაქსაღებავების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-კონსტრუქტორო ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი
	42. სამეცნიერო საწარმო „შრომა“	სსრკ ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო საწარმო „შრომა“
	43. კონცერნ „საქსოფმანქანათმშენის“ სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტი „საქაგრომანქანა“	სსრკ საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფმანქანათმშენის“ სამთო მიწათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტი
	44. ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის“ სპეციალური სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო	სსრკ რადიომრეწველობის სამინისტროს ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის“ სპეციალური სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო
	45. საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	46. მსუბუქი მრეწველობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	მსუბუქი მრეწველობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო
	47. მსუბუქი მრეწველობის შრომის ორგანიზაციის ცენტრი	მსუბუქი მრეწველობის შრომის ორგანიზაციის ცენტრი
	48. პლასტმასების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	პლასტმასების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო
	49. ქიმიური მრეწველობის შრომის ორგანიზაციის ცენტრი	ქიმიური მრეწველობის შრომის ორგანიზაციის ცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	50. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის“ ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	სსრკ სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის“ ვაქცინებისა და შრატების თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
IX. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია	1. სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგური	სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგური
	2. აფხაზეთის საცდელი სადგური „თამბაქო“	სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კრასნოდარის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თამბაქოს“ აფხაზეთის საცდელი სადგური „თამბაქო“
	3. ლაგოდეხის საცდელი სადგური „თამბაქო“	სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კრასნოდარის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თამბაქოს“ ლაგოდეხის საცდელი სადგური „თამბაქო“
	4. ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაის სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — სოხუმის ფილიალით — ზუგდიდის ფილიალით — კოლხეთის ფილიალით (ქ. ფოთი) — ჩაქვის ფილიალით — წყალტუბოს საყრდენი პუნქტით — ქედის საყრდენი პუნქტით — თბილისის რეგიონალური განყოფილებით (საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და ტყის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	საკავშირო აქციონერთა საზოგადოება „პლოდის“ ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	5. ჩაის, სუბტროპიული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიურო (საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და ტყის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	საკავშირო აქციონერთა საზოგადოება „პლოდის“ ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიურო
	6. ხილბოსტნეულის შენახვის, გადამუშავების სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტი	„სოიუზპრომტეპლიტას“ ხილბოსტნეულის შენახვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული საკონსტრუქტორო ინსტიტუტი
	7. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „აისი“	საკავშირო საწარმოო გაერთიანება „აგრომრეწვსათბურის“ საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის „აგრომრეწვსისტემის“ საქართველოს განყოფილება
	8. საკვებწარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და ტყის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	„სოიუზსელხოზქიმიის“ სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალი
	9. აფხაზეთის ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია	სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აფხაზეთის ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია
	10. აგროეკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (სოფ. ყარაჯალა)	სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო მცენარეთა დაცვის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია (სოფ. ყარაჯალა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	11. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდების სამეცნიერო ცენტრი (ქ. ბათუმი)	სსრკ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკარანტინო მავნებლებთან ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდების ლაბორატორია (ქ. ბათუმი)
	12. ვეტერინარული სანიტარიისა და ზოოეკოლოგიის რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი	სსრკ სოფლს მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო ვეტერინარული სანიტარიის ჰიგიენისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილება
X. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო	რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი	ამიერკავკასიის რკინიგზის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი
XI. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო	თბილისის შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სსრკ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი
XII. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	1. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის“ ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	სსრკ სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის“ ვაქცინებისა და შრატების თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
	2. აუდიოლოგიისა და სმენის პროთეზირების სამეცნიერო ცენტრი	სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აუდიოლოგიისა და სმენის პროთეზირების სამეცნიერო ცენტრი
XIII. საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი	1. ა. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი	სსრკ გეოლოგიის სამინისტროს ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	2. მიწის სითბოს გამოყენების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სსრკ კონცერნ „გაზმრეწვის“ მიწის სითბოს გამოყენების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის თბილისის კომპლექსური ექსპედიციის ყოფილება
XIV. მომხმარებელთა საზოგადოებების ცენტრალური კავშირი (ცეკავშირი)	სამომხმარებლო კოოპერაციის პრობლემათა რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია	„ცენტროსოიუზის“ სამომხმარებლო კოოპერაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი
XV. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი	სამეცნიერო-ინფორმაციული ცენტრი	სსრკ სტატისტიკომთან არსებული საკავშირო-სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი
XVI. საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და ტყის მეურნეობის სამინისტრო	1. სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო ცენტრი 2. სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახელმწიფო საგამოცდო სადგური 3. ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაის სუბტროპიული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — სოხუმის ფილიალით — ზუგდიდის ფილიალით — კოლხეთის ფილიალით (ქ. ფოთი) — ჩაქვის ფილიალით — წყალტუბოს საყრდენი პუნქტით — ქედის საყრდენი პუნქტით — თბილისის რეგიონული განყოფილებით, (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერების აკადემიასთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის რეგიონალური ფილიალი სსრკ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახელმწიფო საგამოცდო სადგური საკავშირო აქციონერთა საზოგადოება „პლოდის“ ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო, გაერთიანების ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების დასახელება, რომელთა დაქვემდებარებაში გადადის ორგანიზაცია	ორგანიზაციის ახალი დასახელება	ორგანიზაციის ძველი დასახელება
	4. ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიურო (საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	საკავშირო აქციონერთა საზოგადოება „პლოდის“ ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიურო
	5. საკვებწარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთობლივ დაქვემდებარებაში)	„სოიუზსელხოზქიმიის“ სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალი
XVII. საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1. ხორცისა და რძის მრეწველობის მართვის ავტომატიზირებული სისტემების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	ხორცისა და რძის მრეწველობის მართვის ავტომატიზირებული სისტემების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საქართველოს განყოფილება
	2. პურპროდუქტების სამეცნიერო ცენტრი	სსრკ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კომბინირებული საკვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

43 ქალაქ სოხუმის საბაჟოს, მისი საგუშაგოსა და ქალაქ თბილისის საბაჟოს საგუშაგოების შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში:

— ქალაქ სოხუმის საბაჟო;

— ქალაქ სოხუმის საბაჟოს საგუშაგო — „განთიადი";

— ქალაქ თბილისის საბაჟოს საგუშაგოები — „წითელი ხიდი" და „ახალციხე".

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტთან ერთად გადაწყვიტოს ახლად შექმნილი საბაჟო ორგანოების დაფინანსების საკითხები.

3. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მარნეულისა და ახალციხის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს — რაიონების გამგეობებს გამოუყონ ახლად შექმნილი საბაჟოების ორგანოებს საათანადო ტერიტორია და სამოსამსახურო ფართი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 მარტი, № 294

44 მუდმივმოქმედი სამთავრობო ორგანიზაცია „სამაშველო სამსახურთა საკოორდინაციო ცენტრის“ შექმნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედი მრავალი სხვადასხვა პროფილის სამაშველო სამსახურებისა და რაზმების არსებობის მიუხედავად, უკანასკნელ დროს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა, ავარიებმა და კატასტროფებმა ცხადყვეს სამაშველო ოპერაციების სამთავრობო დონეზე ორგანიზებისა და მართვის აუცილებლობა. ბოლოდროინდელმა შემთხვევებმა გამოავლინეს აგრეთვე ერთიანი მართვითი სისტემისა და სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის არარსებობის გამო გამოწვეული ნაკლოვანებანი, რაც გამოიხატა კატასტროფის კერებამდე მაშველთა მიღწევის და პირველი საჭიროების საგნების, საკვების, მედიკამენტების, ტანსაცმლის მიწოდებისა და დაზარალებულთა ევაკუაციისათვის დიდი დროის დახარჯვით, რაც სამაშველო ოპერაციების ეფექტიანობის ძირითადი განმსაზღვრელია. ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ სამაშველო სამსახურთა სიმრავლის მიუხედავად, რესპუბლიკის მოქალაქეებს, მის მატერიალურ და კულტურულ სიმდიდრეს, ეკოლოგიას არ გააჩნია ის დაცვით-დაზღვევითი მექანიზმი, რომელიც მოქმედებს ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში და წარმოადგენს სტიქიურ და სხვა უბედურებათა ლიკვიდაციის ერთიან და ეფექტურ სამაშველო სისტემას, რაც თავიდან აგვაცილებდა დიდ ადამიანურ და მატერიალურ ზარალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან მუდმივმოქმედი სამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სამაშველო სამსახურთა საკოორდინაციო ცენტრი“ (სსსც).

2. სსსც-ის ადგილსამყოფელად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შენობაში გამოიყოს ორი სამუშაო ოთახი სამთავრობო, საქალაქო და საქალაქთაშორისო ქსელის ტელეფონებით.

3. სსსც-ის ორგანიზატორად დაინიშნოს თორნიკე გურამის ძე ბერიშვილი.

4. დაევალოს სსსც-ის ხელმძღვანელობას:

— დაამზადოს სსსც-ის ბეჭედი და გახსნას საკუთარი ანგარიში ბანკში;

— უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს მომავალ საგაზაფხულო სამუშაოთა კოორდინირებული გეგმა შესაბამის უწყებებთან მჭიდრო კონტაქტით;

— შექმნას სსსც-ის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს (მინისტრის მოადგილეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონეზე), საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის, ყველა სამხედრო სამსახურისა და ჯგუფის წარმომადგენლები პარიტეტულ საფუძველზე;

— წარმოადგინოს სსსკ-ის სამი საშტატო ერთეულის კანდიდატურები;

— სამი თვის ვადაში დაგროვილი თავისი და უცხოური (მაგალითად, შვეიცარიის მოდელი) გამოცდილების საფუძველზე ადგილობრივი სიტუაციის გათვალისწინებით წარმოადგინოს მუდმივი სამუშაო გეგმა, სამაშველო სამსახურთა მატერიალურ-ფინანსური დახმარების, აგრეთვე ერთიანი საინფორმაციო-სამსახურის ჩამოყალიბებისათვის გასაწევი ხარჯების ოდენობა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

5. მოსალოდნელი ავარიებისა და სხვა შემთხვევათა ადგილებზე ზონების და წესრიგის დაცვა ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ნაწილებს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 12 მარტი, № 299

45 გამოგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1992 წლის 1 მაისიდან თანდართული დებულება გამოგონების შესახებ.

2. დებულება გამოგონების შესახებ გამოიყენება მისი ძალაში შესვლის შემდეგ წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ.

3. დაშვებულია საქართველოს რესპუბლიკის პატენტის გაცემა ყოფილი სსრ კავშირის საავტორო მოწმობით ან პატენტით დაცულ გამოგონებებზე, რომელთაც აქვთ პრიორიტეტი 1972 წლის 1 მაისის შემდეგ, ამასთან საქართველოს რესპუბლიკის პატენტის მოქმედების 20-წლიანი ვადა აითვლება გამოგონების არსებული პრიორიტეტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე წესი გავრცელდეს პატენტებზე, რომლებიც გაცემულია უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

4. უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების სახელზე გაცემული ყოფილი სსრ კავშირის პატენტის მოქმედება გავრცელდეს საქართველოს რესაუბლიკის ტერიტორიაზე, თუ პატენტმფლობელებს წინასწარ, 1992 წლის 1 იანვრამდე აქვთ გადახდილი ბაჟი პატენტის ძალაში შენარჩუნებისათვის, და იმ ვადით, რომელსაც ითვალისწინებდა ბოლო გადახდა.

5. განაცხადები, რომლებიც ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო უწყებაში განხილვის სტადიაში იყო ან რომლებზეც მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის გაცემული საავტორო მოწმობები ან პატენტები, შეიძლება შეტანილ იქნეს „საქპატენტში", ამასთან მათ შეუნარჩუნდებათ ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო უწყების მიერ დადგენილი პრიორიტეტი.

6. ამ დებულების ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში დაშვებულია პატენტის გაცემა ფიზიკური ან იურიდიული პირების ისეთ საავარაუდო გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელებზე, რომელთა გამოყენება ან პუბლიკაცია საქართველოს რესპუბლიკაში მოხდა 1990 წლის 1 მაისის შემდეგ.

7. ამ დებულებაში მითითებულ საპატენტო სასამართლოს შექმნამდე წარმოქმნილი დავები განხილულ იქნეს საერთო სასამართლო წესით.

8. საქართველოს რესპუბლიკაში რაციონალიზატორული წინადადების დაცვა განხორციელდება სპეციალური ნორმატიული აქტით.

9. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად წინადადებანი გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელებზე საპატენტო უფლებების დაცვის საბაჟო გადასახადების შესახებ და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი ,1992 წ. 16 მარტი № 302

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის
№ 302 დადგენილებით

დებულება „გამოგონების შესახებ"

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკა იცავს უფლებას გამოგონებაზე და დასტურებს მას პატენტით.

მუხლი 2. პატენტი გაიცემა გამოგონებაზე, რომელსაც ახასიათებს სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა.

მუხლი 3. გამოგონების სიახლედ ითვლება ის, რაც არ არის ცნობილი ტექნიკის არსებული დონისათვის.

მუხლი 4. გამოგონებას სიახლეს არ უკარგავს მისი არსის გახსნა განაცხადის შეტანამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე, მათ შორის თუ იგი გამოვლინდა ოგორც პირდაპირი ან ირიბი შედეგი:

ა) განმცხადებლის ან მისი წინამოსარგებლის მიმართ უფლების აშკარად ოროტად გამოყენებისა;

ბ) განმცხადებლის ან მისი წინამოსარგებლის მიერ გამოგონების წარდენისა ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე.

მუხლი 5. ტექნიკის არსებული დონე გულისხმობს ყოველივე იმას, რაც ცნობილი გახდა ფართო წრისათვის წერილობით ან ზეპირი აღწერის, ან საჯაო გამოყენების, ან სხვა გზით, პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღამდე.

გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე თუ იგი სპეციალისტისავის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან.

მუხლი 6. გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა გულისხმობს მეურნეობრიობის ნებისმიერ სფეროში მისი მრავალჯერადი დამზადების ან სარებლობის შესაძლებლობას.

მუხლი 7. გამოგონების ობიექტებია მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, იკროორგანიზმთა შტამი, ცხოველთა და მცენარეთა ქსოვილთა კულტურა, გრეთვე მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების და მიკროორგანიზმთა შტამის ხალი დანიშნულებით გამოყენება.

მუხლი 8. მცენარეთა და ცხოველთა ახალი სასელექციო ჯიშების სამართლებრივი დაცვა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო აქტით.

მუხლი 9. გამოგონებად არ ჩაითვლება:

ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;

ბ) ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები ან სხვა მხატვრული შემოქმედება-კონსტრუირების შედეგი;

გ) გამომთვლელი მანქანების ალგორითმი ან უშუალოდ პროგრამა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;

ე) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა და ა. შ.);

ვ) ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაგეგმარების პროექტი და სქემა;

ზ) პირობითი ნიშანი, განრიგი, წესი;

თ) ინფორმაციის მიწოდების ხერხი.

მუხლი 10. პატენტი არ გაიცემა გამოგონებაზე, რომლის გამოქვეყნებამ ან გამოყენებამ შეიძლება არაჰუმანური, ამორალური და ანტისაზოგადოებრივი ქმედობა გამოიწვიოს ან წაახალისოს იგი.

თავი II

პატენტი და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი

მუხლი 11. პატენტი ადასტურებს ავტორობას და პრიორიტეტს, ანიჭებს პატენტმფლობელს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე, რათა მისი გამოყენებით მიიღოს შემოსავალი ან მოგება, პატენტმფლობელი განკარგავს გამოგონებას თავის შეხედულებისამებრ.

პატენტმფლობელს შეუძლია გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს პატენტი, დადგენილი წესით გასცეს გამოგონების გამოყენების ლიცენზია, გასხვისების ნეთანხმება დადგენილი წესით რეგისტრირდება „საქპატენტში“ და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს იურიდიულ ძალას.

მუხლი 12. პატენტის უფლება ეკუთვნის გამოგონების ავტორს ან მის უფლება-მონაცვლეს.

მუხლი 13. პატენტით დაცული გამოგონების გაუმჯობესების ან სრულყოფის შემთხვევაში ნებადართულია დამატებითი პატენტის მოთხოვნა.

მუხლი 14. გამოგონების ავტორს შეუძლია პატენტის მიღების უფლება დაუთმოს სხვა პირს.

მუხლი 15. პატენტმფლობელს უფლება აქვს გადასცეს პატენტი გამოგონებათა ეროვნულ ფონდს.

მუხლი 16. პატენტის მიღების უფლება, ისევე როგორც გაცემული პატენტი, გადადის მემკვიდრეობით.

მუხლი 17. პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 20 წლით განაცხადის შეტანის დღიდან.

დამატებითი პატენტი მოქმედებს ძირითადი პატენტის მოქმედების ვადის დარჩენილ პერიოდში.

მუხლი 18. გამოგონების ავტორობა განუსხვისებელი უფლებაა. იგი უვადოდ არის დაცული.

მუხლი 19. სამსახურებრივ დავალებასთან დაკავშირებით შექმნილ გამოგონებაზე პატენტი ეძლევა გამომგონებელს.

ამ შემთხვევაში იურიდიულ პირს აქვს:

ა) უფლება მარტივ ლიცენზიაზე პრიორიტეტის დღიდან;

ბ) უპირატესი შესყიდვის უფლება პატენტის განსხვისებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ პირი უშუალოდ საგამომგონებლო საქმიანობის შესასრულებლად იყო დაქირავებული, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის იურიდიულ პირს. თავის მხრივ გამომგონებელს უფლება ეძლევა დამატებით მიიღოს გამოგონების გამოყენების ფარდი გასამრჯელო.

თავი III

საპატენტო საქმიანობის ორგანოები

მუხლი 20. რესპუბლიკაში საპატენტო საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაშია საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო სამსახური („საქპატენტი").

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო და მის შემადგენლობაში არსებული „საქპატენტის" სამსახური შეიმუშავებენ და ატარებენ საპატენტო საქმიანობის ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას

მუხლი 22. „საქპატენტის" უფლება-მოვალეობაში შედის:

— საპატენტო განაცხადის მიღება, ექსპერტიზის ჩატარება, პატენტის გაცემა, პატენტის მოქმედების შეწყვეტა, იძულებითი ლიცენზიების გაცემა, პატენტის ბათილად ცნობა, სახელმწიფო საპატენტო რეესტრის წარმოება.

მუხლი 23. „საქპატენტის" თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საპატენტო უფლებათა და მის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას შეიძლება წარმართავდეს პატენტრწმუნებული.

მუხლი 25. პატენტრწმუნებულად შეიძლება აღიარებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე.

მუხლი 26. პატენტრწმუნებულის სტატუსის მინიჭება ხდება სათანადო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ.

მუხლი 27. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას აყალიბებს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო.

მუხლი 28. პატენტრწმუნებულთა სტატუსის აღიარება ხდება სათანადო დოკუმენტაციის გაცემით და რეგისტრაციაში გატარებით დადგენილი სარეგისტრაციო ბაჟის გადახდის შემდეგ.

მუხლი 29. „საქპატენტის" თანამშრომლები — სპეციალისტები დებენ ფიცს, რომ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და საიდუმლოდ შეინახავენ იმ ინფორმაციას, რომელიც მათთვის „საქპატენტის" სისტემაში მუშაობის პერიოდში გახდება ცნობილი.

მუხლი 30. „საქპატენტში" მუშაობის პერიოდში და განთავისუფლებიდან ერთი წლის განმავლობაში მის თანამშრომლებს ეკრძალებათ გამოგონებაზე განაცხადის შეტანა როგორც პირადად, ისე თანაავტორებთან ერთად.

მუხლი 31. განმცხადებლის, პატენტმფლობელის ან სხვა პირის „საქპატენტთან" დავის განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა
და ტექნიკის სამინისტროში იქმნება სააპელაციო პალატა, რომელიც მუშაობს დადგენილი წესით დამტკიცებული დებულების თანახმად.

სააპელაციო პალატის თავმჯდომარეა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი.

მუხლი 32. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო ხელმძღვანელობს საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობას, საქართველოს რესპუბლიკის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებასთან ერთად მეთოდურ და სხვა დადგენილი სახის დახმარებას უწევს დაინტერესებულ პირებს საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობაში.

თავი IV

გამოგონების გამოყენების წახალისება

მუხლი 33. იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის წარმოებაში გამოყენების შედეგად მიღებული მოგება ექვემდებარება შეღავათიან დაბეგვრას.

მუხლი 34. პირებს, რომლებსაც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტი აქვთ, უფლება ეძლევათ ამ გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ასათვისებლად საჭირო რეკონსტრუქციის, ხელახალი აღჭურვის, მოდერნიზაციის ან ახალი საწარმოს (საწარმოო ერთეულის) ჩამოყალიბების მიზნით ისარგებლონ სახელმწიფო ბანკების შეღავათიანი კრედიტით.

თავი V

საპატენტო უფლების გაფორმება

მუხლი 35. „საქპატენტში“ პატენტზე განაცხადის წარდგენა ხდება ქართულ ან ნებისმიერ სხვა ენაზე (ტექსტის შემდგომ ქართულად თარგმნის პირობით).

განმცხადებელი ვალდებულია თავისი ხარჯით შეასრულოს თარგმანი განაცხადის შეტანიდან 1 თვის ვადაში და უზრუნველყოს განაცხადის ავთენტიკური ტექსტის მიწოდება.

მუხლი 36. განაცხადი პატენტის მიღებაზე „საქპატენტში“ შეაქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს ან მის წარმომადგენელს (პატენტრწმუნებულს).

მუხლი 37. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის არმქონე პირი ან მოქალაქე, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ან მისი წარმომადგენელი „საქპატენტთან“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქალაქე პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

მუხლი 38. საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ პირს საზღვარგარეთ დაპატენტების უფლება ენიჭება საქართველოში პატენტის ასაღებად განაცხადის შეტანიდან არაუადრეს 2 თვის შემდეგ „საქპატენტის“ წერილობითი ნებართვის მიღების შემთხვევაში.

მუხლი 39. განაცხადი პატენტის მიღებაზე უნდა შეიცავდეს:

ა) დადგენილი ფორმის საპატენტო განცხადებას;

ბ) გამოგონების აღწერილობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ერთ ან რამდენიმე მუხლიანი გამოგონების ფორმულას, რომელიც მთლიანად აღწერილობაზე იქნება დაფუძნებული;

დ) ნახაზებს, თუკი ისინი აღწერილობისა და გამოგონების ფორმულის არსის ასახსნელად არის აუცილებელი;

ე) გამოგონების რეფერატს;

ვ) საგანაცხადო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს.

ამ მუხლის „ე" და „ვ" პუნქტებში ჩამოთვლილი საბუთების წარდგენა შეიძლება განაცხადის „საპატენტში" შეტანის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 40. აღწერილობაში გამოგონება ისეთი სისრულით უნდა იყოს გაშუქებული, რომ მასზე დაყრდნობით სპეციალისტმა შეძლოს ამ გამოგონების განხორციელება.

მუხლი 41. გამოგონების განაცხადი მხოლოდ ერთ გამოგონებას უნდა ეხებოდეს. გამოგონების ერთიანობის დარღვევის შემთხვევაში დასაშვებია პირველი განაცხადის დაყოფა 2 ან მეტ დამოუკიდებელ განაცხადად.

დასაშვებია ერთ განაცხადში ორი ან მეტი დამოუკიდებელი გამოგონების წარმოდგენა, თუკი მათ ერთი საგამომგონებლო იდეა აერთიანებთ და გამოგონების სხვადასხვა ობიექტებს წარმოადგენენ.

მუხლი 42. გამოგონების საგანს განსაზღვრავს გამოგონების ფორმულა, რომელიც ერთი ან რამდენიმე მუხლისაგან შედგება.

მრავალმუხლიანი გამოგონების ფორმულა უნდა შეიცავდეს ერთ მთავარ და დამოკიდებულ სხვა მუხლებს. თუ გამოგონების სხვადასხვა ობიექტებია წარმოდგენილი, რომლებსაც ერთიანი საგამომგონებლო იდეა აერთიანებთ, მთავარი მუხლების ოდენობა ობიექტების ოდენობის შესაბამისი უნდა იყოს.

მუხლი 43. თუ ერთი და იმავე გამოგონებაზე განაცხადები სხვადასხვა დროს არის შესული, პატენტი პირველ განმცხადებელზე გაიცემა.

იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი განაცხადები ერთი და იმავე დღეს არის შესული, პატენტი მხოლოდ განმცხადებელთა შეთანხმებით მითითებულ პირებზე გაიცემა.

თუ შეთანხმების მიღწევა არ ხერხდება, გამოგონებაზე პატენტი არ გაიცემა

მუხლი 44. თუ გამოგონება ორი ან მეტი პირის ერთობლივი (თანაზიარი) შემოქმედებითი შრომის შედეგად არის შექმნილი ან თუ ერთი და იგივე გამოგონების ავტორები ფაქტიურად ერთად და ერთდროულად არ მუშაობდნენ, მათ შეაქვთ ერთობლივი საპატენტო განაცხადი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და ეს ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ყოველი მათგანის შემოქმედებითი წილი გამოგონების შექმნაში განსხვავებულია.

თუ რომელიმე ავტორი უარს ამბობს ერთობლივი განაცხადის შეტანაზე, განაცხადის წარდგენის უფლება დანარჩენ ავტორებს ენიჭებათ.

მუხლი 45. პრიორიტეტის უფლება განმცხადებელს ენიჭება დადგენილი წესით სათანადოდ გაფორმებული განაცხადის შეტანის თარიღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიორიტეტის უფლება ნიშნავს იმას, რომ პირველ განმცხადებელს უპირატესობა აქვს მოგვიანებით განცხადებულ ნებისმიერ იდენტურ, იგივურად მსგავს გამოგონებაზე.

განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს კონვენციური ან საგამოფენო პრიორიტეტით, ამის შესახებ უნდა მიუთითოს „საქპატენტში“ განაცხადის შეტანისას. კონვენციური პრიორიტეტის დამადასტურებელი დოკუმენტები თან უნდა დაერთოს განაცხადს ან წარდგენილ იქნეს „საქპატენტში“ განაცხადის შეტანიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 46. საკონვენციო პრიორიტეტის ფარგლებში ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანებისას დასაშვებია შენარჩუნებულ იქნეს ყოველი მათგანის ადრინდელი პრიორიტეტი. ასევე პირველი განაცხადის ორ ან მეტ ახალ განაცხადად დაყოფისას ყოველ მათგანს უნარჩუნდება პირვანდელი პრიორიტეტი.

მუხლი 47. განაცხადის შეტანის თარიღად ის დღე ითვლება, როცა განმცხადებელმა იგი საქართველოს რესპუბლიკის ფოსტას ჩააბარა ან უშუალოდ წარადგინა „საქპატენტში“.

მუხლი 48. საიდუმლო გამოგონების პატენტის გაცემის წესს სპეციალური აქტი არეგულირებს.

მუხლი 49. გამოგონებაზე პატენტის გაცემა ხდება პატენტუნარიანობაზე ექსპერტიზის ჩაუტარებლად.

ამასთან, „საქპატენტი“ ქართულ ენაზე შესრულებული განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში ამოწმებს: დაცულია თუ არა განაცხადის შეტანის დადგენილი ფორმა, ეხება თუ არა ის ერთ გამოგონებას და ხომ არ განეკუთვნება იგი იმათ გამოგონებათა რიცხვს, რომელზეც პატენტი არ გაიცემა.

ტექნიკის დონის განსაზღვრისათვის „საქპატენტი“ განაცხადის შეტანიდან ექვსი თვის ვადაში უზრუნველყოფს ძიების ჩატარებას, რის საფუძველზეც ადგენს დოკუმენტურ დასკვნას და მიანიშნებს ტექნიკის დონის იმ ელემენტებს, რომლებიც შეიძლება გაითვალისწინოს განმცხადებელმა გამოგონების პატენტუნარიანობის შესაფასებლად.

ამგვარი ძიების ჩასატარებლად განმცხადებელი იხდის დადგენილ ბაჟს.

მუხლი 50. დოკუმენტური დასკვნა დაუყოვნებლივ გადაეგზავნება განმცხადებელს და თუ „საქპატენტში“ ორი თვის ვადაში არ შემოვიდა მისი უარი, „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე და აქვეყნებს მას ოფიციალურ ბიულეტენში.

მუხლი 51. გამოგონების რეფერატი (ნახაზებით) ქვეყნდება „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

შედავება გამოგონების თაობაზე „საქპატენტში“ შეიძლება შევიდეს რეფერატის ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 90 დღის განმავლობაში.

მუხლი 52. „საქპატენტი“ სრულ ექსპერტიზას ატარებს მევენახეობა-მეღვინეობასთან, მეჩაიეობასთან, მეციტრუსეობასა და მეხილეობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საშუალებებზე, აგრეთვე მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებზე და ტექნიკურ საშუალებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 53. განმცხადებელს უფლება აქვს „საქპატენტში“ დადგენილი წესით გაასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილება იმ საკითხთან დაკავშირებით, ექვემდებარება თუ არა მისი განაცხადი სრულ ექსპერტიზას.

მუხლი 54. ამ დებულების 52-ე მუხლში მითითებულ დარგებთან დაკავშირებულ გამოგონებაზე სრული ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანის დღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა იმ მოთხოვნის მიმართ, რომლებიც განაპირობებენ გამოგონების პატენტუნარიანობას.

მუხლი 55. ექსპერტიზის მსვლელობაში ნებადართულია განაცხადში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც არ გააფართოებენ გამოგონების საგანს და არ შეცვლიან მის არსს.

მუხლი 56. გამოგონების აღიარება დასტურდება საპატენტო სიგელის გაცემით.

მუხლი 57. გაცემული საპატენტო სიგელი რეგისტრირდება სახელმწიფო საპატენტო რეესტრში.

საპატენტო რეესტრში შეიტანება შემდეგი აუცილებელი მონაცემები: პატენტის ნომერი, გამოგონების სახელწოდება, განაცხადის შეტანის თარიღი და მისი ნომერი, ავტორის და პატენტმფლობელის ვინაობა და მისამართი, გამოგონებათა საერთაშორისო საკლასიფიკაციო ინდექსი.

ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს საპატენტო რეესტრს და მოითხოვოს დამოწმებული ამონაწერი ამ რეესტრიდან.

მუხლი 58. „საქპატენტი“ აქვეყნებს ინფორმაციას გამოგონების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“; ამავე ბიულეტენში ქვეყნდება მონაცემები პატენტში ცვლილებების შეტანისა და პატენტის ბათილად ცნობის (გაუქმების) შესახებ, აგრეთვე ყველა სახის ლიცენზიის გაცემის შესახებ.

თავი VI

საპატენტო უფლებებით სარგებლობის ფარგლები

მუხლი 59. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ ითვლება:

ა) კერძო წესით პირადი სარგებლობისათვის გამოგონების გამოყენება, როდესაც ამგვარი ქმედობა არ ისახავს კომერციულ მიზნებს;

ბ) გამოგონების ექსპერიმენტში გამოყენება;

გ) გამოგონების რომელიმე ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება, მათი საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით ან დროებითი ყოფნის დროს, თუ იგივე შეღავათები საქართველოსთვისაც გარანტირებულია შესაბამისი სახელმწიფოს მიერ.

ამ დროს გამოგონება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამ საზღვაო ხომალდზე საფრენ ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმოებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გამოგონების გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპ
დემიისა და სხვაგვარი საგანგებო ვითარების დროს.

მუხლი 60. თუ რომელიმე პირი გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თ
რიღისათვის კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით ან განახორ
ციელა სამზადისი მისი გამოყენებისათვის, მას უფლება აქვს ინდივიდუალურად
გამოიყენოს გამოგონება პატენტის მოქმედების მიუხედავად (წინათ სარგებლო
ბის უფლება).

მუხლი 61. პატენტმფლობელის მიერ წლიური ბაჟის გადაუხდელობ
იწვევს პატენტის ძალის დაკარგვას. თუკი ბაჟი გადახდილია განსაზღვრულ
ვადის გადაცილებით, პატენტი ძალაში რჩება დადგენილი საურავის გადახდ
შემდეგ.

მუხლი 62. თუ პატენტმფლობელმა წლიური ბაჟი არ გადაიხადა საპატ
მიზეზით, მას უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა პატენტის აღდგენის თა
ბაზე.

შუამდგომლობა აღიძვრება 2 თვის განმავლობაში დადგენილი საშეღავათ
ვადის გასვლის შემდეგ და იგი საპატენტო რეესტრში შეიტანება.

მუხლი 63. თუ პატენტის აღდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება
გამოტანილი, პატენტიდან გამომდინარე უფლება იურიდიულ ძალას იძენს პ
ტენტის აღდგენის თარიღიდან ერთი თვის ვადაში წლიური ბაჟის გადახდ
შემდეგ. ამასთან, დამატებითი ბაჟის ოდენობა დარჩენილი საბაჟო გადასახ
დების ოდენობის ტოლია.

მუხლი 64. ნებისმიერ პირს, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის ტ
რიტორიაზე პატენტის ძალის დაკარგვის თარიღისა და მისი აღდგენის თარ
ღის შუალედში კეთილსინდისიერად გამოიყენა ან განახორციელა სამზადის
იმ გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც პატენტის საგანს შეადგენ
უფლება აქვს განაგრძოს მისი გამოყენება საკუთარი მეწარმეობისათვის. ა
უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად, რომელზე
იგი ვრცელდება (შემდგომსარგებლობის უფლება).

მუხლი 65. პატენტი ძალას კარგავს „საქპატენტში" პატენტმფლობელი
მიერ საკუთარ პატენტზე წერილობითი უარის განცხადების შემთხვევაში.

პატენტი ძალადაკარგულად ითვლება პატენტმფლობელის უარის ოფ
ციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღიდან.

მუხლი 66. პატენტი უქმდება, თუკი დადგინდა, რომ:

ა) პატენტმფლობელი არ აღმოჩნდა გამომგონებელი, არც მისი უფლება
მონაცვლე და მას არ ჰქონდა პატენტის მიღების სხვაგვარი უფლება;

ბ) პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;

გ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ გამოგონებებს, რომლებზეც თა
ნახმად ამ კანონისა, პატენტი არ გაიცემა.

დ) პატენტი არ აღწერს გამოგონებას ისეთი სისრულით, რომ შესაძლებე
ლი იყოს მისი განხორციელება;

ე) პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მიხედვითად დადგინდა პრიორიტეტი.

მუხლი 67. პატენტის სრულ ან ნაწილობრივ ბათილებას უკუქცევითი ძალა აქვს პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან.

მუხლი 68. პატენტმფლობელს უფლება აქვს გასცეს ლიცენზია სხვა პირზე მათი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 69. ყოველი სალიცენზიო ხელშეკრულება „საქპატენტში" რეგისტრირდება სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში სალიცენზიო ხელშეკრულება დადებულად არ ითვლება.

მუხლი 70. იმ შემთხვევაში, თუ დაპატენტებული გამოგონება არასაკმარისად არის გამოყენებული ან არ იყენებენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „საქპატენტს" საპატენტო სიგელის გაცემის თარიღიდან 4 წლის შემდეგ უფლება აქვს ნებისმიერი პირის მოთხოვნით აიძულოს პატენტმფლობელი გასცეს ლიცენზია ამ პირზე (იძულებითი ლიცენზია).

იძულებითი ლიცენზია გაიცემა მხოლოდ ფარდი ანაზღაურების პირობით.

მუხლი 71. იძულებითი ლიცენზია გაიცემა, თუ:

ა) მოთხოვნილება დაპატენტებული გამოგონების გამოყენებაზე არ კმაყოფილდება;

ბ) გამოგონების გამოყენება ფერხდება და დამოკიდებულია ადრე გაცემული მოქმედი პატენტისაგან;

გ) პატენტმფლობელი ნებაყოფლობით არ იძლევა ლიცენზიას სამართლიანი პირობებით.

მუხლი 72. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს უფლება აქვს მოახდინოს ნებისმიერი პატენტის იძულებითი ლიცენზირება.

მუხლი 73. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, იმ პატენტების მიმართ, რომლებიც გაცემულია ფარმაცევტულ პრეპარატებზე, ამ პრეპარატების მიღების ხერხებზე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოფიციალური ლიცენზირების რეჟიმი, იმ შემთხვევაში, თუ ეს პრეპარატი მომხმარებელს მიეწოდება არასაკმარისად, ან დაბალი ხარისხისა ან გაუმართლებლად მაღალ ფასებში, ხოლო მკურნალობის და დიაგნოსტიკის ხერხების, აგრეთვე საშუალებების გამოუყენებლობა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

ამ მუხლის პირველ ნაწილში და ამ დებულების 72-ე მუხლში აღნიშნული იძულებითი ლიცენზირების რეჟიმზე არ ვრცელდება ამავე დებულების 70-ე მუხლში მითითებული ოთხწლიანი ვადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VII

სასარგებლო მოდელი

მუხლი 74. პატენტი გაიცემა სასარგებლო მოდელზე, რომელიც განეკუთვნება მოწყობილობათა, ნივთიერებათა და ხერხების გაუმჯობესებას და რომელსაც ახასიათებს სიახლე და სარგებლიანობა მისი გამოყენებისას.

მუხლი 75. სასარგებლო მოდელზე განაცხადის წარდგენის წესი და ფორმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრების წესი იგივეა, რაც გამოგონებისათვის.

მუხლი 76. პატენტის გაცემა სასარგებლო მოდელზე ხდება სიახლისა და პრაქტიკული სარგებლიანობის ექსპერტიზის ჩაუტარებლად.

მუხლი 77. სასარგებლო მოდელზე პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება განაცხადის შეტანის დღიდან 8 წლით.

მუხლი 78. „საქპატენტი" ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში უშვებს სასარგებლო მოდელის გამოგონებად აღიარებას, თუკი ამას მოითხოვს განმცხადებელი. ამგვარი მოთხოვნა დასაშვებია პატენტის გაცემაზე გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 2 წლისა.

მუხლი 79. იმ შემთხვევაში, თუ „საქპატენტი" ჩათვლის, რომ სასარგებლო მოდელად განცხადებული ობიექტი განეკუთვნება სამრეწველო ნიმუშების ან გამოგონებათა ობიექტებს, განმცხადებელს ეძლევა განაცხადის გადაფორმების წინადადება. ამასთან პრიორიტეტი დგინდება პირველი ადრინდელი განაცხადის წარდგენის დღიდან.

მუხლი 80. გამოგონების პატენტის გაცემის დღიდან 3 წლის განმავლობაში დასაშვებია ამ გამოგონების სასარგებლო მოდელად გადაფორმება.

თავი VIII

საპატენტო დავები და სანქციები

მუხლი 81. დავებს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებასთან პატენტის გაცემაზე უარის თქმის, იძულებითი ლიცენზიების გაცემის თაობაზე, აგრეთვე გაცემული პატენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და დავებს საზღვარგარეთ დაპატენტებაზე ან საზღვარგარეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის გამოგონების გამოყენებაზე უფლების გადაცემის უარის თაობაზე, განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებული საპატენტო სასამართლო.

ყველა სხვა დავა განიხილება საერთო სასამართლო წესით.

მუხლი 82. კონტრაფაქტორი, რომელიც არასანქცირებულად ამზადებს დაპატენტებულ გამოგონებას, იყენებს და შემოაქვს იგი სამოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობს ამ გამოგონებით, პასუხს აგებს ფულადი ჯარიმით და ზიანის მიყენების ანაზღაურებით, დამრღვევი მოქმედების აკრძალვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგონების არსის განზრახ გამჟღავნებას „საქპატენტში“ გამოქვეყნებამდე, ,ერეთვე ავტორობის მითვისების, თანაავტორობაზე იძულების და ამ მუხლის ,ერველ აბზაცში აღნიშნულ დარღვევათა მოქალაქის მიერ განზრახ ჩადენას ,ეიძლება მოყვეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 83. არაკეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ სარჩელის წარდგე-ზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

მუხლი 84. სასამართლოს უფლება აქვს დააკისროს კონტრაფაქტორს თა-ესი გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება.

თავი IX

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 85. უცხოელი მოქალაქენი, მოქალაქეობის არმქონე პირნი და ,ცხოელი იურიდიული პირები სარგებლობენ ამ კანონით და საქართველოს ,ესპუბლიკის მოქალაქეების და იურიდიული პირების თანაბრად, თუ სხვა რამ ,არის გათვალისწინებული ამავე დებულებით და მოქმედი კანონმდებლობის ,ვა აქტებით.

მუხლი 86. თუ საქართველოს რეპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრუ-ებით (შეთანხმებით) დადგენილია ამ დებულებისაგან განსხვავებული წესი, ,შინ მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) განსაზღვ-ული წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46 სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1992 წლის 1 მაისიდან თანდართული დროებითი დებულება „სამრეწველო ნიმუშების შესახებ“.

2. დროებითი დებულება სამრეწველო ნიმუშების შესახებ გამოიყენება მისი ძალაში შესვლის შემდეგ წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ.

3. დაშვებულია საქართველოს რესპუბლიკის პატენტის გაცემა ყოფილი სსრ კავშირის დოკუმენტებით დაცულ სამრეწველო ნიმუშებზე, რომელთაც აქვთ პრიორიტეტი 1977 წლის 1 მაისის შემდეგ. ამასთან საქართველოს რესპუბლიკის პატენტის მოქმედების ვადა აითვლება სამრეწველო ნიმუშის არსებული პრიორიტეტიდან.

იგივე წესი ვრცელდება პატენტებზე, რომლებიც გაცემულია უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

4. უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების სახელზე გაცემული ყოფილი სსრ კავშირის დამცავი დოკუმენტის მოქმედება გავრცელდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ მათ წინასწარ, 1992 წლის 1 იანვრამდე აქვთ გადახდილი ბაჟი, და იმ ვადით, რომელსაც ითვალისწინებდა ბოლო გადახდა.

5. განცხადებები, რომლებიც ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო უწყებაში განხილვის სტადიაში იყო ან რომლებზეც მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის გაცემული საავტორო მოწმობები ან პატენტები, შეიძლება შეტანილ იქნეს „საქპატენტში“, ამასთან მათ შეუნარჩუნდებათ ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო უწყების მიერ დადგენილი პრიორიტეტი.

6. ამ დებულების ამოქმედებიდან 3 თვის განმავლობაში დასაშვებია პატენტის გაცემა ფიზიკური ან იურიდიული პირების ისეთ სავარაუდო სამრეწველო ნიმუშებზე, რომელთა გამოყენება ან პუბლიკაცია საქართველოს რესპუბლიკაში მოხდა 1990 წლის 1 მაისის შემდეგ.

7. ამ დებულებაში მითითებულ საპატენტო სასამართლოს შექმნამდე წარმოქმნილი დავები განიხილება საერთო სასამართლო წესით.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინიტროსთან ერთად წინადადებანი სამრეწველო ნიმუშებზე საპატენტო უფლებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის საბაჟო ვადასახადების შესახებ და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს ამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ბილისი, 1992 წ. 15 მარტი, № 303

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 15 მარტის
№ 303 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამრეწველო ნიმუშების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკა იცავს უფლებას სამრეწველო ნიმუშებზე და ადასტურებს მას პატენტით.

მუხლი 2. პატენტი სამრეწველო ნიმუშზე გაიცემა სამრეწველო წესით დამზადებული ნაკეთობის ახალ მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგნულ სახეზე.

მუხლი 3. სამრეწველო ნიმუშს ახასიათებს სიახლე, თუ პატენტზე განაცხადის შეტანამდე ის არ იყო ცნობილი საქართველოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

მუხლი 4. სამრეწველო ნიმუშის სიახლეს არ აბათილებს პატენტზე განაცხადის შეტანამდე 6 თვით ადრე მისი წარდგენა ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენებზე, თუ მესამე პირის მიერ აშკარად ბოროტად იქნა გამოყენებული უფლება განმცხადებლის ან მის წინამოსარგებლის მიმართ.

მუხლი 5. სამრეწველო წესით დამზადება და გამოყენებადობა გულისხმობს ნიმუშის მრავალჯერად დამზადებასა და სარგებლობის შესაძლებლობას მეურნეობრიობის ნებისმიერ დარგში.

მუხლი 6. სამრეწველო ნიმუში უნდა ხასიათდებოდეს მხატვრული ღირსებით, რომლებიც მიიღწევა სხვადასხვა კაზმულობებით, ფორმების ორიგინალობით, წირების შეხამებით, ფერებში გადაწყვეტის თავისებურებებით. ყოველივე ეს არსებითად უნდა განასხვავებდეს სამრეწველო ნიმუშს უკვე ცნობილის ნიმუშებისაგან და მისი მხატვრული ღირსებები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებები.

მუხლი 7. სამრეწველო ნიმუშზე პატენტი არ გაიცემა თუ ის ეხება:

ა) ობიექტებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ ინტერესს ან მორალს;

ბ) შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგნულ სახეს, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა;

გ) არამდგრადი ფორმის მქონე ობიექტებს, როგორიცაა თხევადი, აირისებრი ფხვიერი და სხვა.

მუხლი 8. პატენტი ადასტურებს ავტორობას და პრიორიტეტს, ანიჭებს პატენტმფლობელს განსაკუთრებულ უფლებას გამოყენებაზე, მისი გამოყენებისაგან შემოსავლის ან მოგების მიღებაზე — პატენტმფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს სამრეწველო ნიმუშს.

პატენტმფლობელს შეუძლია გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს პატენტი, გასცეს ლიცენზია სამრეწველო ნიმუშის გამოყენებაზე დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 9. პატენტზე უფლება ეკუთვნის სამრეწველო ნიმუშის ავტორს (ავტორებს) ან მის უფლებამონაცვლეს.

მუხლი 10. სამრეწველო ნიმუში დაცულია პატენტით 10 წლის განმავლობაში დღიდან განაცხადის შეტანისა. დასაშვებია პატენტის მოქმედების ვადის გაგრძელება 5 წლით.

მუხლი 11. სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციაზე განაცხადი მიეწოდება საქპატენტს.

ერთი განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე შეიძლება მოიცავდეს ერთ ან მრავალ ნიმუშს იმ პირობით, რომ ერთდროულად განცხადებული ნიმუშები შეადგენს ნაკეთობების ერთგვაროვან სერიას, და მიეკუთვნებიან სამრეწველო ნიმუშების ერთ კლასს საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით.

განაცხადი სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს:

— ავტორის (ავტორების) ან მისი უფლებამონაცვლის სახელსა და გვარს, მისამართს. თუ განმცხადებელი წარმოდგენილია რწმუნებულით, მასზე ნაჩვენები უნდა იქნეს იგივე მონაცემები;

— სამრეწველო ნიმუშის დასახელებას მისი განმასხვავებელი ნიშნების ჩვენებით;

— სამრეწველო წესით მიღებულ საკუთრივ ნიმუშს ან მის გამოსახულებას, რომელიც იძლევა გარეგანი სახის სრულ და დეტალურ წარმოდგენას;

— სამრეწველო ნიმუშის აღწერილობას, თუ ეს აუცილებელია ნიმუშის აღსაქმელად;

— ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

— შესაბამის მინდობილობას აუცილებლობის შემთხვევაში.

მუხლი 12. სამრეწველო ნიმუშზე პატენტი გაიცემა სრული ექსპერტიზის ჩატარების გარეშე.

განმცხადებელს საქპატენტის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე თავისი სურვილისამებრ შეუძლია ნებისმიერ დროს უკან გამოითხოვოს განაცხადი.

მუხლი 13. საქპატენტი ამოწმებს განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებს და დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში ახდენს სამრეწველო ნიმუშის სახელმწიფო რეგისტრაციას. რეგისტრაციიდან 3 თვის შემდეგ ნიმუში ქვეყნდება „საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“.

განმცხადებლის თხოვნით ბიულეტენში გამოქვეყნება შეიძლება გადაიდოს, მაგრამ არა უმეტეს 2 წლისა რეგისტრაციის დღიდან.

მუხლი 14. თუ სამრეწველო ნაკეთობის გარეგანი სახე ნაკარნახევია ობიექტის ფუნქციური აუცილებლობით და იგი უზრუნველყოფს სპეციალურ ეფექტიანობას ან გამოყენებაში მოხერხებულობას ან სხვა რაიმე სარგებლიანობას, მაშინ ის შეიძლება დაცულ იქნეს „გამოგონების შესახებ“ დებულების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 15. მესამე პირის მიერ სამრეწველო ნიმუშის გამოყენება მასზე პატენტის მფლობელის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის ნებართვის გარეშე ითვლება სამრეწველო ნიმუშზე უფლების დარღვევად.

მუხლი 16. კონტრაფაქტორი, რომელიც იყენებს სამრეწველო ნიმუშს პატენტმფლობელის უფლების დარღვევით, ვალდებულია პატენტმფლობელის მოთხოვნით შეწყვიტოს სამრეწველო ნიმუშის გამოყენება და აანაზღაუროს ზარალი.

მუხლი 17. განაცხადის წარდგენის საპატენტო უფლებების გაფორმების, პატენტიდან გამომდინარე უფლებების განსაზღვრისათვის და დავების განხილვისათვის გამოიყენება „გამოგონების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული ნორმები.

მუხლი 18. თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) გათვალისწინებული განსხვავებული წესები, ვიდრე ეს დადგენილია ამ დებულებით, მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) გათვალისწინებული წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

47 სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1992 წლის 1 მაისიდან თანდართული დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ.

2. დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ გამოიყენება მისი ძალაში შესვლის შემდეგ წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ.

3. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც აქვთ ყოფილ სსრ კავშირში რეგისტრიებული სასაქონლო ნიშნები, შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი „საქპატენტში“ მათი ხელახლა რეგისტრაციისათვის სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების სამოქმედოდ შემოღების დღიდან სამი თვის ვადაში. ამავე ვადით იმოქმედებს მათი ადრინდელი პრიორიტეტი.

4. ამ დებულებაში მითითებული საპატენტო სასამართლოს შექმნამდე წარმოქმნილი დავები განიხილება საერთო სასამართლო წესით.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად წინადადებანი სასაქონლო ნიშნების სარეგისტრაციოდ საბაჟო გადასახადების შესახებ და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 მარტი, № 304

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის № 304
დადგენილებით

დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთგვაროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვიერი, გამოსახულებითი, მოცულობითი ან მათი კომბინაციისაგან შემდგარი.

გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ბგერითი ნიშანი.

სასაქონლო ნიშანში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საფირმო სახელწოდება.

სასაქონლო ნიშნის მსგავსად შეიძლება დაცულ იქნეს მომსახურების ნიშანი.

მუხლი 2. არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია:

ა) სიმბოლოსი, რომელიც შევიდა საყოველთაო ხმარებაში, როგორც გარკვეული სახის ნაწარმის გვარეობითი ცნება.

ბ) ისეთი ტერმინებისა, რომლებიც მიუთითებენ მხოლოდ საქონლის ან ნაწარმის თვისებებზე, რაოდენობაზე, წარმოების ან გასაღების ადგილსა და დროზე;

გ) სიმბოლოების, რომლებიც მოიცავენ ან შედგებიან ისეთი სახის მინიშნებებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი;

დ) სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის 6 bis და 6 ter მუხლებით დათქმული სიმბოლოებისა, რომლებიც ეხება საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნებს ან ჰერალდიკურ გამოსახულებებს, სახელმწიფო დროშებს, ემბლემებსა და ჰიმნებს; საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების დასახელებებს, ოფიციალურ საგარანტიო დამღებს;

ე) ისეთი სიმბოლოებისა, რომლებიც ბღალავენ ეროვნულ ღირსებას, აღიზიანებენ რელიგიურ გრძნობებს, ეწინააღმდეგებიან ჰუმანისტური მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობას და ტრადიციებს;

ვ) ცალკეულ პიროვნებათა სახელების, გვარების, ფსევდონიმების, ფაქსიმილეებისა და პორტრეტებისა მათი თანხმობის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II

სასაქონლო ნიშანზე უფლების გაფორმება

მუხლი 3. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე შეიტანება „საქპატენტში“ იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ.

განაცხადი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

„საქპატენტთან“ საქმიანობა იურიდიულ პირს ან მოქალაქეს შეუძლია განახორციელოს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

მოქალაქე (უცხოელი იურიდიული პირი) — რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თავის საქმიანობას „საქპატენტთან“ წარმართავს საქართველოს მოქალაქე — პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

მუხლი 4. განაცხადი სასაქონლო ნიშანზე უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ სასაქონლო ნიშანს და უნდა შეიცავდეს:

ა) დადგენილი ფორმის განაცხადს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე,

ბ) სასაქონლო ნიშნის აღწერილობას და ფოტოპირს;

გ) კოლექტიური ნიშნის წესდებას, თუ განაცხადი შეტანილია კოლექტიურ ნიშანზე;

დ) საქონლის ან (და) მომსახურების ნუსხას, რომელთა ინდივიდუალიზაციისთვისაც სარეგისტრაციოდ წარდგენილია სასაქონლო ნიშანი, ამასთან, ის უნდა იყოს კლასიფიცირებული ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლის და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

ვ) წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ.

განაცხადის შეტანის თარიღად ითვლება ის დღე, როდესაც განმცხადებელმა იგი ჩააბარა საქართველოს რესპუბლიკის ფოსტას ან უშუალოდ წარადგინა „საქპატენტში“.

მუხლი 5. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის თარიღიდან.

თუ იდენტურ (ერთ) სასაქონლო ნიშანზე ერთსა და იმავე დღეს შევიდა რამდენიმე განაცხადი, პრიორიტეტი დგინდება სასაქონლო ნიშნის ფაქტიური გამოყენების თარიღიდან.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას, ვალდებული არიან სამოქალაქო ბრუნვაში შეიტანონ, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია.

ახლადშექმნილ ორგანიზაციებს უფლება აქვთ შეიტანონ სამოქალაქო ბრუნვაში საქონელი სასაქონლო ნიშნის გარეშე ამ საქონლის გამოშვების დღიდან არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7. სასაქონლო ნიშნის თაობაზე შეტანილ განაცხადზე „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის დადგენილი ფორმის შემოწმებას და ორიგინალობის ექსპერტიზას.

განაცხადის დადგენილი ფორმის შემოწმება ტარდება შეტანიდან ერთი თვის ვადაში და მის მსვლელობაში განიხილება დაცულია თუ არა განაცხადის შეტანის ფორმა, ეხება თუ არა ის ერთ სასაქონლო ნიშანს და ხომ არ განეკუთვნება განაცხადში წარმოდგენილი ნიშანი ისეთ სიმბოლოთა რიცხვს, რომელთა რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად დაუშვებელია.

მუხლი 8. განაცხადის წარდგენიდან 2 თვის განმავლობაში განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის შესახებ, ეს უკანასკნელი ეხება იმ შემთხვევას თუ განმცხადებელი არ ითხოვს კონვენციურ პრიორიტეტს.

მუხლი 9. თუ გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშანზე შეტანილი განაცხადის თაობაზე დამოკიდებულია სხვა, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადის განხილვის შედეგებზე, შედარებით გვიანდელი განაცხადის განხილვა შეიძლება შეჩერდეს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 10. ექსპერტიზა სასაქონლო ნიშნის ორიგინალობაზე ტარდება განაცხადის „საქპატენტში“ შეტანიდან 6 თვის ვადაში და მოწმდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის მსგავსება ან იდენტურობა უკვე მოქმედი ან საყოველთაოდ აღიარებული სასაქონლო ნიშნის მიმართ.

მუხლი 11. განმცხადებელს უფლება აქვს:

— მოითხოვოს საკუთარი განაცხადის განხილვის შეჩერება, მაგრამ არა უმეტეს სამი თვით;

— ექსპერტიზის მსვლელობის პერიოდში, გაეცნოს ექსპერტიზის ჩატარებისას გამოყენებულ მასალებს;

— განაცხადის შეტანიდან არა უგვიანეს ორი თვისა, საკუთარი ინიციატივით შეასწოროს, შეავსოს ან დააზუსტოს განაცხადის მასალები, იმ პირობით, თუ აღნიშნული შესწორება არ შეცვლის განაცხადის საგანს.

— ექსპერტიზის დამთავრებამდე გამოითხოვოს განაცხადი.

მუხლი 12. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 13. ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი თვის განმავლობაში.

განმცხადებელს უფლება აქვს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 14. „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის სასაქონლო ნიშნების და მომსახურების ნიშნების სახელმწიფო რეესტრში

აღნიშნულ რეესტრში შეიტანება სასაქონლო ნიშანი, ცნობები მისი მფლობელის შესახებ, იმ საქონლისა და მომსახურების ნუსხა, რომელთათვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება რეგისტრაციას.

რეესტრშივე შეიტანება ზემოჩამოთვლილი ცნობების ყველა შემდგომი ცვლილება.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს დამოწმებული ამონაწერის გაცემა ამ რეესტრიდან.

მუხლი 15. სასაქონლო ნიშანზე გაიცემა მოწმობა, რომელიც ადასტურებს განაცხადში აღნიშნული სიმბოლოს რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნად, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტს, მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე და სამოქალაქო ბრუნვაში მარკირებული საქონლის ჩართვაზე.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ერთი ან რამდენიმე პირის ან მათი გაერთიანების სახელზე.

მუხლი 16. მოწმობა სასაქონლო ნიშანზე მოქმედებს 10 წლის განმავლობაში დღიდან მისი რეგისტრაციისა, მისი მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად.

მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს წინა რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, ბაჟის გადახდის პირობით. ჩანაწერი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ „საქპატენტის“ მიერ შეიტანება მოწმობაში.

დადგენილ ვადაში ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წყდება.

მუხლი 17. სასაქონლო ნიშანი, რომლის რეგისტრაციის ვადა გავიდა, არ შეიძლება ხელმეორედ იქნეს რეგისტრირებული წინა რეგისტრაციის მოქმედების შეწყვეტის თარიღიდან სამი წლის გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მის რეგისტრაციას მოითხოვს ამ სასაქონლო ნიშნის ადრინდელი მფლობელი.

ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც სასაქონლო ნიშნის მფლობელმა უარი განაცხადა მასზე რეგისტრაციის ვადის გასვლამდე.

თუ ერთი და იგივე სასაქონლო ნიშანზე შეტანილია რამდენიმე განაცხადი სხვადასხვა პირის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი ამ ნიშნის ადრინდელი მფლობელია, უპირატესი უფლება აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ენიჭება ამ უკანასკნელს.

მუხლი 18. სასაქონლო ნიშნის რეესტრში შეტანიდან არა უგვიანეს ცხრა თვეში „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“.

გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სასაქონლო ნიშნის რეპროდუქციას, ცნობებს სასაქონლო ნიშნის მფლობელზე, იმ საქონლისა და ამ მომსახურების ნუსხას, რომლისთვისაც რეგისტრირებულია აღნიშნული ნიშანი.

ბიულეტენშივე ქვეყნდება: ცნობები რეგისტრაციის ვადის გაგრძელების, ნუსხის შევსების ან შემცირების, სასაქონლო ნიშნის ცალკეული ელემენტების უმნიშვნელო ცვლილების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებულ სხვა ცვლილებებზე.

ჩანაწერი აღნიშნულ ცვლილებათა შესახებ „საქპატენტის“ მიერ შეიტანება სიგელში.

მუხლი 19. განაცხადის შეტანის, ექსპერტიზის ჩატარების, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის, რეგისტრაციის ვადის გაგრძელების, აგრეთვე რეგისტრაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედების ჩატარებისათვის გადახდილ უნდა იქნეს ბაჟი დადგენილი წესის მიხედვით.

ბაჟი უნდა გადაიხადოს განმცხადებელმა, სასაქონლო ნიშნის მფლობელმა ან ნებისმიერმა სხვა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს დადგენილი წესის დაცვით წარადგინოს რეგისტრაციაში გასატარებლად სასაქონლო ნიშანი სხვა სახელმწიფოში ან მოახდინოს მისი საერთაშორისო რეგისტრაცია.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სხვა ქვეყანაში გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, თუნდაც რეგისტრირებულისაგან განსხვავებული, მაგრამ ისეთი ცალკეული ელემენტებით, რომლებიც ნიშნის განმასხვავებელ ორიგინალობას არ ცვლიან.

მუხლი 22. გაერთიანებას, რომელიც სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით და აქვს კომერციული მიზანი, შეუძლია შეიტანოს განაცხადი კოლექტიურ ნიშანზე, რომელიც განკუთვნილია ამ გაერთიანების წევრი საწარმოების საქონლის ან მომსახურების აღსანიშნავად. კოლექტიური ნიშანი შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს როგორც მთლიანად გაერთიანების, ისე ამ გაერთიანების წევრი, იურიდიული პირის სტატუსის მქონე ცალკეული საწარმოს სახელზე.

მუხლი 23. კოლექტიური ნიშნის წესდებაში მითითებული უნდა იქნეს გაერთიანების ან მისი უფლებამოსილი წევრის სახელწოდება, გაერთიანების მიზნები და ადგილმდებარეობა, იმ პირთა წრე, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული კოლექტიური ნიშნით სარგებლობის უფლებამოსილება, მათი სამართლებრივი სტატუსის მითითებით, კოლექტიური ნიშნით აღსანიშნავი საქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ნუსხა და ერთიანი ხარისხობრივი მახასიათებლები, კოლექტიური ნიშნის გამოყენების, მის გამოყენებაზე კონტროლის პირობები, სანქციები კოლექტიური ნიშნის წესდების დარღვევისათვის.

მუხლი 24. გაერთიანების წევრ საწარმოებს უფლება აქვთ კოლექტიურ ნიშანთან ერთად ისარგებლონ თავიანთი სასაქონლო ნიშნებითაც.

მუხლი 25. იმ შემთხვევაში, თუ კოლექტიური ნიშანი გამოიყენება მისი წესდების დარღვევით, ნებისმიერ პირს ეძლევა უფლება შეიტანოს სააპელაციო პალატაში განცხადება კოლექტიური ნიშნის გაუქმების შესახებ.

სააპელაციო პალატა აღნიშნულ განცხადებას განიხილავს ორი თვის განმავლობაში.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება კოლექტიური ნიშნის გაუქმების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში.

თავი III

სასაქონლო ნიშნის გამოყენება

მუხლი 26. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება მისი აღბეჭდვა იმ საქონელზე, რომელთა ინდივიდუალიზაციისთვისაც არის იგი რეგისტრირებული, მის შეფუთვაზე, აგრეთვე მისი ხმარება რეკლამაში, აბრებზე, ბეჭდვით გამოცემებში, ექსპონატების დემონსტრირებისას გამოფენებსა და ბაზრობებზე, სასაქონლო ნიშნის გამოყენება ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის საფუძველზე.

მუხლი 27. სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს ნიშანთან ერთად მოათავსოს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული გამაფრთხილებელი აღნიშვნა რ ან ან ორივე ერთად იმის შესახებ, რომ გამოყენებული სიმბოლო წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს

თავი IV

სასაქონლო ნიშნის გადაცემა

მუხლი 28. სასაქონლო ნიშანზე გაცემული მოწმობიდან გამომდინარე უფლებანი შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება გასხვისდეს წარმოებისა და საწარმოს საიდუმლოების გადაცემის გარეშე.

სასაქონლო ნიშნის მფლობელი პირის გარდაცვალების შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი გადადის მემკვიდრეობით.

მუხლი 29. სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისი მფლობელის მიერ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს სალიცენზიო ხელშეკრულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პირობას იმის თაობაზე, რომ ლიცენზიატის საქონლის ხარისხი არ იქნება ლიცენზიარის საქონლის ხარისხზე ნაკლები. ამავე ხელშეკრულებაში შეიძლება აღნიშნულ იქნეს რომ ლიცენზიარს ეძლევა უფლება განახორციელოს კონტროლი ზემოაღნიშნული პირობის შესრულებაზე.

ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის დათმობის შესახებ, სალიცენზიო ხელშეკრულება ან დოკუმენტი სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ, რეგისტრირდება „საქპატენტში". აღნიშნული რეგისტრაციის გარეშე ხელშეკრულება ბათილია.

მუხლი 30. სასაქონლო ნიშნის მფლობელი საწარმოთა შერწყმის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნები გადაეცემა ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირს.

მუხლი 31. სასაქონლო ნიშნის მფლობელი საწარმოს გაყოფის შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი გადაეცემა იმ იურიდიულ პირს, რომელსაც გადაეცემა სასაქონლო ნიშნით დაცული საქონლის წარმოება.

იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა შეინარჩუნა იმ საქონლის წარმოების ნაწილი, რომლისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, ორივე საწარმო-დამამზადებელი მათი შეთანხმებისამებრ შეიძლება ცნობილ იქნეს სასაქონლო ნიშნის თანამფლობელად.

მუხლი 32. სასაქონლო ნიშნის მფლობელი საწარმოს სხვა იურიდიულ პირთან მიერთების შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი გადადის ამ უკანასკნელზე.

მუხლი 33. არ დაიშვება კოლექტიური ნიშნისა და ამ ნიშანზე ლიცენზიის გადაცემა გარეშე პირზე.

თავი V

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება და ბათილად ცნობა

მუხლი 34. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად ან ნაწილობრივ ბათილად, თუ ეს მოხდა ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევით ან თუ პირს არ ჰქონდა სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შეტანის უფლება.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააპელაციო პალატაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე პროტესტის შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ პირს. აღნიშნული პროტესტი განხილულ უნდა იქნეს ექვსი თვის ვადაში. მხარეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროტესტის განხილვაში.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში.

მუხლი 35. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წყდება ვადაზე ადრე:

— თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა შეიტანა შესაბამისი განცხადება „საქპატენტში";

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა დროზე არ გადაიხადა დადგენილი ბაჟი;

— სასაქონლო ნიშნის მფლობელის საწარმოს ლიკვიდაციის ან მოქალაქის სიკვდილის შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანი არ გადაეცა ახალ მფლობელს;

— თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი.

თავი VI

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, საპატენტო დავები და სანქციები

მუხლი 36. აკრძალულია რეგისტრაცია ან გამოყენება ისეთი სასაქონლო ნიშნისა, რომელიც ან რომლის შემადგენელი ნაწილიც არის იმიტაცია, მიბაძვა ან განმეორება საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაოდ ცნობილი ნიშნისა, და შეუძლია გამოიწვიოს აღრევა ამ ნიშანთან.

თუ აღნიშნული სასაქონლო ნიშანი უკვე რეგისტრირებულია, დაინტერესებულ პირს ან შესაბამის სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს მისი გაუქმება რეგისტრაციის თარიღიდან არა უგვიანეს ხუთი წლისა.

მუხლი 37. აკრძალულია:

— სასაქონლო ნიშნის გამოყენება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის, რომელსაც შეიძლება შედეგად მოყვეს კონკურენტის პროდუქციის, საწარმოს ან სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის აღრევა.

მუხლი 38. არაკეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ სარჩელის წარდგენაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

მუხლი 39. ნებისმიერ პროდუქციას, რომელზეც უკანონოდ არის გამოყენებული სასაქონლო ნიშანი ედება ყადაღა საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანის მცდელობის, მარკირების შემთხვევაში, თუ ეს სასაქონლო ნიშანი დაცულია საქართველოს რესპუბლიკის მიერ.

ყადაღის დადება შეიძლება მოითხოვოს პროკურორმა ან სხვა კომპეტენტურმა ორგანომ ან დაინტერესებულმა პირმა.

მუხლი 40. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები რეგისტრაციაზე უარის თქმის, რეგისტრაციის შეწყვეტის, მისი ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად ცნობის, აღდგენაზე უარის თქმის თაობაზე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში.

სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული ყველა სხვა დავა განიხილება საერთო სასამართლო წესით.

მუხლი 41. სასაქონლო ნიშნის ან მისი მსგავსი აღნიშვნის გამოყენება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, აგრეთვე სხვა სახის ქმედება სასაქონლო ნიშნის მიმართ, რომელიც ზიანს ან ზარალს აყენებს მის მფლობელს ან მომხმარებელს, იწვევს პასუხისმგებლობას სამოქალაქო-სამართლებრივი ან სისხლის სამართლის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 42. სასაქონლო ნიშნის მფლობელს, რომლის უფლებები დაირღვა, შეუძლია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარუდგინოს სარჩელი მოპასუხეს და მოსთხოვოს:

— თავისი უფლებების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

— ყველა იმ ეტიკეტის, ნახატის, ანაბეჭდის, პაკეტის, შეფუთვის და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, ან მის ასლს, მიმსგავსებას, იმიტაციას და არღვევს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებას.

სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს აგრეთვე ამ ნიშნის დასამზადებლად მომარჯვებული პალატების, მატრიცების და, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

მუხლი 43. სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევის თაობაზე სასამართლოს შეუძლია დააკისროს დამრღვევ პირს საკუთარი ხარჯით სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

მუხლი 44. პირი, რომელიც ამზადებს ყალბ სასაქონლო ნიშანს, უკანონოდ იყენებს, ითვისებს ან სარგებლობს სხვისი სასაქონლო ნიშნით, განზრახ შეაქვს სამოქალაქო ბრუნვაში კონტრაფაქტული ან მოტყუების გზით ნიშანდებული საქონელი, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მიზნით ამზადებს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იმიტაციას ან იყენებს იმიტირებულ სასაქონლო ნიშანს, სასაქონლო ნიშნის გარეშე უშვებს საქონელს — აგრეთვე იყენებს თავის სასაქონლო ნიშანში ისეთ სიმბოლოებს, რომელთა სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია დაუშვებელია და ისჯება სასაქონლო ნიშნის ან ნიშანდებული საქონლის კონფისკაციით, ჯარიმით ან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გამასწორებელი სამუშაოებით ან თავისუფლების აღკვეთით.

თავი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 45. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის არმქონე პირნი და უცხოელი იურიდიული პირები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების და იურიდიული პირების თანაბრად სარგებლობენ ამ დებულებით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 46. ეს დებულება ვრცელდება ერთობლივ საწარმოებზე. საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს და უცხოეთის საწარმოების, ორგანიზაციების და ფირმების მონაწილეობით.

მუხლი 47. თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ დებულების და საქართველოს რესპუბლიკის სხვა სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტების დებულებებისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

84 საქართველოს მწერალთა კავშირის თარგმანის საგამომცემლო ცენტრის საკითხების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის XI ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის წინადადება და საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ბაზაზე შექმნილი საქართველოს მწერალთა კავშირის თარგმანის საგამომცემლო ცენტრი „ხომლი“ გატარდეს რეგისტრაციაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2 ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 4 მარტის № 132 დადგენილების მე-2 პუნქტი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 მარტი, № 306

ეროვნული ბიბლიოთეკა

49 რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქმეოლითის“ შექმნის შესახებ

შავი და ფერადი ლითონების ჯართის გამოყენების ეფექტიანობის გასაზრდელად და სახალხო მეურნეობაში პირველადი რესურსების მაგიერ მაქსიმალურად გამოსაყენებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შეიქმნას საწარმოო გაერთიანება „საქმეოშავლითისა“ და „საქმეოფერლითის“ სამმართველოს ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქმეოლითი“.

2. რესპუბლიკური გაერთიანება „საქმეოლითი“ დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს.

3. გადაეცეს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქმეოლითს“ 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოო გაერთიანება „საქმეოშავლითისა“ და „საქმეოფერლითის“ სამმართველოს ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, სატრანსპორტო საშუალებები, შენობა-ნაგებობები და სხვა ფასეულობები.

4. საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ ერთი თვის ვადაში გაერთიანება „საქმეოლითთან“ ერთად წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წინადადებანი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქმეოლითის“ სტრუქტურისა და დებულების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 მარტი, № 307

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ჯეროვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ეროვნული შეიარაღებული ძალებისა და სამობილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სტიქიური უბედურებით, ავარიებით, კატასტროფებითა და სხვა საგანგებო სიტუაციებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის პირველი რიგის ღონისძიებათა განსახორციელებლად, სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულით, სათბობ-ენერგეტიკული მასალებით, სასურსათო საქონლით, საერთო რესპუბლიკური ბაზრის დასარეგულირებლად, ასევე ნედლეულით, სათბობითა და სურსათით მომარაგებაში შეფერხებების შემთხვევაში რესპუბლიკის მთავრობის მიერ საწარმოებისა და მოსახლეობისათვის მატერიალური ფასეულობებით გადაუდებელი დახმარების გასაწევად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. ყოფილი სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების კომიტეტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს პროექტები: კონცეფციისა სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დებულებებისა სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ და სამობილიზაციო რეზერვების შესახებ, რომლებიც წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მიმდინარე წლის 1 მაისამდე.

3. განისაზღვროს:

— საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 40 ერთეულით, 1044 ათასი მანეთი შესანახი ხარჯებით, მათ შორის 608 ათასი მანეთი შრომის ანაზღაურების წლიური ფონდი;

— საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტს დაქვემდებარებული სახელმწიფო რეზერვის საქონლის ბაზების შესანახი ხარჯები 1992 წლისათვის 3872 ათასი მანეთით, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდი 1890 ათასი მანეთი.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და მისი დაქვემდებარების სახელმწიფო რეზერვის საქონლის ბაზების შენახვა განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის თანდართული სტრუქტურა და კომიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტების ნუსხა.

6. საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილებით დამტკიცებული შრომის ანაზღაურების პირობების შესაბამისად, ხოლო დაქვემდებარებული ობიექტების მუშაკების შრომის ანაზღაურება მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 13 იანვრის № 13 დადგენილებით საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით.

7. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, კომიტეტის აპარატისათვის დადგენილი ზღვრული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში დაამტკიცოს საშტატო განრიგი და აუცილებლობის შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებანი კომიტეტის აპარატის დამტკიცებულ სტრუქტურაში.

8. ნება დაერთოს კომიტეტის თავმჯდომარეს იყოლიოს თავმჯდომარის ორი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე.

9. განისაზღვროს კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობა 7 კაცით. დაწესდეს, რომ კოლეგიის შემადგენლობაში შედიან კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კომიტეტის აპარატის წამყვანი სამსახურებისა და კომიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთა პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

10. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლობის ფარგლებში 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს სათანადო სახსრების გამოყოფა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნისა და შევსების მიზნით.

11. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს განსაზღვროს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ნუსხა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო რეზერვში მისაწოდებელი პროდუქციის წარმოება და რეზერვში გაგზავნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული საქონლისა და მასალების ნომენკლატურის შესაბამისად, ამასთან, მიუთითონ რეზერვში ჩასაწყობი საქონლის რაოდენობა.

12. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს სახელმწიფო რეზერვში საქონლის ჩაწყობისას იხელმძღვანელონ დროებით, ახალი ნორმატიული დოკუმენტების დამტკიცებამდე, არსებული დებულებით სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ, დებულებით სამობილიზაციო რეზერვების შესახებ და შესაბამისი ინსტრუქციებით მათი ჩაწყობის, შენახვისა და დაფინანსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს სახელმწიფო რეზერვში შესანახი მასალებისა და საქონლის ნომენკლატურა და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

14. დაევალოთ სამობილიზაციო რეზერვში მატერიალურ ფასეულობათა დაგროვების დავალების მქონე საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს რესპუბლიკის თავდაცვისა და სამობილიზაციო მზადყოფნის თაობაზე ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებამდე უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის სამობილიზაციო მზადყოფნა, ამჟამად მოქმედი სამართლებრივი აქტების საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელები პერსონალურად არიან პასუხისმგებელნი მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების სამობილიზაციო მზადყოფნისათვის.

15. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროებს განიხილონ საკითხი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების პერსპექტიული განვითარების გეგმით დაწყებული ობიექტების მშენებლობის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ.

16. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტს და დაქვემდებარებულ ობიექტებს (კომბინატებს) აწარმოონ სამეურნეო საქმიანობა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 მარტი, № 308

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრ
კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის
№ 308 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების

ნუსხა

კომბინატი „იალბუზი“
კომბინატი „სამხრეთი“
სამშენებლო-სარემონტო უბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის
№ 308 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის

სტრუქტურა

ნამობილიზაციო რეზერვების განყოფილება
სახელმწიფო მატერიალური რეზერვების განყოფილება
საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება
კაპიტალური მშენებლობისა და ექსპლუატაციის განყოფილება
ექსტრემალური სიტუაციების განყოფილება
ტოლალტრული აღრიცხვის განყოფილება
ასამხედროებული დაცვის ინსპექცია
საერთო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

51 საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში კონტროლის მართვის შემდგომი სრულყოფისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მთავარი საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო და შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა.

2. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის რიცხოვნობა 74, ხოლო ადგილობრივ კოტროლიორთა 207 ერთეულით.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მის ადგილობრივ კონტროლიორთა შენახვა განხორციელდეს რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

3. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს იყოლიოს ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი.

4. დაწესდეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატები ექვემდებარებიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას, ხოლო რაიონებისა და ქალაქების კონტროლიორები — ზემდგომ კონტროლის პალატებს.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს ქონების შესაბამისი ნაწილი.

6. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატამ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად სტრუქტურისა და დებულების პროექტი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 მარტი, № 311

ეროვნული ბიბლიოთეკა

52 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის შექმნის შესახებ

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში საგადასახადო სამსახურის მართვის შემდგომი სრულყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია და გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მთავარი სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია.

2. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ცენტრალური აპარატის რიცხოვნობა 99 ერთეულით, ხოლო დაქვემდებარებული ინსპექციებისა — 15,79 ერთეულით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციისა და დაქვემდებარებული ინსპექციების შენახვა განხორციელდეს რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსმა იყოლიოს უფროსის ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი.

4. დაწესდეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციები ექვემდებარებიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახდო ინსპექციას, ხოლო რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციები — ზემდგომ საგადასახადო ინსპექციას.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას ბალანსიდან ბალანსზე გადაეცეს ქონების შესაბამისი ნაწილი.

6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად ინსპექციის სტრუქტურისა და დებულების პროექტი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 მარტი, № 312

ეროვნული ბიბლიოთეკა

53 საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრ დაქვემდებარებაში ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმა თველოს შექმნის თაობაზე

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსა
რების გაუმჯობესების, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის როლის ამ
ლების, გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების ობიექტურობისა და მათი
დეგების საჯაროობის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის
ნისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინ
ტროს წინადადება და შეიქმნას მის დაქვემდებარებაში ჰიდრომეტეოროლ
გიის მთავარი სამმართველო არსებული ჰიდრომეტეოროლოგიის სამმარ
ლოს ბაზაზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ჰიდრ
ტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს უფროსი იმავდროულად ჩაითვალ
საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტ
საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით
კვირის ვადაში განსაზღვროს და დადგენილი წესით დაამტკიცოს აღნიშნ
მთავარი სამმართველოს მმართველობითი აპარატის რიცხოვნობა და შენა
ხარჯები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 მარტი, № 319

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 ცალკეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის დროებითი წესის შესახებ

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს მისცენ უფლება შემდეგი სახის სამეწარმეო საქმიანობაზე:

— საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტმა და საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ — შესაბამისად წიაღისეულის მოპოვებასა და დამუშავებაზე, ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთობათა წარმოებაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ — სპორტული, სანადირო და სხვა სახის იარაღის შეკეთებაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ — მედიკამენტების წარმოებასა და რეალიზაციაზე, სამედიცინო პრაქტიკაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრომ — შესაბამისად უმავოულო კავშირგაბმულობით მომსახურებასა და ტელერადიოარხების შექმნაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ — იურიდიულ პრაქტიკაზე, საგამოძიებო, საადვოკატო და დაცვით საქმიანობაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ — შრომითი მოწყობის კერძო დაწესებულებათა შექმნაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ — სასწავლო დაწესებულებათა შექმნაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ — კინო და ვიდეოფილმების წარმოებაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ — სალომბარდო მომსახურებაზე, გასართობ და აზარტულ თამაშობათა ორგანიზაციაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — ვეტერინარული პრაქტიკისა და შხამქიმიკატების წარმოებაზე;

ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს წარმოებასა და რეალიზაციაზე გაუქმდეს ლიცენზირების წესი, ხოლო პროდუქციის უსაფრთხოებასა და მოსახერხებლად ვარგისიანობაზე კონტროლი განხორციელდეს დადგენილი წესის თანახმად.

2. ნებართვა (ლიცენზია) მედიკამენტებისა და შხამქიმიკატების წარმოებაზე, სამედიცინო და ვეტერინარულ პრაქტიკაზე, იურიდიულ პრაქტიკაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამოძიებო, საადვოკატო და დაცვით საქმიანობაზე მიეცემა ინდივიდუალურ მეწარმეს (საწარმოს), თუ მასში მომუშავე პირს (პირებს) აქვთ შესაბამისი გ ნათლება.

წიაღისეულის მოპოვებასა და დამუშავებაზე, უმავთულო კავშირგაბმულ ბით მომსახურებაზე ნებართვა (ლიცენზია) ტელერადიოარხების შექმნაზე მი ცემა იმ ინდივიდუალურ მეწარმეს ან საწარმოს, რომელიც წარადგენს წარ მოების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

სხვა დანარჩენი საქმიანობის განსახორციელებლად ნებართვა (ლიცენზია) მიეცემა ყველა ინდივიდუალურ მეწარმეს და საწარმოს, რომელსაც კანონმდებ ლობით უფლება აქვს განახორციელოს ეს საქმიანობა.

3. ნებართვის (ლიცენზიის) მიღებისათვის მეწარმე მიმართავს შესაბამ ორგანოს წერილობითი განცხადებით. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საბუთ ბის სრულად წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში, ლიცენზიის გამცემი ორ განოს მიერ შემუშავებული ფორმით.

უარი ლიცენზიის გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ს მოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა ინდივიდუალური მეწარმისათვის არის 5 წელი, საწარმოსათვის — 5 წელი.

4. ლიცენზიის მიღებისათვის ინდივიდუალური მეწარმე იხდის სალიცენ ზიო მოსაკრებელს 500 მანეთს, ხოლო საწარმო — 1000 მანეთს. აღნიშნულ თანხები ჩაირიცხება ლიცენზიის გამცემი ორგანოს სპეციალურ ანგარიშზე.

5. ლიცენზია შეიძლება ჩამოერთვას მის მფლობელს, თუ:

— იგი თავისი საქმიანობით არღვევს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფ ლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

— თავისი საქმიანობით იგი საფრთხეს უქმნის მოქალაქის სიცოცხლესა დ ჯანმრთელობას, ან თუ მან გამოიწვია საზოგადოებრივად საშიში შედეგი.

ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხს წყვეტს ლიცენზიის გამცემი ორგან ლიცენზიის ჩამორთმევასთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს სასამართლ

6. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 მარტი, № 322

ეროვნული ბიბლიოთეკა

55 საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ სამეურნეო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვერ იქნა დაძლეული ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის შენარჩუნების ცდები. ცალკეულ დარგებში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელიც ახალი ფორმით — კონცერნების, ასოციაციების, გაერთიანებების და ა. შ. სახით ფაქტობრივად ძველი შუალედური მმართველობითი რგოლების ფუნქციების მატარებლები არიან და კვლავ რჩებიან ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში მონოპოლიურ სტრუქტურებად. მიმოქცევის სფეროში კვლავ ფუნქციონირებენ ამგვარი სტრუქტურები. ყოველივე ეს ზღუდავს პირველადი სამეურნეო ერთეულების ეკონომიკურ თავისუფლებას, აფერხებს მათ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებას და ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა:

— მკაცრად დაიცვან „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 23-ე მუხლის მოთხოვნები;

— ერთი კვირის ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე შექმნილი კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი და მიიღონ გადაწყვეტილებანი მათი დაშლის, დაწვრილერთეულების ან გაუქმების თაობაზე მეურნეობის დეცენტრალიზაციის, კონკურენტული გარემოს შექმნისა და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის დემონოპოლიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

— უზრუნველყონ აღნიშნული სახის ასოციაციებიდან, კონცერნებიდან და გაერთიანებებიდან სახელმწიფო საწარმოთა თავისუფალი გასვლა და არ დაუშვან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებიდან საწარმოთა თავისუფალი გასვლის უფლების ხელოვნური შეზღუდვა.

2. სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე კონცერნების, ასოციაციებისა და სხვა სამეურნეო გაერთიანებათა შექმნისას მკაცრად იქნეს დაცული მათში საწარმოთა შესვლის ნებაყოფლობის პრინციპი, ამგვარ გაერთიანებათა შექმნის ყველა პროექტი შეთანხმებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან ანტიმონოპოლიური ექსპერტიზის მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს და ორგანიზაციებს (მათ შორის ვაჭრობისა და მომსახურების სფეროთა ობიექტებს), რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, უფლება მიეცეთ კოლექტივების გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად და ნებაყოფლობით გავიდნენ სხვადასხვა ტიპის გაერთიანებათა (კონცერნი, ასოციაცია, სავაჭრო და სხვა გაერთიანება და ა. შ.) შემადგენლობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ქონების ბაზაზე შექმნილი სამეურნეო ერთეულები გატარდ-ნენ რეგისტრაციაში შესაბამის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით — „სახელმწიფო საწარმო“.

4. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 მარტი, № 323

ეროვნული ბიბლიოთეკა

56 საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა ლ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 მარტი, № 332

ეროვნული ბიბლიოთეკა

№

ДАМТКИЦЕБУЛИЦ
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრ
კაბინეტის 1992 წლის 19 მარტის
№ 332 დადგენილებით

ДЕБУЛЕБА

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემ
გომში „სამინისტრო") არის რესპუბლიკის აგრარული მეურნეობის სახელ
წიფო მართვის ცენტრალური ორგანო.

სამინისტრო შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინ
ტის 1992 წლის 14 თებერვლის № 156 დადგენილებით.

I. სამინისტრო უზენაესი აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში

1. სამინისტრო თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს რესპუ
ლიკის მთავრობას და მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციი
რესპუბლიკის კანონების, მთავრობის დადგენილებების, სამინისტროს ბრძან
ებებისა და სხვა ნორმატიული აქტების, საერთაშორისო სამართლის ნორმები
და ამ დებულების შესაბამისად.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში ს
მინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს პრიორიტეტულ როლ
აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებასა და განხორ
ციელებაში.

3. სამინისტრო მინისტრთა კაბინეტის აპარატის შესაბამის სტრუქტურებთ
ერთად ამზადებს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნ
ლოვანეს საკითხებზე მთავრობის დადგენილებებს, პროექტებს სხვა კანონქვე
დებარე დოკუმენტებს, აქტებს და მონაწილეობას ღებულობს მთავრობი
სხდომებზე მათ განხილვაში, მიღებასა და განხორციელებაში.

4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მინისტრთა კაბინეტის წინაშე თავის
კომპეტენციის ფარგლებში რესპუბლიკაში აგრარული პოლიტიკის განხორციე
ლებასა და მთავრობის შესაბამისი დადგენილებების განუხრელად შესრულ
ბაზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი მთავრო
სის წევრია. მას მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფ
ლებს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის წარდგინებით რესპუბლიკის პარ
ლამენტი, ხოლო მინისტრის მოადგილეებს — მთავრობა.

— საგანგებო პერიოდში მოქმედებს განსაკუთრებული წესი.

II. სამინისტრო რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ხელისუფლების სისტემაში

პარლამენტი, კონსტიტუცია და სამინისტრო

1. სამინისტროს ქმნის რესპუბლიკის პარლამენტი მოქმედი კონსტიტუციის
საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სოფლის მეურნეობის სამინისტრო თანამშრომლობს პარლამენტის შე-
ის სტრუქტურებთან, აგრარული კანონმდებლობის დახვეწისა და სრულ-
ს მიზნით — მუდმივმოქმედ კომისიებთან შეაქვს საქართველოს რესპუბ-
ს მინისტრთა კაბინეტში ახალი კანონ-პროექტები ან წინადადებანი მოქმედ
ნმდებლობაში აგრარულ საკითხებზე.

3. მინისტრი ვალდებულია პასუხი გასცეს დეპუტატთა შეკითხვებზე წე-
ობით ან პარლამენტში გამოსვლით, უფლება აქვს დააყენოს საკითხები
ამენტის წინაშე აგრარული პოლიტიკისა და აგრარული კანონმდებლობის
ებ, თვითონ მიმართოს შეკითხვით საჯაროდ პარლამენტს ან დეპუტატებს.

. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამოცანები, მიზნები და ფუნქციები

სამინისტროს მთავარი მიზნები და ამოცანებია:

— მოსახლეობისა და მრეწველობის უზრუნველყოფა აგრარული მეურ-
ის მაღალხარისხოვანი პროდუქციით;

— საქართველოს სასოფლო ტერიტორიაზე (სოფელი, რაიონი და სხვა)
ომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მათი სოციალური დაცვის
ნტიების უზრუნველყოფა, აგრარული სტრუქტურების განვითარება, გა-
ების სისტემის სრულყოფა;

— აგრარული მეურნეობის ორგანიზაციულ, საწარმოო და ეკონომიკურ
ერთობათა სრულყოფა (აგრარული მეურნეობის, როგორც ინტეგრირე-
ი სისტემის მოდერნიზაცია, წარმოების გადიდებისათვის დარგთაშორისი
ერვების ინტენსიური გამოყენება, ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის
რება და სხვა);

— აგრარული საგარეო ურთიერთობის განვითარება, სოფლის მეურნეობის
დუქციით შიდავაჭრობის ორგანიზაცია და გაუმჯობესება;

— მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გა-
ება, სასურსათო რესურსების ფორმირება, დაშვებული ფონდების ფარგ-
მი მრეწველობის ნედლეულით მომარაგება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-
ს დაჩქარებისა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის უზრუნველ-
ა;

— რესპუბლიკის აგრარული მეურნეობის განვითარების, სასოფლ-სამე-
ეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, სახელმწიფო მეურნეობათა,
მერული, გლეხური (საკომლო) მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო კოოპე-
ივებისა და სხვა სახის საწარმოო-სამეურნეო ფორმირებათა მომსახურება
მესაბამისი (ხელშეკრულებით განსაზღვრული) დანიშნულების საქონლით
უნველყოფა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიწების მელიორაციის,
ი მიწების ათვისებისა და მიწების ნაყოფიერების ამაღლების ტექნიკურ,
ნომიკურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სამინისტრო გარდამავალ, ახალ საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობათა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდში

სამინისტროს უფლება-მოვალეობანი

1. დაკისრებული ფუნქციების შესაბამულებლად მიმდინარე ეტაპზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში თვისობრივად ახალ საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ინტერესების გათვალისწინებით სამინისტრო მონაწილეობს სახელმწიფო შეკვეთების ფორმირებაში, უშუალოდ წყვეტს მართვის ცენტრალური და ადგილობრივი სტრუქტურების სრულყოფის (შეცვლის) ახალი საწარმოების, ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და სხვა ფორმირებათა შექმნის, გაყოფა-შეერთების, გაუქმების, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საუწყებო კონტროლის განხორციელების, მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობის პირების დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხებს.

V. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი გზები

1. სამინისტრო საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, რისთვისაც უზრუნველყოფს:

— არსებული საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის, უწინარეს ყოვლისა მიწის, სხვა ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ამის საფუძველზე აგრარული მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომ გადიდებას;

— სოფლის მეურნეობის დარგების, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთიანი შემადგენელი ნაწილის, კომპლექსურ განვითარებას მასში შემავალ სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული კავშირურთიერთობის განმტკიცების გზით;

— სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას, სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების, სასოფლო მშენებლობისა და წყალსამეურნეო ორგანიზაციების საწარმოო მომსახურებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას შესაბამისი ბაზის თანმიმდევრული განმტკიცებისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე;

— აგრარული მეურნეობის წარმოების რაციონალურ განლაგებასა და გადაადგილებას თითოეული რეგიონის ბუნებრივ-საწარმოო და ეკონომიკურ შესაძლებლობათა და თავისებურებათა გათვალისწინებით;

— სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის რესურსების ოპტიმალურ ფორმირებას და რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად კვების მრეწველობის დარგებისათვის მიწოდებას;

— სოფლის მეურნეობის დარგების (მიუხედავად მათი საკუთრებრივი ფორმებისა) განვითარების ეკონომიკურ-ორგანიზაციული საფუძვლების დამუშავებას;

— ეკოლოგიურად სუფთა, რესურსდამზოგველი ახალი ტექნოლოგიების შექმნას,

— სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციისა და სასოფლო მშენებლობის, საწარმოო მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ნიადაგების რაციონალური გამოყენებისა და მათი ნაყოფიერების კვლავწარმოების, მიწის, ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა-შენახვის საქმეში ერთიანი ტექნიკური და ტექნოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებას;

— სასელექციო მუშაობის გაუმჯობესების გზით მაღალპროდუქტიული თესლებისა და მრავალწლიანი კულტურების (ვაზის, ხეხილის, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა) ნერგების წარმოების განვითარებას, სანაშენო საქმის ეფექტიანობის ამაღლებას, საჭირო მანქანათა სისტემების დანერგვას, სასუქების, მელიორანტებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების წარმოებაში დანერგვას;

— პროდუქციის ხარისხის, მცენარეთა დაცვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკოლოგიური უსაფრთხოების, წყლის გამოყენების სამინისტროს სისტემის დაქვემდებარების ტყეების მდგომარეობის, მისი გამოყენების, კვლავწარმოებისა და დაცვის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გამოცდის, ვეტერინარული ზედამხედველობისა და მომსახურების, მეთესლეობის, ნერგების წარმოებისა და სანაშენო მუშაობის საკითხებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას;

— სოფლის მეურნეობაში მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების დანერგვისადმი ხელის შეწყობას, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობის გაღრმავებას, შრომითი კოლექტივების თვითმმართველობაზე თანდათანობით გადასვლას;

— შეიმუშავებს რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით დარგების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო სტრატეგიას მიმდინარე პერიოდისა და პერსპექტივისათვის, საბაზრო ურთიერთობის პირობებში სისტემის ეკონომიკის რეგულირების პრინციპებს;

— უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოთა საქმიანობაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მარკეტინგის სამსახურების, ერთობლივი საწარმოებისა და ეკონომიკის სხვა ფუნქციონალურ სტრუქტურულ დანაყოფთა შექმნას, თავისუფალი საწარმოო-სამეურნეო ურთიერთობის განვითარებას და საბაზრო ეკონომიკაზე თანდათან გადასვლას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქმნის მატერიალურ და ფინანსურ რეზერვებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ოდენობით;

— ამუშავებს და ახორციელებს ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების, ჰარბტენიანი მიწების დაშრობის, ნიადაგების წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, მავნე ეკოლოგიური პროცესების, დაჭაობების, დამლაშებისა და ნიადაგების მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესების კვლევისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებებს;

— განსაზღვრავს სამინისტროს სისტემის სოფლის მეურნეობის წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის, გაზიფიკაციის, თბოფიკაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს;

— შეიმუშავებს და წარმოუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წინადადებებს სოფლის მეურნეობაში საგადასხადო სისტემისა და ფასების მექანიზმის სრულყოფის, აგრეთვე საკრედიტო პოლიტიკის საკითხებზე;

— აანალიზებს სოფლის მეურნეობის დარგების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობას და ადგენს მისი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზს;

— ამზადებს წინადადებებს საბაზრო ურთიერთობის პირობებში სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციის სრულყოფის შესახებ და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მისი მოწონების შემდეგ ნერგავს მას ცხოვრებაში;

— უწევს სახელმწიფო ზედამხედველობას სამინისტრო სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილი მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკურ მდგომარეობასა და ექსპლუატაციას, მათი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარისხის, ნავთობპროდუქტებისა და სხვა ენერგორესურსების გამოყენებას;

— აკონტროლებს თავისი სისტემის სახელმწიფო მეურნეობებისა და ორგანიზაციების მიერ ქონების იჯარით გაცემას და მათ განკარგვას;

— მონაწილეობს მიწების გამოყენების, მიწების დაცვის, მიწის რეფორმისა და მიწათსარგებლობის საკითხების განხილვაში;

— რესპუბლიკის სავეტერინარო სამსახურის მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო სავეტერინარო კანონმდებლობას;

— ამუშავებს წინადადებებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ინვესტიციის პოლიტიკის შესახებ;

— აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, რაიონების (ქალაქების) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და სისტემის რესპუბლიკურ გაერთიანებათა წინადადებების გათვალისწინებით განიხილავს და ამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამშენებლო-სამონტაჟო, მომმარაგებელ და სატრანსპორტო ორგანიზაციათა და განლაგების სქემებს;

— მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოებისა და სოფლის ინფრასტრუქტურის მშენებლობათა განლაგების სქემების განხილვაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში პროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზასა და დამტკიცებას დადგენილი წესით;

— განსაზღვრავს მიწების მელიორაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს;

— ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში აგროქიმიურ და მცენარეთა დაცვა-კარანტინის სამსახურებს;

— შეიმუშავებს და ორგანიზაციას უწევს სოფლის მეურნეობის სისტემაში მართვის, პროგნოზირების, დაფინანსების, ეკონომიკური სტიმულირების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებას;

— არეგულირებს ეკონომიკურ ურთიერთობას სამინისტროს სისტემის სასოფლო-სამეურნეო, მომსახურე და სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის;

— ამტკიცებს დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების ფასებსა და ტარიფებს, ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობისა და მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებს;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო კონტროლს დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხისადმი და წყვეტს ამ პროდუქციის ხარისხის შესახებ სადაო საკითხებს;

— ხელს უწყობს დამხმარე წარმოებისა და სარეწთა განვითარებას, მათ შორის რეწვის ეროვნული, ტრადიციული სახეობის აღორძინებას;

— ხსნის მაღაზიებს, სავაჭრო სახლებს, სასადილოებს, კაფეებს, ერთობლივ საწარმოებსა და სხვა ობიექტებს; აწყობს ბაზრობებს და მონაწილეობს მათში საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქციის პროპაგანდის, რეკლამისა და რეალიზაციის მიზნით;

— თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სისტემის სახელმწიფო მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, რესპუბლიკური გაერთიანებების, ტრესტებისა და სხვა ფორმირებების ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს, მთავარი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;

— სამინისტროს აპარატის შენახვა ხორციელდება დაქვემდებარებული მეურნეობებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული ანარიცხების ხარჯზე, რისთვისაც სამინისტროს შესანახი ხარჯების, მატერიალური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა და ცალკეულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა დაფინანსებისათვის შრომით კოლექტივებთან შეთანხმებით მობილიზაციას უკეთებს მეურნეობებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში დატოვებული მოგების 10 პროცენტს.

2. სამინისტრო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან და რესპუბლიკური გაერთიანებებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო დამზადების აუცილებელი მოცულობის პროგნოზს, რომელიც მინისტრთა კაბინეტის მიერ მისი მოწონების შემდეგ, სახელმწიფო დაკვეთის სახით, დადგენილი წესით, შესასრულებლად გადაეცემა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობას, რესპუბლიკის იმ რაიონების (ქალაქების) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში არ შედიან, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, სოფლის მეურნეობის რესპუბლიკურ გაერთიანებებს და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, სამინისტროს უშუალო დაქვემდებარების საწარმოებს და ორგანიზაციადაწესებულებებს.

IV. სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა

1. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები, სოფლის მეურნეობის მართვის ადგილობრივი ორგანოები, საქვეუწყებო რესპუბლიკური გაერთიანებები, ასოციაციები და სხვა ფორმირებანი, სახელმწიფო მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები, დაწესებულებები, მათ შორის სამშენებლო, სარემონტო, სამელიორაციო სისტემათა საწარმოები და სამმართველოები, მცირე საწარმოები და სხვა ქმნიან საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიან სისტემას.

2. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი. იგი ანაწილებს ფუნქციებს მინისტრის მოადგილეებს შორის მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ნიშნავს (ამტკიცებს) და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

3. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრთა პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. მინისტრის წარდგინებით კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ხორციელდება სამინისტროს ბრძანებებითა და კოლეგიის დადგენილებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან, წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

4. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, მისი შენახვის ხარჯებს მუშაკთა ზღვრულ რიცხოვნობასა და შრომის ანაზღაურების წლიურ ფონდს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

5. სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს და მათი შენახვის ხარჯთაღრიცხვას, აგრეთვე დებულებებს მისი სტრუქტურული ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაყოფების შესახებ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი.

6. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ფუნქციონირებს მთავარი სამმართველოები, სამმართველოები, განყოფილებები და სხვა. ისინი მუშაობენ თავიანთი დებულების მიხედვით.

7. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სტრუქტურაში ფუნქციონირებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით იქმნება სვფლის მეურნეობის მართვის რაიონული სამმართველოები, განყოფილებები, მათ დებულებასა და სტრუქტურას თავისებურებათა გათვალისწინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

V. კადრების მომზადების, ატესტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა

1. სამინისტრო ითვალისწინებს რა აგრარული სექტორის ყველა დარგის ინტენსიური განვითარების აუცილებლობას, ქმნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით კადრების მომზადების, ატესტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების ახალ სისტემას, შეაქვს კორექტივები სპეციალობათა ნომენკლატურაში, აარსებს აგრარულ კოლეჯებს, ახალი ტიპის სხვა სასწავლებლებს, სრულყოფს მოქმედი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და სასწავლებლების საქმიანობას.

2. მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან, სხვა აგრარულ უმაღლეს სასწავლებლებთან, შეიმუშავებს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კადრების საზღვარგარეთის აგრარული და სხვა ტიპის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში მომზადების პროგრამას.

3. ორგანიზაციას უწევს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებას, აგრეთვე მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მონაწილეობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სოფლის მეურნეობის დარგების სპეციალობის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრაში.

4. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად სამინისტროში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერების, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, წარმოების ნოვატორების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად განსაზღვრავს აკადემიის სისტემის ორგანიზაციებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკას, სამეცნიერო კადრების მომზადების (სტაჟირების, მათ შორის უცხოეთის ქვეყნებში), აგრარული მეცნიერების უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვის სისტემას.

VI. სამინისტროს ურთიერთობა რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან, უწყებებთან, დეპარტამენტებთან

სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კვების მრეწველობის, მრეწველობის, მომარაგება-გაბაღების და სხვა დარგის სამინისტროებთან, უწყებებთან, დეპარტამენტებთან, მართვის სხვა რესპუბლიკურ ორგანოებთან ურთიერთობას (ჰორიზონტალურ ჭრილში) სამინისტრო არეგულირებს ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა შესაძლებელია აგრეთვე უშუალოდ ერთმანეთთან კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების გაფორმების, ერთობლივი დადგენილებების მიღებისა და მისი განხორციელების გზით, რაც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ინტერესებს და სამინისტროთა უფლებების გაფართოებას აუცილებლობას.

2. ყველა სადავო საკითხს, რომელიც არ ექვემდებარება მთავრობასა და პარლამენტში განხილვას, სამინისტრო წყვეტს სასამართლო წესით, უცხოელ პარტნიორებთან კი — საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სასამართლოს მეშვეობით.

3. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დარგების ფუნქციონირების სამართლებრივ უზრუნველყოფას.

4. სამინისტრო კანონით დადგენილი წესით აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, მათი წინადადებების, განცხადებების და საჩივრების განხილვას.

VII. სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები

1. აგრარული პოლიტიკის გატარებისას სამინისტრო მჭიდრო კონტაქტს ამყარებს სასოფლო, სადაბო, რაიონულ, საქალაქო ხელისუფლების ორგანოებთან (გამგებლები, საკრებულოები და სხვა) ადგილობრივი ხელისუფლების იმ სტრუქტურებთან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების, აგრარული ბაზრის ეკონომიკური და პოლიტიკური მართვის ფუნქციები.

2. სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველო, განყოფილება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

3. სამინისტროს რეგიონალური აგრარული სამსახურები (მელიორაციის, აგროქიმიის, ვეტერინარული, მცენარეთა დაცვის, კარანტინის, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვა) თავიანთ მუშაობას გარდაქმნიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამკვიდრებენ სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებში ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, იცავენ მეწარმეთა და მომხმარებელთა ინტერესებს.

4. სახელმწიფო შეკვეთების შესრულების ორგანიზაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღწევს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს, განყოფილების საქმიანობის კოორდინაციით.

5. სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მთავარი საზრუნავია სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ქართული სოფლის აღორძინება, ქართული არქიტექტურის, ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების მოვლა-შენახვა და განვითარება ეროვნული სახელმწიფოს კონცეფციის შესაბამისად.

VIII. სამინისტროს ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებთან და ორგანიზაციებთან, პროფკავშირებთან და შემოქმედებით კავშირებთან

1. სამინისტრო აგრარული პოლიტიკის კარდინალური საკითხების — პრივატიზაციის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, ფასების ლიბერალიზაციის, მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებისა და სხვა პრობლემების გადაჭრაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით ფართო კონტაქტებს ამყარებს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით აგრარული და ეკოლოგიური მიმართულების პარტიებთან (აგრარული პარტია, მწვანეთა პარტია და ა. შ.). დაინტერესებულ პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ქმნის სამინისტროსთან პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოს, მათთან ერთად შეიმუშავებს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების გეგმებს, დადგენილებებისა და კანონების პროექტებს, სახავს აგრარული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების გზებს და ა. შ.

2. სამინისტრო მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს აგრარულ სექტორთან დაკავშირებულ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად ატარებს სოფლის მშრომელთა სოციალური დაცვის კომპლექსურ ღონისძიებებს, ხელს უწყობს შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვას, სოფლის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებას, სოფლად ალპინიზმის, ტურიზმის, საცხენოსნო და სპორტის სხვა ეროვნულ სახეობათა განვითარებას და სხვა. სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს სოფლის სპორტსმენთა ტურნირებს, აწესებს, ანიჭებს და გადასცემს პრიზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სამინისტრო, ფართო საზოგადოებრიობასთან, განსაკუთრებით შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მწერალთა, ჟურნალისტთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა კავშირებთან ერთად ანიჭებს პრემიებს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, ჟურნალისტიკის, კინოდოკუმენტალისტიკის დარგში თანამედროვე სოფლის თემაზე შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს.

4. სამინისტრო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გეგმაზომიერად მუშაობს სოფლის მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მხატვრული და ესთეტიკური აღზრდისათვის, კულტურის სამინისტროსთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ატარებს მხატვრული თვითშემოქმედების, სოფლის თეატრების რესპუბლიკურ და რეგიონალურ დათვალიერებებს, ფესტივალებს, ოლიმპიადებს, აყალიბებს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს (კოლექტივებს), აწყობს მათთვის გასტროლებს საზღვარგარეთ, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ფოლკლორის მსოფლიო და საერთაშორისო ფესტივალებში.

IX. სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი

1. მთავრობასთან შეთანხმებით საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამყარებს საქმიან კონტაქტებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის აგრარული მეურნეობის მართვის სამინისტროებთან, აფორმებს კონტრაქტებს წარმოების, გასაღების, მომარაგების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, ინფორმაციის გაცვლის, ექსპორტისა და იმპორტის კარდინალურ საკითხებზე, დებს ხელშეკრულებებს და სხვა.

2. სამინისტრო, აგრარული სექტორის განვითარების მიზნით, დახმარებას უწევს ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებს, სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციებს, საწარმოებს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სტრუქტურებში არსებულ მეურნეობებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობათა განმტკიცებაში, მონაწილეობს საერთაშორისო ბაზრობებსა და სხვა ეკონომიკურ, კომერციულ საქმიანობაში.

3. სამინისტრო, მთავრობასთან შეთანხმებით, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კავშირში კონტაქტებს ამყარებს გაეროს აგრარულ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო აგრარულ ბანკებთან, ბირჟებთან, სამეცნიერო, საწარმოო, ფინანსურ და კომერციულ ორგანიზაციებთან.

4. სამინისტრო დაინტერესებულ სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან ერთად რესპუბლიკის ტერიტორიაზე ატარებს საერთაშორისო ღონისძიებებს, ტრადიციულ ბაზრობებს, გამოფენებს, კონკურსებს, ანიჭებს დიპლომებს, პრიზებს, აფორმებს კონტრაქტებს, ამ გზითაც ავითარებს ექსპორტს და იმპორტს, ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის რესპუბლიკისათვის მომგებიანი ინვესტიციის პოლიტიკის განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. უცხოური ვალუტის დეფიციტის პირობებში სამინისტრო განსაკუთრებით უწყობს ხელს უცხოეთის ქვეყნებთან ბარტერული გაცვლის განვითარებას.

6. სამინისტრო ხელს უწყობს უცხოეთის ქვეყნებთან საწარმოო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობების განვითარებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას;

— უზრუნველყოფს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებების ვალდებულებათა შესრულებას;

— საზღვარგარეთის ფირმებთან სოფლის მეურნეობის ხაზით ერთობლივი საწარმოებისა და ფირმების, კომერციული ბანკების, სააქციონერო საზოგადოების შექმნისას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოდის ძირითად დამფუძნებლად;

— მონაწილეობას იღებს სასაქონლო ბირჟებისა და აუქციონების ორგანიზაციასა და საქმიანობაში, საბაზრო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტების ფორმირებაში;

— ხსნის სავალუტო ანგარიშს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის ნებისმიერ დაწესებულებაში;

— საკუთარი სახსრების ხარჯზე ახორციელებს ნებისმიერ სამეურნეო-ეკონომიკურ და საფინანსო ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან დადგენილი წესით, მიავლენს იქ და მიიღებს იქიდან ფირმებისა და ორგანიზაციების დელეგაციებსა და წარმომადგენლებს, ახორციელებს პროდუქციის გაცვლას, ექსპორტსა და იმპორტს სათანადო ლიცენზიების საფუძველზე, რომლის გაცემის უფლებაც ენიჭება მას.

X. სამინისტროს საინფორმაციო სამსახური

1. სამინისტროს საქტელერადიოდეპარტამენტთან შეთანხმებით შეუძლია ბოამზადოს დარგის ტელე-რადიო გადაცემები და კინოჟურნალები.

2. სამინისტროს შეუძლია შექმნას საინფორმაციო ცენტრი „საქაგროინფორმი“, რომელიც პრესას, რადიოსა და ტელევიზიას მიაწვდის ოპერატიულ ინფორმაციას აგრარული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, სამინისტროს საქმიანობაზე.

3. სამინისტროს შეუძლია შექმნას პრესცენტრი, მოაწყოს პრესკონფერენციები.

4. სამინისტროსთან შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივი აზრის და კონკრეტულ-სოციოლოგიური და აგრარულ-პოლიტოლოგიური კვლევისა და ინფორმაციის სამსახურები სათათბირო-სარეკომენდაციო ორგანოების სტატუსით.

5. სამინისტრო უშვებს ექსპრეს-ინფორმაციის ფურცლებსა და ბიულეტენს.

6. სამინისტრო ქმნის საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან ინფორმაციის გაცვლისა და მსოფლიო აგრარული ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების სამსახურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI. სამინისტროს რეორგანიზაციისა და ამ დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

1. სამინისტროს ჩამოყალიბება, რეორგანიზაცია, გაყოფა, სხვა სამინისტროსთან შეერთება წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის პრეროგატივას.

2. სამინისტროს დებულებაში ცვლილებები შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უშუალოდ, ან სამინისტროს ინიციატივით.

3. სამინისტრო არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები სახელმწიფო ბანკში, ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და დასახელებით და შტამპი. უფლება აქვს იქონიოს სპეციალური სავალუტო ანგარიში საგარეო ეკონომიკურ ბანკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57 საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 20 იანვრის № 50 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი.

2. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 65 ერთეულით (შენობის დაცვისა და მომსახურე პერსონალის გარეშე), 2269,0 ათასი მანეთი შესანახი ხარჯები, მათ შორის 1261,0 ათასი მანეთი შრომის ანაზღაურების წლიური ფონდი.

3. დამტკიცდეს „საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის დროებითი დებულება“ და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

4. მიწის რეფორმის სრულყოფილად გატარებისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის მიწის ფონდის დაცვის, მის გამოყენებაზე ზედამხედველობისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის დასაწესებლად აფხაზეთის ასსრ-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა შექმნან მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის შესაბამისი ფუნქციონალური მართვის ორგანოები, ხოლო რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა — შესაბამისი ქვედანაყოფები.

აღნიშნული ქვედანაყოფები სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ეწევიან მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს და, როგორც წესი, ამ სამსახურების ხელმძღვანელებს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარდგინებით ამტკიცებს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია.

5. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების შენახვა ხორციელდება შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილების თანახმად სამინისტროების აპარატის მუშაკთათვის დადგენილი თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე, ხოლო ადგილობრივი სამსახურების მუშაკებისა კი სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გამგეობების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს დაამტკიცოს კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგი კომიტეტისათვის დადგენილი ზღვრული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში. ამავე ფარგლებში შეიტანოს ცვლილებანი კომიტეტის ცენტრალური აპარატის დამტკიცებულ სტრუქტურაში.

8. ნება დაერთოს კომიტეტის თავმჯდომარეს იყოლიოს თავმჯდომარის სამი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე.

9. განისაზღვროს კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობა 15 კაცის შემადგენლობით.

კოლეგიის წევრთა პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

10. დაუმტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს სასამსახურო სარგებლობის მსუბუქი ავტომობილების ლიმიტი — 5 ერთეული.

11. გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი“ ახლადშექმნილი მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 მარტი, № 333

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 19 მარტის № 333
დადგენილების დანართი

საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა

ლმძღვანელობა
წათმოწყობის მთავარი სამმართველო
წის რეფორმის ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
მმართველო
ასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწების დაცვისა და გამოყენების
ავარი სამმართველო
ოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაცვისა და გამოყენების
მმართველო
ნანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება
მეთა მმართველობა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 29 ივლისის
№ 315 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის დროებითი

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესუ
სებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის (შემდგომში „კომი
ტი") მიზნებს, ამოცანებსა და უფლებამოსილებას.

I. ზოგადი დებულებანი

1. კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლი
შესაბამისი სახელმწიფო, რაიონული (საქალაქო) ორგანოები, მათი ადგილ
რივი (სოფლების, დაბების) ქვედანაყოფები, მიწათმოწყობის სახელმწიფო
პროექტო ინსტიტუტი და მებაღეობის მართვის რესპუბლიკური ორგანო შე
გენენ საქართველოს რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის, მიწის რეფორმას
დაკავშირებული ორგანიზაციული, საკონტროლო და საკონსულტაციო საქ
ნობის მართვის ერთიან სისტემას.

2. კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რ
პუბლიკის კანონმდებლობით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბ
ტის დადგენილებებით და ამ დებულებით.

ივი ანგარიშვალდებულია და პასუხს აგებს მასზე დაკისრებული ამოცა
ბის და ფუნქციების შესრულებაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტ
კაბინეტის წინაშე.

3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომიტეტის მიერ მიღებული გ
წყვეტილებანი მიწათსარგებლობის ახალი სისტემის დამკვიდრებისა და
ვითარების თაობაზე შესასრულებლად სავალდებულოა ყველა იურიდიული
ფიზიკური პირისათვის, რომელიც დაკავშირებულია მიწათსარგებლობას
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. კომიტეტი არის იურიდიული პირი. მას აქვს: დამოუკიდებელი ბალ
და სათანადო ანგარიშები ბანკებში, მათ შორის სავალუტო; ბეჭედი, რომ
ზედაც გამოსახულია საქართველოს რესპუბლიკის გერბი და კომიტეტის
მოკლებული სახელწოდება „საქმიწსახკომიტეტი".

5. კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლ
მართვის ორგანოებისა და ადგილობრივი ორგანოების შენახვა ხორციელ
შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

6. კომიტეტის ფუნქციონირების მიზანია მიწათსარგებლობის წესე
და ფორმების სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. კომიტეტის ძირითადი ამოცანები

1. მიწის რეფორმის განხორციელება.

2. მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საერთო-სახალხო, ეროვნული, ელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა.

3. ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაცია და ემჯობესება.

4. კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის ზრუნვა, მათ შორის ღვარგარეთის ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში.

5. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის მიწათსარგებლობის საწყისი რობების შექმნა.

6. სხვადასხვა დანიშნულების მიწის ფონდების შექმნა, ამ ფონდებიდან წათმოსარგებლეებზე მიწების განკარგვა და მიწათმოსარგებლეებისაგან ამო-ბა მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული წესის შესაბამისად.

7. მიწის რესურსების შესწავლა-გამოვლენა.

8. რაციონალური მიწათსარგებლობა.

9. მიწის დაცვა დატაცება-განიავებისა და დეგრადაციისაგან, მისი აღდ-ნა-რეკულტივაცია და ნაყოფიერების ამაღლება.

10. მიწათსარგებლობის ახალი სისტემის დამკვიდრების მეთოდოლოგიუ-, ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით ატარებელ სამუშაოთა კოორდინაცია, მიწის რეფორმის ღონისძიებათა სის-მურობის უზრუნველყოფა;

11. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული მიწათსარგებლობის სტემის დამკვიდრების და განვითარების ღონისძიებათა შემუშავება და გან-რციელება, კონტროლი მიწის რეფორმის საკანონმდებლო აქტების გამოყე-ბაზე.

12. ანტიმონოპოლიური მიწათსარგებლობის ღონისძიებათა შემუშავება, ნოპოლიზმის შეზღუდვის ღონისძიებათა გატარება, შესაბამისი კანონმდებ-ობის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

13. მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენების, მიწების სარგებლობაში ით შორის საკუთრების უფლებით) განკარგვის სახელმწიფო პოლიტიკის შე-შავება და მისი განხორციელება.

14. მიწის გადასახადის და მიწის ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგიური მეთოდიკური უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით სამუშაოთა კოორდი-ცია და განხორციელება.

15. მიწის რესურსების არამიზნობრივად გამოყენების და საქართველოს სპუბლიკის მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევებში ონომიკური და ადმინისტრაციული სანქციების ან იურიდიული აქტების სა-ეველზე აუცილებელი ნორმების შემუშავება და განხორციელება;

16. დაინტერესებულ სამინისტროებთან, ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-ლევით დაწესებულებებთან ერთად მიწათსარგებლობის და მეურნეობრიობის ვადასხვა ფორმის განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნის თაო-

ბაზე ღონისძიებათა პროექტების მომზადება და შესაბამის სამუშაოთა კოორ-
დინაცია.

17. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიწათსარგებლ-
ბის სისტემის სრულყოფაში.

18. რესპუბლიკის მიწის რესურსებით სარგებლობის თაობაზე საზღვარგა-
რეთის სახელმწიფოებთან, ორგანიზაციებთან, მოქალაქეებთან სახელშეკრუ-
ლებო პირობების ექსპერტიზა და მათი შესრულების უზრუნველყოფისათვ-
საჭირო ღონისძიებათა განხორციელება.

19. რესპუბლიკის მიწის სახელმწიფო ფონდის გამოყენების და დაცვ-
სახელმწიფო ფონდიდან მიწების განკარგვის, ამ ფონდში მიწების ამოღების
შეძენის, მიწაზე გადასახადით დაბეგვრის მართლზომიერების, რესპუბლიკ-
ხელისუფლების მიერ მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ დადგენილებათ-
და გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება.

20. მიწათმოსარგებლეებისათვის მიწათმოწყობის საძიებო-საპროექტ-
მიწების ათვისებასთან, გაუმჯობესებასთან, გამოყოფასთან ან განკარგულ-
მიწების სახელმწიფო ფონდში აღებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა, მიწ-
ფონდის ინვენტარიზაციის, სახელმწიფო აღრიცხვის, მიწის საკადასტრო, ტოპ-
გრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული, ნიადაგური და გეობოტანიკურ-
საკვლევ-საძიებო და მონიტორინგის სამუშაოთა ორგანიზაცია და განხორციე-
ლება.

21. მიწის სახელმწიფო აღრიცხვის და ინვენტარიზაციის, მიწის კადას-
რის, სოფლის მეურნეობაში მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული რესურ-
სების ინფორმაციული ფონდების შექმნის და აქტუალიზაციის საპროექტო მ-
თოდური უზრუნველყოფის, მიწის რეფორმისათვის აუცილებელი ინფორმა-
ციული მომსახურების სისტემის შექმნის, ფუნქციონირების და მისი გამოყ-
ნების სამუშაოთა კოორდინაცია და განხორციელება.

22. მიწის რესურსების შესწავლის, მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობ-
საკითხებში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ადაპტაცია, პროპაგანდა, პრაქ-
ტიკულად გამოყენება.

23. აგროსამრეწველო კომპლექსის, მრეწველობის, მშენებლობის და სხ-
დარგების განვითარების და განლაგების, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ-
განვითარების, სტიქიურ უბედურებათა ლიკვიდაციის და სხვა საგანგებო ღო-
ნისძიებათა განხორციელების, განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაცი-
სახელმწიფო პროგრამების დამუშავებაში მონაწილეობის მიღება.

III. კომიტეტის უფლებამოსილებანი

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი იურიდიული და ფიზიკური პ-
რებისაგან შეუფერხებლად მიიღოს კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ სა-
კითხებზე ნებისმიერი ინფორმაცია, აგრეთვე წერილობითი ან სიტყვიერი ახს-
ნა-განმარტებანი, შეამოწმოს მათი უტყუარობა.

2. შექმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, მუდმივმოქმედი د-
დროებითი კომისიები ცალკეული პრობლემური საკითხების დასამუშავებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩართოს ამ საქმიანობაში სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საპროექტო ორგანიზაციები, ცალკეული სპეციალისტები საკონკურსო და სახელშეკრულებო ფორმით.

3. საჭიროების შემთხვევაში სახელშეკრულებო ფორმით მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები;

4. დადგენილი წესით მიავლინოს საზღვარგარეთ სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გამოცდილების შესასწავლად.

5. მისცეს ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, საზოგადოებებს მისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და კონტროლის ფარგლებში შესასრულებლად სავალდებულო მითითებები, რეკომენდაციები ან განაწესები კანონმდებლობის დარღვევის შეჩერებით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, არამართლზომიერი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებების და აქტების მოქმედების შეჩერების ან შეცვლის თაობაზე.

6. წარუდგინოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს განსახილველად აუცილებელი წინადადებანი და რეკომენდაციები.

7. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამტკიცოს სავალდებულო და სარეკომენდაციო ნორმატიული დოკუმენტები და მეთოდური მითითებანი.

8. კომიტეტის სავალდებულო მითითების ან განაწესის შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილებანი კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გამოყენების შესახებ.

9. მიიღოს მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული განცხადებები, რეკომენდაციები, საჩივრები, განიხილოს ისინი და გასცეს არგუმენტირებული პასუხი დადგენილ ვადაში;

10. მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის აღძრას საქმე რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში ან სასამართლოში, მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში.

11. წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში წინადადებები, რეკომენდაციები, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტები მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხებზე.

12. დაამტკიცოს კომიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო ორგანოების დებულებები.

13. შეაჩეროს აგროტექნიკური, მელიორაციული, საგზაო-სამშენებლო, ჰიდროტექნიკური, საერთო სამშენებლო, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, დაზვერვისა და სხვა სახის სამუშაოები. აღნიშნულ სამუშაოთა გაგრძელებისას ნიადაგების ეროზიის, დაჭაობების, გაუვარგისების ან მიწათმოსარგებლეთა მდგომარეობის გაუარესებისას, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ხელახალი ექსპერტიზა და მისი შედეგების მიღებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. კომიტეტის მუშაობის ორგანიზაცია

1. კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი; კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს მინისტრთა კაბინეტი; კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი; მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორს, მთავარ ინჟინერს და დირექტორის მოადგილეებს, კომიტეტის სტრუქტურული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს თანამდებობებზე ნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე; ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების ხელმძღვანელები თანამდებობაზე ინიშნებიან კომიტეტთან შეთანხმებით.

2. კომიტეტში იქმნება კოლეგია 15 წევრის ოდენობით, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელები, კომიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები; კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

3. თავმჯდომარის მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება თავმჯდომარის მიერ; კომიტეტის საქმიანობის რეგულირებისათვის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებს, წესებს, მეთოდურ მითითებებს და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს.

4. კოლეგია თავის სხდომაზე იხილავს კომიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, მიწათსარგებლობის საკანონმდებლო, ნორმატიული დოკუმენტების და გადაწყვეტილებების პროექტებს, ისმენს სტრუქტურული ქვეგანაყოფების ანგარიშებს სამუშაოთა მდგომარეობის თაობაზე, ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში წარსადგენ ანგარიშებს, რეკომენდაციებს, წინადადებებს და დოკუმენტთა პროექტებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ფორმდება თავმჯდომარის ბრძანებით ან კოლეგიის დადგენილებით. თავმჯდომარისა და კოლეგიის წევრთა უმრავლესობის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან, წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს. თავის მხრივ, კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ საკუთარი აზრი აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

5. კომიტეტის დებულებას, ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას, აგრეთვე მათი შესანახი ასიგნებების ოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

კომიტეტის მუშაკთა მატერიალური სტიმულირება ხდება სპეციალური დებულებით.

კომიტეტის აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს თავმჯდომარე, ხოლო დებულებებს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ — კომიტეტის კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. კომიტეტის რეორგანიზაციის ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

---

58 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეეცვალოს დასახელება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და ეწოდოს მას „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა“.

2. მოწონებულ იქნეს და წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თანდართული დროებითი დებულება.

3. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 26 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის კანონის „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 მარტი, № 335

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწონებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 19 მარტის № 335
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

დროებითი დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა

აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას საქართველოს რესპუბლიკაში ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, თუ ისინი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დებულებით არ განეკუთვნებიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მისი პრეზიდიუმის და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის კომპეტენციას.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სახელმწიფო საბჭოს სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, კოლექტიურობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით, უზრუნველყოფს მთავრობის წევრთა პირად პასუხისმგებლობას.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ზრუნავს რესპუბლიკის საკუთრების დაცვისა და გამრავლებისათვის, ხელს უწყობს საკუთრების ყველა ფორმის განვითარებას და უზრუნველყოფს მათს თანასწორუფლებიანობას;

ახორციელებს ეროვნული უშიშროების პოლიტიკას, უზრუნველყოფს რესპუბლიკის თავდაცვას;

წარმართავს რესპუბლიკის მეურნეობას საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით;

ახორციელებს ეროვნულ მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკას, უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშავებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებს, სოციალურ-კულტურული განვითარების კონცეფციებსა და პროგრამებს, ატარებს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკას;

ხელს უწყობს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას, საფინანსო და საბანკო სისტემის განმტკიცებას, ეკონომიკურ თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან;

უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

უზრუნველყოფს კანონიერების განმტკიცებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;

ახორციელებს საგარეო პოლიტიკას თავისი კომპეტენციის შესაბამისად;

წარმართავს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობას, ხელს უწყობს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობის გაფართოებას;

ხელს უწყობს აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სამართლებრივი აქტების საფუძველზე და მათს შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს მათს შესრულებას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმების უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, თუ ისინი არ შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შექმნის წესი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით აყალიბებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — პრემიერ-მინისტრი. ასეთივე წესით ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის შეცვლა.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შედგება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეების, მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უ-ლებამოსილების ვადა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავის უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადადგომის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს განუცხადოს გადადგომის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს **გადადგეს.**

საქართველოს რესპუბლიკის გადამდგარი მთავრობა ან მთავრობის წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ საქართველოს რესპუბლიკის ახალი მთავრობის შექმნამდე ან ახალი მთავრობის წევრის დანიშვნამდე.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მუშაობაში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და მთავრობის წევრებს უფლება აქვთ დაესწრონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომებს, კომისიათა სხდომებს და გამოთქვან მოსაზრებანი განსახილველ საკითხებზე.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრისათვის სამეურნეო საქმიანობის აკრძალვა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრს ეკრძალება კომერციული, სამეურნეო საქმიანობა და უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო ორგანიზაციების მართვაში.

თავი II

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენცია

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციის ზოგადი საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავისი უფლებამოსილების შესაბამისად:

ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო **პოლიტიკას;**

იღებს ზომებს სახელმწიფო უშიშროებისა და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად, მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად;

ახორციელებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამას, ქმნის პირობებს ადგილობრივი მმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანოების **ფუნქციონირებისათვის;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშავებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ასრულებს დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტს;

განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა, დეპარტამენტოა და სხვა დაქვემდებარებულ ორგანოთა ფუნქციებს, მათი საქმიანობის მიმართულებებს, შენახვის ხარჯებს მმართველობის ორგანოების შესანახ ასიგნებათა ფარგლებში, კონტროლსა და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულებას.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალური განვითარების სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა:

ახორციელებს ღონისძიებებს ეკონომიკური განვითარების შესაბამისად რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და მინიმალური ხელფასის გადიდებისათვის;

ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას მოსახლეობის მიგრაციის რეგულირების, ოჯახის, დედათა და ბავშვთა დაცვის სფეროში;

იღებს ზომებს რესპუბლიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, შრომისა და დასვენების შესაფერისი პირობების შესაქმნელად;

ახორციელებს ერთიან პოლიტიკას მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის, იღებს ზომებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის;

უზრუნველყოფს ეკონომიკურ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ რესპუბლიკის ყოველმა მცხოვრებმა მიიღოს მისთვის სასურველი განათლება, პროფესია და კვალიფიკაცია რესპუბლიკის საჭიროების გათვალისწინებით;

ხელს უწყობს რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის;

იღებს ზომებს რესპუბლიკის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით, სამრეწველო საქონლითა და მომსახურებით უზრუნველსაყოფად; ახორციელებს ღონისძიებებს საბინაო ფონდის განვითარებისათვის, ხელს უწყობს საბინაო მშენებლობას.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა:

განაგებს სახელმწიფო ქონებას, ქმნის საკუთრების ყველა ფორმის განვითარებისათვის შესაფერის პირობებს;

ეკონომიკური და სამართლებრივი საშუალებებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე აწესრიგებს მეურნეობის ყველა დარგისა და საკუთრების სუბიექტების საქმიანობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწესებს ეროვნული შემოსავლის გამოყენებისა და მეურნეობის განვითარების რაციონალურ პროპორციებს, შეიმუშავებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებს;

ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ფულის მიმოქცევის და კრედიტის სფეროში;

შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს, ადგენს ფასწარმოქმნის წესს;

ახორციელებს შრომის ანაზღაურების საერთო პოლიტიკას;

ორგანიზაციას უწევს და არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს; აწესებს კვოტებს და საბაჟო გადასახადს, წარმართავს საბაჟო სამსახურს;

განაგებს რესპუბლიკის ბუნებრივ რესურსებს, აწესებს ბუნებათსარგებლობის ლიმიტებსა და ნორმატივებს.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძირითადი უფლებამოსილებანი კანონიერების უზრუნველყოფის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა:

იღებს ზომებს მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტიცებისათვის;

ახორციელებს კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და სხვა საქვეუწყებო ორგანოთა მიერ კანონმდებლობის შესრულებისადმი, განსაზღვრავს მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

ზრუნავს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სამართლებრივი რეგულირების სრულყოფისათვის;

იღებს ზომებს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძირითადი უფლებამოსილებანი სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის უზრუნველყოფის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა:

ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო უშიშროებისა და რესპუბლიკის თავდაცვის უზრუნველსაყოფად, აყალიბებს შესაბამის სტრუქტურებს და კონტროლს უწევს მათ საქმიანობას;

იღებს ზომებს ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღჭურვისა და მათთვის სამხედრო კადრების მომზადებისათვის, სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევისათვის;

ანიჭებს უფროსი ოფიცრის სამხედრო წოდებებს ან ჩამოაქვეითებს სამხედრო წოდებიდან, უგრძელებს სამსახურის ვადას ოფიცრებსა და გენერლებს, ნიშნავს სამხედრო თანამდებობებზე;

ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძირითადი უფლებამოსილებანი საგარეო პოლიტიკის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა:

დებს ხელშეკრულებებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთობებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობას უცხოეთის სახელმწიფოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

შეაქვს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში წინადადებანი უცხოეთის სახელმწიფოებში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობათა შექმნისა და საქართველოს რესპუბლიკაში სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლობათა გახსნის შესახებ.

რუსეთის ფედერაციასთან კავშირურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით ქალაქ მოსკოვში არსებობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობა.

თავი III

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან

მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ურთიერთობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავს და ამოწმებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება, მონაწილეობენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განსახილველად შეაქვთ წინადადებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უზრუნველყოფს საჭირო ურთიერთმოქმედებას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხვა საქვეუწყებო ორგანოებს შორის მათ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხთა გადასაწყვეტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს შეაჩეროს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება.

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავისი უფლებამოსილების შესა**ბამ**ისად:

წარმართავს და ამოწმებს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების **მუშ**აობას;

ამტკიცებს მმართველობის ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შემოიღებს რესპუბლიკურ მმართველობას და ნიშნავს მმართველობის ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელებს; ამტკიცებს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურას;

აუქმებს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტებს, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;

მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ორგანიზაციას უწევს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების (საწარმოო ინფრასტრუქტურის) მართვას;

განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, კულტურის, გარემოს დაცვის განვითარების საერთო მიმართულებებს.

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხვა საქვეუწყებო ორგანოთა ხელმძღვანელობა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა:

ხელმძღვანელობს და აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხვა საქვეუწყებო ორგანოთა საქმიანობას;

იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროს, კომიტეტის, დეპარტამენტის შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების შესახებ;

ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და სხვა საქვეუწყებო ორგანოთა დებულებებს (წესდებებს), მათი ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას, აგრეთვე მათი შესანახი ასიგნებების ოდენობას ამ მიზნებისათვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ მმართველობის დარგს და ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროს ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრი, რომელსაც ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროსათვის მინდობილი მმართველობის სფეროს მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ მთავრობის პოლიტიკას, გამოსცემენ ბრძანებებსა და სხვა აქტებს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სამართლებრივი აქტების, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათს შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათს შესრულებას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა აქტები.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები ახდენენ მათი საქმიანობის დარგის განვითარების პროგნოზირებას, სწავლობენ მსოფლიო კონიუნქტურას, შეიმუშავებენ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის პროგრამებს, ზრუნავენ თავიანთი მუშაკების სოციალური დაცვისა და კადრების მომზადებისათვის.

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო ორგანოები

სახელმწიფო მმართველობის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციის და სხვა იმ საკითხების ხელმძღვანელობისათვის, რომლებიც უშუალოდ არ შედიან საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა ფუნქციებში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ქმნის საქვეუწყებო ორგანოებს (კომიტეტი, დეპარტამენტი, სახელმწიფო ინსპექცია, კომისია, მთავარი სამმართველო და სხვ.), გარდაქმნის და აუქმებს მათ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო ორგანოთა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო ორგანოთა აქტები.

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო კომისიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საჭირო შემთხვევაში მინისტრთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა რიცხვიდან ქმნის მუდმივ თუ დროებით კომისიებს, განსაზღვრავს მათ ამოცანებს, ფუნქციებს, საქმიანობის წესსა და შემადგენლობას.

კომისიებს მეთაურობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მინისტრი ან ცალკეულ შემთხვევებში — სხვა პირი.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კონტროლი თავისი ორგანოების საქმიანობისადმი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და მის საქვეუწყებო სხვა ორგანოთა მუშაობისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმს შეუძლია მოსთხოვოს ანგარიში ყველა მინისტრს და საქვეუწყებო ორგანოს ხელმძღვანელს.

თავი IV

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და სხვა საქვეუწყებო ორგანოთა ნუსხა

მუხლი 25. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებია:
არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა;
განათლების;
გარემოს დაცვის;
ეკონომიკის;
ვაჭრობის;
თავდაცვის;
ინფორმაციის;
იუსტიციის;
კავშირგაბმულობის;
კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის;
კულტურის;
მატერიალური რესურსების;
მეცნიერებისა და ტექნიკის;
მრეწველობის;
საგარეო საქმეთა;
სათბობისა და ენერგეტიკის;
სოფლის მეურნეობის;
სპორტისა და ტურიზმის;
ტრანსპორტის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშიშროების;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის;
მუხლი 26. საქართველოს რესპუბლიკის კომიტეტები
საქართველოს რესპუბლიკის კომიტეტებია:
მატერიალური რეზერვების;
მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის;
სახელმწიფო ქონების მართვის;
სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის.
მუხლი 27. საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტები
საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტებია:
გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის;
საბაჟო

თავი V

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 28. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომები და სხდომებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომები მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ სამ თვეში ერთხელ მაინც.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება მთავრობის წევრთა ნახევარი მაინც.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიღება მთავრობის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — **პრემიერ-მინისტრის ხმა.**

მუხლი 29. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხების გადასაწყვეტად რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს მთავრობის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან: მთავრობის თავმჯდომარე — პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები, მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველი. მთავრობას შეუძლია პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანოს მთავრობის სხვა წევრები.

მთავრობის პრეზიდიუმის სხდომები ეწყობა რეგულარულად და გადაწყვეტილებებს იღებს პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 30. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — **პრემიერ-მინისტრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — პრემიერ-მინისტრი არის საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი, წარმართავს მთავრობის საქმიანობას და უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა ურთიერთმოქმედებას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — პრემიერ-მინისტრი:

ორგანიზაციას უწევს მთავრობის მუშაობას, ხელმძღვანელობს მის სხდომებს;

ანაწილებს მოვალეობებს მოადგილეთა შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას; წარმომადგენლობს საქართველოს რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ საკითხებზე და ამის შესახებ წარუდგენს ინფორმაციას მთავრობის მორიგ სხდომას;

წაახალისებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებს და მთავრობის საქვეუწყებო ორგანოთა სხვა თანამდებობის პირებს, დაადებს მათ დისციპლინურ სასჯელებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე შედის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით.

მუხლი 31. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები მოვალეობათა განაწილების შესაბამისად კოორდინაციას უწევენ სამინისტროთა და მთავრობის სხვა საქვეუწყებო ორგანოთა მუშაობას, ახორციელებენ კონტროლს მათი მუშაობისადმი და აძლევენ მათ ოპერატიული წესით მითითებებს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და მათი საქმიანობის სხვა საკითხებზე, წინასწარ განიხილავენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში შეტანილ წინადადებებს, დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მუხლი 32. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო თუ საერთო მნიშვნელობა აქვთ, გამოიცემა დადგენილების სახით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები გამოქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის დადგენილებათა კრებულში, ხოლო თუ აუცილებელია მათი ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება, ისინი გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და სახელმწიფო კანცელარიის მმართველი.

გადაწყვეტილებანი ოპერატიულ ან სხვა მიმდინარე საკითხებზე გამოიცემა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების სახით, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მისი პირველი მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი ძალაში შედიან მათი მიღების მომენტიდან, თუ ამ აქტებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 33. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიას სათავეში უდგას სახელმწიფო კანცელარიის მმართველი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი.

მთავრობის სახელმწიფო კანცელარია შედგება სახელმწიფო მრჩევლებისაგან, განყოფილებების, სამეურნეო სამმართველოსა და სხვა სტრუქტურული დანაყოფებისაგან.

სახელმწიფო კანცელარია ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში განსახილველ საკითხებს და ამოწმებს გადაწყვეტილებათა შესრულებას.

სახელმწიფო კანცელარიის დებულებას და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მთავრობის აპარატში არ შეიძლება არსებობდეს ან შეიქმნას მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების სტრუქტურული ერთეულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

59 საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და ნარკოგიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 13 მარტის № 169 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო, რომელსაც აფინანსებდა ყოფილი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო. სსრ კავშირის დაშლის გამო შეწყდა აღნიშნული სამმართველოს დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის პირობებში აღინიშნება ორგანიზებული დანაშაულის ზრდის ტენდენციები, ფართოვდება კორუმპირებულ პირთა დანაშაულებრივი კავშირები, რომლებიც ხშირად მყარდება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოქმედ დამნაშავეთა ჯგუფებთან, ამასთანავე რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით აუცილებელია სამმართველოს ფუნქციონირების გაგრძელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მისთვის გამოყოფილი სახსრებიდან დააფინანსოს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო.

2. დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნა ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ნაწილობრივ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ და დამტკიცდეს ამ სამმართველოს თანდართული დებულება.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შეისწავლოს და გადაწყვიტოს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს რესპუბლიკის ბიუ
თან ურთიერთობის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 მარტი, № 338

ეროვნული ბიბლიოთეკა

60 თბილისის უმაღლესი კომერციული კოლეჯის ბაზაზე თბილისის კომერციის ინსტიტუტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და შეიქმნას თბილისის უმაღლესი კომერციული კოლეჯის ბაზაზე თბილისის კომერციის ინსტიტუტი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს სათანადო ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დაფინანსებაში. თბილისის უმაღლესი კომერციული კოლეჯისათვის განკუთვნილი 1935000 მანეთი გადაიტანოს თბილისის კომერციის ინსტიტუტის დასაფინანსებლად.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა 1992 წლის მისაღები კონტინგენტის შემუშავებისას დაადგინოს თბილისის კომერციის ინსტიტუტისათვის ადგილების რაოდენობა და სპეციალობათა ნუსხა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 მარტი, № 340

ეროვნული ბიბლიოთეკა

61 საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნის „საქ-ყოფსერვისის“ გაუქმების შესახებ

წარმოების დემონოპოლიზაციისა და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მართვის ბიუროკრატიული სტრუქტურების ლიკვიდაციასა და თავისუფალი კონკურენციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნი „საქყოფსერვისი“.

2. გადაეცეს ქალაქ თბილისის მერიას ბალანსიდან ბალანსზე კონცერნ „საქყოფსერვისის“ თბილისში განლაგებული ყველა სპეციალიზებული საწარმო, გაერთიანება და ორგანიზაცია.

3. რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში განლაგებული კონცერნ „საქყოფსერვისის“ საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები გადაეცეთ ბალანსიდან ბალანსზე ტერიტორიული ნიშნის მიხედვით ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

4. ყოფილ კონცერნ „საქყოფსერვისში“ შემავალი ორგანიზაციების დამოუკიდებელი ფუნქციონირება და საჭიროების შემთხვევაში მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება მოხდეს „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

5. კონცერნმა „საქყოფსერვისმა“ მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გადაცემა მოახდინოს არსებული წესის თანახმად 1992 წლის 1 მაისამდე.

6. კონცერნ „საქყოფსერვისის“ გაუქმებასთან დაკავშირებით შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია კონცერნის ვიცე-პრეზიდენტის გ. ნინიძის თავმჯდომარეობით.

სალიკვიდაციო კომისიამ გაუქმებული კონცერნის აპარატის მუშაკები გაათავისუფლოს და მათ საბოლოო ანგარიში გაუსწოროს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ქალაქ თბილისის მერიამ (ო. ლითანიშვილი) და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიამ (გ. ბერიძე) მოამზადონ წინადადება კონცერნ „საქყოფსერვისის“ ცენტრალური აპარატის მიერ დაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებული ფართობის (გ. ლეონიძის ქუჩა, № 2) შემდგომი გამოყენების თაობაზე.

8. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

თბილისი, 1992 წ. 19 მარტი, № 341

ეროვნული ბიბლიოთეკა

62 საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში (ქალაქებში) სოფლის მეურნეობის სამმართველოებისა და განყოფილებების შექმნის შესახებ

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით სოფლად მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის დანერგვის, მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის თანაბარი ხელსაყრელი პირობების შექმნისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ეკონომიკურ-ორგანიზაციული პირობების მომზადების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და რესპუბლიკის რაიონებში (ქალაქებში) არსებული წესით შეიქმნას აღნიშნული სამინისტროსა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოს ორმაგი დაქვემდებარების (იურიდიული პირის უფლებით) სოფლის მეურნეობის სამმართველოები, ხოლო რაიონებში, სადაც შეიქმნება მხოლოდ გლეხური (საკომლო), ფერმერული, საკარმიდამო და კერძო მეურნეობები, შეიქმნას სოფლის მეურნეობის განყოფილებები.

აღნიშნული სამმართველოებისა და განყოფილებების საშტატო განრიგს და დებულებას საქმიანობის წესის შესახებ ამტკიცებს, რაიონის (ქალაქის) მმართველობის ადგილობრივი ორგანო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები თვითონ განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის მართვის ადგილობრივი ორგანოების ფორმებსა და სტრუქტურებს კონკრეტული პირობებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, განყოფილებას ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

— სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და მოსახლეობის (შრომითი კოლექტივის) არჩევანის გათვალისწინებით მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის დანერგვის (კოოპერაციული, გლეხური, კერძო, ფერმერული და სხვ.) ხელისშეწყობა და მათთვის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის თანაბარი პირობების შექმნა;

— საწარმოებსა და ორგანიზაციებში აგრონომიული, ზოოტექნიკური, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღონისძიებებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვის კოორდინირება;

— რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო სამსახურების (ვეტერინარული, აგროქიმიური, სოფლტექზედამხედველობის, თესლებისა და სარგავი მასალის ხარისხის, მცენარეთა კარანტინის, გარემოს დაცვის და სხვ.) საქმიანობის კოორდინირება და კონტროლი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სოფლის მეურნეობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, აგროსერვისის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისა და სხვა სამსახურების საქმიანობის კოორდინირება;

— სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთების მიღება-გაფორმება და შესრულების ორგანიზაცია;

— სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაციაში მეთოდური დახმარების გაწევა;

— კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია.

4. რაიონის (ქალაქის) სოფლის მეურნეობის სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაკთა შრომის ანაზღაურება განხორციელდეს „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილებით დამტკიცებული შრომის ანაზღაურების პირობების შესაბამისად სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განყოფილებათა მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.

5. დაწესდეს, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოების, განყოფილებების უფროსებს ნიშნავს და ათავისუფლებს რაიონის (ქალაქის) გამგეობა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოების, განყოფილებების აპარატის შენახვა ხდება ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 7 სექტემბრის № 721 დადგენილება და რაიონებსა და ქალაქებში გაუქმდეს ის სამსახურები, რომელთაც დაკისრებული აქვთ აგროსამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვის ფუნქციები.

8. დაევალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე დაამთავრონ სოფლის მეურნეობის მართვის ადგილობრივი ორგანოების ფორმირება.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი — თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი — ბ. ბერიძე

თბილისი, 1992 წ. 23 მარტი, № 343

ეროვნული ბიბლიოთეკა

63 თბილისის მეტროპოლიტენით სარგებლობის ახალი ტარიფის შესახებ

მეტროპოლიტენით სარგებლობის ახალ ტარიფზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიცვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 14 თებერვლის № 150 დადგენილების მე-2 პუნქტი და მეტროპოლიტენით მგზავრობის ახალ 60-კაპიკიან ტარიფზე გადასვლა დაწესდეს მიმდინარე წლის 25 მარტიდან ნაცვლად 1 მარტისა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს თბილისის მეტროპოლიტენს დამატებითი სახსრები 25 მარტამდე ზარალის ზრდის გათვალისწინებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ და თბილისის მეტროპოლიტენმა მიიღონ ქმედითი ზომები მონეტების შემცვლელი ჟეტონების დასამზადებლად მიმდინარე წლის 1 მაისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 23 მარტი, № 347

ეროვნული ბიბლიოთეკა

64 მსჯავრდადებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის № 874 დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება მსჯავრდადებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი გ. ბერიძე

ქ. თბილისი, 1992 წ. 25 მარტი, № 348

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 25 მარტის
№ 348 დადგენილებით

დროებითი დებულება

მსჯავრდადებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ

1. დროებითი დებულება განსაზღვრავს მსჯავრდადებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობათა განხილვის წესს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი შეწყალების შუამდგომლობათა გარდა განიხილავს სასჯელმოხდილ პირთა განცხადებებს იმის შესახებ, რომ გაათავისუფლონ ისინი მატერიალური ზარალის ანაზღაურებისაგან, რომლის გადახდევინება სასამართლოს განაჩენით დაკისრებული აქვთ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების სასარგებლოდ.

3. შუამდგომლობას მსჯავრდადებულის შეწყალების შესახებ განიხილავენ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულება შეწყალების შუამდგომლობის შესახებ საბოლოოა.

5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი როგორც წესი, შეწყალებას შეუფარდებს მსჯავრდადებულს თვით მისი პირადი შუამდგომლობის საფუძველზე.

6. შეწყალების შუამდგომლობის განხილვისას ითვალისწინებენ მსჯავრდადებულის პიროვნულ თვისებებს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ადრინდელ ნასამართლობას, სასჯელის მოხდის ადგილზე მისი ქცევის წესს, ოჯახურ მდგომარეობას, შრომისადმი დამოკიდებულებას, შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის აზრს.

7. პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელის უფრო მსუბუქი ზომა, შეიძლება შეეფარდოთ შეწყალება, თუ მსჯავრდადებული მოიხდის სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარს.

შეწყალება, როგორც წესი, არ შეეფარდებათ იმ პირებს, რომლებიც წინათ, შეწყალების წესით, ვადამდე იყვნენ განთავისუფლებულნი სასჯელის მოხდისაგან და ნასამართლობის ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინეს დანაშაული, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად.

8. მსჯავრდადებულისათვის შეწყალების შეფარდებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) გათავისუფლება ძირითადი ან დამატებითი სასჯელისაგან;

ბ) სასჯელის ვადის შემცირება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) თავისუფლების აღკვეთის ვადის მოუხდელი ნაწილის შეცვლა საპყრ-ლის უფრო მსუბუქი ზომით.

9. შეწყალების შუამდგომლობის მასალებს ამზადებს საქართველოს რეს-უბლიკის იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდადებული პირების შეწყალების უამდგომლობათა მომზადების განყოფილება, რომელიც ამასთანავე კონტ-ოლს უწევს შეწყალების შუამდგომლობათა გამო საქართველოს რესპუბლი-ის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებათა დროულად შესრუ-ლებას.

10. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანა-აულისათვის მსჯავრდადებული პირის შუამდგომლობის განხილვის მასალებს ენდა დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს და-კვნა.

11. შუამდგომლობას იმ მსჯავრდადებული პირის შეწყალების შესახებ, რო-ელმაც მოიხადა სასჯელის დანიშნული ვადის უმნიშვნელო ნაწილი, აგრეთვე მ პირის შეწყალების შესახებ, რომელიც მსჯავრდადებულია სახელმწიფოს წი-ააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის, ან იმ პირის იმართ, რომელიც კანონით დადგენილი წესით ცნობილია როგორც განსაკუთ-ებით საშიში რეციდივისტი, სასჯელის მოხდილი ვადის მიუხედავად, საქართ-ელოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგენენ მხოლოდ ამინ, თუ არსებობს განსაკუთრებული გარემოებანი ან საქართველოს რეს-უბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს, ეპუტატების, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს ესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ასამართლოს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს წარდგინებანი.

ასეთის არარსებობის შემთხვევაში შუამდგომლობა განუხილველად უბ-უნდება განმცხადებელს.

შენიშვნა: განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას შუამდგომლობის ასალებს უნდა დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკუ-ორია და საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის დასკვნები ანსახილველი საქმის თაობაზე.

12. განმეორებით შუამდგომლობას იმ პირის შეწყალების შესახებ, რომე-ლიც მსჯავრდადებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით ამაში დანაშაულისათვის, თუ არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებანი, ოგორც წესი განიხილავენ წინა შუამდგომლობაზე უარის თქმის დღიდან ქვსი თვის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე შემოსული განმეორებითი შუამდგომ-ლობა არ განიხილება.

13. მსჯავრდადებული პირების შეწყალების შუამდგომლობის მასალებს გა-იხილავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმთან შე-მნილი შეწყალების საქმეთა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან აქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მო-დგილე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ადმინისტრაციუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ორგანოების საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

14. კომისიის წინადადებებს მსჯავრდადებული პირის შეწყალების ან შეწყალებაზე უარის თქმის შესახებ წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმს.

15. შეწყალების შუამდგომლობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პირი არასწორადაა მსჯავრდადებული, გადაეგზავნება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის სასამართლო ან პროკურატურის ორგანოებს ზედამხედველობის წესით შესამოწმებლად.

16. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი მსჯავრდადებული პირის შეწყალების შესახებ გამოსცემს განკარგულებას, რომელიც შესასრულებლად ეგზავნებათ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს — იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, აგრეთვე მსჯავრდადებულნი არიან გადასახლებით, გასახლებით, გამასწორებელი სამუშაოებით თავისუფლების აღუკვეთლად;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს — იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ სასჯელის სხვა ზომები, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, და განკარგულება მატერიალური ზარალის ანაზღაურებისაგან განთავისუფლების თაობაზე.

17. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულება მსჯავრდადებულის შეწყალების შესახებ უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ, განკარგულების ამონაწერის მიღებისთანავე.

18. იმ მიზნით, რომ გაიზარდოს შეწყალების აქტის მნიშვნელობა მსჯავრდადებულთა გამოსწორებისათვის, პატიმრობის ადგილების ადმინისტრაციას თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულება მსჯავრდადებული პირის შეწყალების შესახებ გამოაცხადოს შრომა-გასწორების დაწესებულების პატიმართა კრებაზე ან გააცნოს პატიმრებს ეს განკარგულება ბრიგადებში, რაზმებსა და ქვეგანაყოფებში.

19. ცნობებს შეწყალების შესახებ განკარგულების შესრულების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უგზავნის ის ორგანო, რომელსაც ეკისრება ამ განკარგულების შესრულება.

20. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო ორგანოები გამოიტანენ გადაწყვეტილებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ან ზედამხედველობის წესით განაჩენის გაუქმების ან შეცვლის თაობაზე იმ მსჯავრდადებულის მიმართ, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიწყალა, სასამართლო ორგანოები მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ცნობებენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს.

მსჯავრდადებულის შეწყალების შესახებ ადრე გამოტანილი განკარგულების გაუქმების ან შეცვლის საკითხი განიხილება მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს პირი იხდის სასჯელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საფელდეგერო სამსახურის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს საფელდეგერო სამსახურის ქვედანაყოფების ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საფელდეგერო სამსახური და დაეკისროს მას საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კორესპონდენციათა დროული მიწოდება და აგრეთვე ურთიერთკავშირის დამყარება სხვა სახელმწიფოთა საფელდეგერო სამსახურებთან ხელშეკრულებათა საფუძველზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საფელდეგერო სამსახურის დებულების პროექტი.

3. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საფელდეგერო სამსახურის თანამშრომლებს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ 1992 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად გაითვალისწინოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საფელდეგერო სამსახურის შესანახი ხარჯები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 26 მარტი, № 368

ეროვნული ბიბლიოთეკა

66 საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ ძირეული ეკონომიკური რეფორმის განხორციელების აუცილებლობა მოითხოვს სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ფართო ფენების ძალისხმევათა კოორდინაციას.

რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიული კურსის ჩამოყალიბების, ეკონომიკური რეფორმის თანამიმდევრულობის უზრუნველყოფისა და კრიზისული მდგომარეობის დაძლევის გადაუდებელ ღონისძიებათა შეთანხმებულად გატარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბი შემდეგი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით:

— საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო;

— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი;

— საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი;

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი;

— საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო.

2. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და უწყებებმა ეკონომიკური რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი შემოიტანონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში განსახილველად, როგორც წესი, მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბში განხილვის შემდეგ.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიამ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე შეტანილ იმ საკითხებზე მსჯელობისას, რომლებიც შეეხება ეკონომიკურ რეფორმას, უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის კომპეტენციის, ფუნქციების, საქმიანობის რეგლამენტისა და შესაბამისი მაკოორდინირებელი ჯგუფის სტრუქტურის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბთან სათათბირო მეცნიერთა, სპეციალისტთა, კერძო და სახელმწიფო სექტორის საბეურნეო მუშაკთა, საზოგადოებრიობისა და პროფკავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით. დამტკიცდეს სათათბიროს პერსონალური შემადგენლობა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის საქმიანობის კოორდინირება დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ბატონ რომან გოცირიძეს.

7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის კათედრებმა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბს თავის საქმიანობაში, უზრუნველყონ საჭიროებისამებრ და მისი მითითებით მეცნიერული კვლევების ორგანიზაცია და შესრულება შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების თემატურ და სხვა გეგმებში ცვლილებათა შეტანის ჩათვლით.

8. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს.

9. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 26 მარტი, № 369

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 26 მარტის
№ 369 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბთან არსებული საზოგადოებრივი სათათბიროს შემადგენლობა

ორგი ადეიშვილი — თსუ კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ავით ადეიშვილი — თსუ დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ალერიან ადვაძე — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ობერტ ანდღულაძე — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ოსებ არჩვაძე — საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ოდარ ბაგრატიონი — თსუ კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

ახტანგ ბურკაძე — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ედეა გოცირიძე — თსუ კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

აჟა გურგენიძე — საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

ახტანგ გვახარია — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი;

ევაზ გველესიანი — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირა გელაშვილი — მწერალი;
ტარიელ ზამბახიძე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საა
ბიტრაჟო საკამართლოს თავმჯდომარის მოა
გილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატ
დოცენტი;
მურთაზ ზანკალიანი — საქართველოს წარმოებისა და მომსახურებ
სფეროს კოოპერატორთა კავშირის თავმჯდ
მარე;
ბონდო ზარნაძე — საქართველოს მოიჯარეთა და მეწარმეთა კ
შირის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერ
ბათა კანდიდატი;
გია ზუბაშვილი — გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტი;
ოთარ თოხაძე — „ივერთბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე;
ალექსანდრე თვალჭრელიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გე
ლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამ
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერება
დოქტორი;
დავით იაკობიძე — სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟი
გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ეკ
ნომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
ზაზა კაციაშვილი — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
ზურაბ კეკელიძე — საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის
მინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლ
ვითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილ
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;
დავით კეკენაძე — საქართველოს ეკონომიკური აღორძინებ
კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილ
ზურაბ კირვალიძე — საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ გენერალ
რი დირექტორი;
რომან კორტავა — „ქართლიბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე;
იაკობ მესხია — საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკ
ნომიკური ინფორმაციის კომიტეტთან არ
ბული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებ
და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტ
დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერება
დოქტორი;
ელგუჯა მექვაბიშვილი — თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მ
ადგილე — ეკონომიკის მეცნიერებათა კ
დიდატი, დოცენტი;
თემურ მირიანაშვილი — საქართველოს თავისუფალ მეწარმეთა უ
ვერსალური ბირჟის „კომერსანტის“ დირ
ტორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურად ნარსია	— საქართველოს მრეწვმშენბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
ვლადიმერ პაპავა	— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;
იოსებ სიმონიშვილი	— გაზეთ „დროშის“ კორესპონდენტი;
ზურაბ სოსელია	— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
ირაკლი ტუღუში	— საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარე;
ამირან ქადაგიშვილი	— სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟის“ პრეზიდენტი;
ზვიად ქორიძე	— ჟურნალისტი;
ოლეგ შატბერაშვილი	— „ტექინფორმის“ დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
ომარ შეშელიძე	— საქართველოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;
დოდო შონავა	— საქართველოს რადიო „პიკის საათის“ რედაქტორი;
გიორგი შუბლაძე	— საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული მარკეტინგის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;
თამაზ ჩიკვაიძე	— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ირაკლი ჩუბინაშვილი	— თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი;
გია ცაგარელი	— თსუ კათედრის გამგე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;
დავით ძნელაძე	— საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული შრომის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
მიხეილ ჭკუასელი	— თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი;
ნოდარ ხვთისიაშვილი	— საწარმოო-სავაჭრო ფირმის „სამების“ დირექტორი;
ოთარ ხუციშვილი	— გაზეთ „რესპუბლიკის“ კორესპონდენტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯავახიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ბინსოცბანკის ისნის განყოფილების მმართველი;

მიხეილ ჯიბუტი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკურ საკითხთა მრჩეველი — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67 ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსთან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობის გაუქმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 13 მაისის № 398 დადგენილება „ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსთან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობის შექმნის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 26 მარტი, № 370

68 საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში და მასში შემავალ ორგანიზაციებში საქართველოს რესპუბლიკის წევრად მიღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ეთანხმება:

ა) საერთაშორისო სავალუტო ფონდის (შემდგომში „ფონდი“) შეთანხმების ხელშეკრულებას;

ბ) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (შემდგომში „ბანკი“) შეთანხმების ხელშეკრულებას;

გ) საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (შემდგომში „კორპორაცია“) შეთანხმების ხელშეკრულებას;

დ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (შემდგომში „ასოციაცია“) შეთანხმების ხელშეკრულებას;

ე) კონვენციას, რომელიც აფუძნებს საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრს (შემდგომში „ცენტრი“);

ვ) კონვენციას, რომელიც აფუძნებს მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“);

ზ) ფონდის, ბანკის, კორპორაციის, ასოციაციის და სააგენტოს წევრად საქართველოს რესპუბლიკის მიღების ვადებსა და პირობებს, რომლებიც გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვრულია ამ ორგანიზაციების მმართველი საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციებით.

2. საქართველოს რესპუბლიკა იღებს ვალდებულებას შეასრულოს ფონდის, სპეციალური სესხის უფლებათა დეპარტამენტის წევრობის შედეგად დაკისრებული ყველა მოვალეობა.

3. საქართველოს რესპუბლიკა, როგორც ფონდის წევრი, ეთანხმება ფონდის მმართველობის № 45-3 რეზოლუციით დამტკიცებულ ყველა ცვლილებას.

4. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ბ-ნი ო. ქვილითაია უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ფონდის, ბანკის, კორპორაციისა და ასოციაციის ხელშეკრულებას, ასევე იმ კონვენციებს, რომლებიც აფუძნებენ სააგენტოს და ცენტრს, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს, რომლებიც აუცილებელია ამ დადგენილების 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნათა შესასრულებლად.

5. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ბ-ნი ო. ქვილითაია და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვ. ჯინჯიხაძე უფლებამოსილი არიან ისესხონ ან მოითხოვონ ფულადი სახსრები ფონდის, ბანკის, კორპორაციის, ასოციაციის, სააგენტოს და ცენტრისათვის გადასახდელად და ამ მიზნით გამოუშვან უბრუნვადი ფასიანი ქაღალდები და უპროცენტო ობლიგაციები.

მე-5 პუნქტის პირველ ნაწილში მითითებულ პირებს მიეცეთ ნებისმიერი ოდენობის კრედიტები, რომლებიც გადაეხდება ან გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკას ხელშეკრულების შესაბამისად ფულადი ოპერაციებისა და ტრანს-აქციების შესასრულებლად.

6. ა) ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს:

1. საფინანსო სააგენტოს ფონდთან ურთიერთობაში, ხელშეკრულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად;

2. საფინანსო სააგენტოს ბანკთან ურთიერთობაში, ბანკის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად;

3. კომუნიკაციის არხს კორპორაციასთან ურთიერთობაში, კორპორაციის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად;

4. კომუნიკაციის არხს ასოციაციასთან ურთიერთობაში ასოციაციის ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად;

5. კომუნიკაციის არხს სააგენტოსთან ურთიერთობაში, სააგენტოს კონვენციის 38-ე მუხლის თანახმად.

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი იქნება რესპუბლიკაში არსებული ფულადი ნიშნების საცავი ფონდი, რომლითაც მოხდება ყველანაირი ანგარიშსწორება ფონდთან, ბანკთან, კორპორაციასთან, ასოციაციასთან და სააგენტოსთან.

7. საქართველოს რესპუბლიკის მმართველად ფონდში დაინიშნოს ბ-ნი ო. ქვილითაია, ხოლო ალტერნატიულ მმართველად ბ-ნი ვ. ჯინჯიხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მმართველად ბანკში დაინიშნოს ბ-ნი ო. ქვილითაია, ხოლო ალტერნატიულ მმართველად ბ-ნი ნ. კაკულია.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 31 მარტი, № 377

69 საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:
დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს თანდართული დროებითი დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 აპრილი, № 395

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 395
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს

დროებითი დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო") არის რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა შემუშავების, ეკონომიკური რეფორმის წარმართვისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების მაკოორდინირებელი სახელმწიფო ორგანო. იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

1.2. სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები, თბილისის მერიის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სათანადო ქვედანაყოფები შეადგენენ სტრატეგიული დაგეგმვის, ეკონომიკური რეფორმისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების ერთიან სახელმწიფო სისტემას.

1.3. სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებებით და ამ დებულებით.

1.4. სამინისტრო არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიშები ბანკებში, ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს რესპუბლიკის გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

2. ამოცანები

სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

2.1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის აღორძინების და მსოფლიო კავშირურთიერთობებში ორგანულად ჩართვის პირობების შექმნა;

2.2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი რეალიზაციისათვის სათანადო წინაპირობების შექმნა და ხელშეწყობა.

2.3. ეკონომიკური რეფორმის განხორციელების მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით სამუშაოთა კოორდინაცია, რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა სისტემურობის უზრუნველყოფა.

2.4. რესპუბლიკის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა, მონოპოლიზმის შეზღუდვის ღონისძიებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი, მეწარმეობის, უპირველეს ყოვლისა, კერძო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

2.5. სახელმწიფო საჭიროებისათვის რესურსების ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება.

2.6. ფასწარმოქმნის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

3. ფუნქციები

სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია:

3.1. რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემური ანალიზი, კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის ღონისძიებათა შემუშავება, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის შესაბამის წინადადებათა წარდგენა.

3.2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზებისა და პროგრამების შემუშავება, მათ შორის დარგობრივ, დარგთაშორის და ტერიტორიულ ჭრილში, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირება.

3.3. ეკონომიკური რეფორმის განხორციელების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლებისა და ძირითადი პრინციპების შემუშავება, მმართველობის ორგანოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია ამ მიმართულებით.

3.4. ეკონომიკური ცხოვრების და მისი რეფორმირების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო აქტების მომზადების სამუშაოთა ორგანიზაცია და კოორდინაცია.

3.5. საკუთრებით ურთიერთობათა ტრანსფორმაციის უზრუნველყოფის და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის განვითარებისათვის თანასწორი პირობების შექმნის და დეცენტრალიზაციის წინადადებათა მომზადება, ამ პროცესების საერთო მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა.

3.6. უწყებრივი და სამეურნეო მონოპოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, თავისუფალი სამეწარმეო ინიციატივის და კონკურენციის განვითარების ორგანიზაციულ-მეთოდური და საფინანსო-ეკონომიკური მხარდაჭერა.

3.7. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად სახელმწიფოებრივი მართვისა და რეგულირების ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფის წინადადებათა შემუშავება.

3.8. სახელმწიფო შეკვეთების განსაზღვრა და უმნიშვნელოვანესი რესურსების სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის მობილიზაციის მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება.

3.9. სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავება, სტრუქტურული კრიზისის დაძლევის ღონისძიებათა განხორციელება, რესპუბლიკის საშინაო ბაზრის განვითარების პირობების შექმნა და საგარეო ბაზართან მისი რაციონალური კავშირების განსაზღვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.10. საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბება, საინვესტიციო აქტიურობის ამაღლების ღონისძიებათა შემუშავება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ოპტიმალური ფორმებისათვის წინადადებათა მომზადება, ამ მიმართულებით პროექტების ექსპერტიზა, საინვესტიციო პროცესების სახელმწიფოებრივი კონტროლი და რეგულირება.

3.11. საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების დამუშავება, წინადადებათა შემუშავება ექსპორტ-იმპორტის კვოტირების, ლიცენზიების და საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის თაობაზე კვოტების დადგენა.

3.12. ანტიმონოპოლიური რეგულირების განხორციელება, კონკურენციის განვითარების პირობების შექმნა, სასაქონლო ბაზრების ანალიზი, წარმოებისა და მიმოქცევის დემონოპოლიზაციის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი.

3.13. ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ღონისძიებათა კოორდინაცია, ფასწარმოქმნის დეცენტრალიზაციის, ლიბერალიზაციის, რეგულირებადი ფასების დაწესებისა და გამოყენების თაობაზე წინადადებათა მომზადება და გადაწყვეტილებათა მიღება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფასების დინამიკის სისტემატური ანალიზი, ფასების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისა და დისციპლინის დაცვის კონტროლი.

3.14. ეროვნული მეურნეობის საგანგებო პირობებში ფუნქციონირების წინადადებათა მომზადება, სამობილიზაციო რეზერვების ფორმირება.

3.15. თანამშრომლობა საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, ეკონომიკის სტაბილიზაციის, მეურნეობრიობის მექანიზმის სრულყოფის, ანტიმონოპოლიური რეგულირების და მეწარმეობის მხარდაჭერის სფეროში.

3.16. ზრუნვა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ სპეციალისტთა მივლინება დადგენილი წესით.

4. უფლებამოსილებანი

სამინისტრო უფლებამოსილია:

4.1. შეუფერხებლად მიიღოს სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საწარმოების, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისაგან ნებისმიერი ინფორმაცია სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, რომლებიც აუცილებელია მისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისათვის, აგრეთვე წერილობითი (სიტყვიერი) ახსნა-განმარტებანი.

4.2. შექმნას მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები და საბჭოები მის კომპეტენციას მიკუთვნებული უმნიშვნელოვანესი საკითხების დასამუშავებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ლად, ჩართოს ამ საქმიანობაში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები, საპროექტო და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციები, ნებაზოგადოებრივი გაერთიანებები და კავშირები, ცალკეული სპეციალისტები (მათ შორის უცხოელი) საკონკურსო და საკონტრაქტო ფორმით.

4.3. საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებისათვის მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები, აანალიზაროს მათი მომსახურება ხელშეკრულების საფუძველზე, დადგენილი წესით.

4.4. ჩაატაროს თათბირები, სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, მათ შორის უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობით.

4.5. დადგენილი წესით მიავლინოს საზღვარგარეთ სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესასწავლად, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად.

4.6. მისცეს სამინისტროებს, კომიტეტებს, მმართველობის სხვა ორგანოებს, საწარმოებს (სამეურნეო ამხანაგობებსა და საზოგადოებებს), მათს თანამდებობის პირებს სავალდებულო მითითებანი არამართლზომიერი გადაწყვეტილებებისა და აქტების მოქმედების შეჩერებისა ან შეცვლის შესახებ.

4.7. წარუდგინოს სამინისტროებს, კომიტეტებს, მმართველობის სხვა ორგანოებს, საწარმოებს (სამეურნეო ამხანაგობებსა და საზოგადოებებს), მათს თანამდებობის პირებს განსახილველად აუცილებელი წინადადებები და რეკომენდაციები.

4.8. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამტკიცოს სავალდებულო და სარეკომენდაციო ნორმატიული დოკუმენტები და მეთოდური მითითებანი.

4.9. დასვას საკითხი სამინისტროს სავალდებულო მითითების ან განაწესის შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გამოყენების შესახებ.

4.10. მიიღოს მოქალაქეთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს ისინი დადგენილ ვადებში და გასცეს წერილობითი პასუხი განმცხადებელს.

4.11. საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი წესით გააუქმოს თავისი გადაწყვეტილებანი.

4.12. მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს და სასამართლოს განცხადებით ან სარჩელით, მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში.

4.13. წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასკვნები და შენიშვნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე.

4.14. შეითანხმოს მართვის ტერიტორიულ ორგანოებში შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები და სისტემაში შემავალი სტრუქტურების ხელმძღვანელთა კანდიდატურები.

5. მუშაობის ორგანიზაცია

5.1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი.

მინისტრს ჰყავს ოთხი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.2. სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან მინისტრი, მი-
ნისტრის მოადგილეები თანამდებობრივად, სამინისტროს ძირითადი სტრუქ-
ტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, აგრეთვე რესპუბლიკის სხვ
ეკონომიკური ორგანოების წარმომადგენლები, მეცნიერი სპეციალისტები.

კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

5.3. მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროს
ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის. იგი განსაზღვრავს მინის-
ტრის მოადგილეთა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელ-
მძღვანელთა ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას.

5.4. მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძა-
ნებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს, წესებს, მეთოდურ მითითებებს, სხვ
ნორმატიულ დოკუმენტებს.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის სხვა სამინისტრო-
ებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ღებულობს კოლეგიის ერთობ-
ლივ გადაწყვეტილებებს, გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებს, განკარგულება
და ინსტრუქციებს.

5.5. სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე იხილავს სოციალურ-ეკო
ნომიკური განვითარების, ინვესტიციური და სტრუქტურული პოლიტიკის, ეკო
ნომიკური რეფორმის, საგარეო ეკონომიკური კავშირების, ფასწარმოქმნის, დ
ანტიმონოპოლიური რეგულირების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ნორმატიუ
ლი დოკუმენტების და გადაწყვეტილებების პროექტებს, ისმენს ავტონომიურ
რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორ
განოების, სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ინფორმაციებს, თავისი სტრუ
ტურული ქვედანაყოფების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ფორმდება მინისტრი
ბრძანებით ან კოლეგიის დადგენილებით. მინისტრისა და კოლეგიის წევრთ
უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილება
ამასთან, წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს რეს
პუბლიკის მთავრობას. თავის მხრივ, კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ საკუ
თარი აზრი აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

5.6. სამინისტროს დებულებას, სტრუქტურასა და რიცხოვნობას, აგრეთ
ვე მათ შესანახ ასიგნებათა ოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკ
მთავრობა.

სამინისტროს აპარატის შენახვა და მომუშავეთა მატერიალური სტიმუ
ლირება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, დადგენილი წესით.

სამინისტროს აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს მინისტრი, ხოლ
სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს — სამინისტროს კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70 საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 მაისის № 316 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 აპრილი, № 396

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 396
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო") არის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანო.

1.2. სამინისტრო უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

1.3. თავის საქმიანობაში სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით.

1.4. სამინისტრო მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებას ახორციელებს სისტემის სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთკავშირში.

1.5. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით, შტამპი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები ბანკში.

2. ამოცანები

სამინისტრო:

2.1. ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკაში სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობის სახელმწიფო პოლიტიკას.

2.2. ამზადებს წინადადებებს დარგში განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის, საბაზრო სტრუქტურების შექმნისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, კონცეფციებისა და პროგრამების დამუშავების ორგანიზაციის შესახებ.

2.3. ზრუნავს სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

2.4. შესაბამის პირობებს უქმნის რესპუბლიკის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის განვითარებას.

2.5. ამუშავებს დარგის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების პროგრამებს. მონაწილეობს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების რესპუბლიკური პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციაში.

2.6. ახორციელებს დარგში ეკონომიკურ, საინვესტიციო და სოციალურ პოლიტიკას.

2.7. ორგანიზაციას უწევს სისტემაში საშუამავლო და კომერციულ საქმიანობას, უზრუნველყოფს სასაქონლო რესურსების გამოძებნას და მომხმარებლებისათვის მათს ოპერაციულ მიწოდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ფუნქციები

სამინისტრო:

3.1. მეთოდურ დახმარებას უწევს დარგის წარმოება-დაწესებულებებს ვაჭრობის ორგანიზაციაში, განვითარებაში, პროგნოზირებაში და სავაჭრო საქმიანობის გაანალიზებაში.

3.2. ორგანიზაციას უწევს რესპუბლიკის ბაზრის კონიუნქტურის კომპლექსურ გამოკვლევას ცალკეული რეგიონებისა და საასაქონლო ჯგუფების მიხედვით. სასურსათო და არასასურსათო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის აწარმოებს მარკეტინგული საქმიანობის კოორდინაციას საქინისტროს სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

3.3. სახალხო მოხმარების საქონელზე ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე ამუშავებს წინადადებებს სახელმწიფო შეკვეთების მოცულობის განსაზღვრისათვის.

3.4. შეისწავლის სახელმწიფო შეკვეთების გზით წარმოებული სასაქონლო რესურსების ათვისების მდგომარეობას სავაჭრო ორგანიზაციების მიერ და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

3.5. წარმართავს მუშაობას დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გათვალისწინებით დამატებითი სასაქონლო მასის გამოძებნისათვის, ამზადებს წინადადებებს საექსპორტო რესურსების მოზიდვისა და ვალუტაზე ვაჭრობის განხორციელებისათვის.

3.6. ამუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ვაჭრობის მართვის სტრუქტურების სრულყოფისა და გამარტივებისათვის, ასევე ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების, აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფისათვის, მართვის ავტომატიზებული და კომპიუტერული სისტემების დანერგვისათვის.

3.7. ხელს უწყობს სავაჭრო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, პროგრესული და მაღალმწარმოებლური სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობის დანერგვასა და გამოყენებას.

3.8. ახორციელებს მუშაობას დარგში სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაციისა და მეთოდური უზრუნველყოფისათვის, ამ საქმიანობის სრულყოფისა და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავებისათვის.

3.9. საზოგადოებრივი კვების განვითარების მიზნით განსაზღვრავს მომსახურების საწარმოო-ტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული პროცესების სრულყოფის მიმართულებებს, ხელს უწყობს ქართული ეროვნული კულინარიის განვითარებას, მათ შორის რესპუბლიკაში სავალუტო შემოსავლის გაზადიდებლად.

3.10. აანალიზებს ვაჭრობის წესებისა და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დაცვისა და გამოყენების პრაქტიკას, ამუშავებს წინადადებებს მათში სათანადო ცვლილებების შესატანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.11. სწავლობს და განაზოგადებს სხვა ქვეყნების გამოცდილებას სავაჭრო მომსახურების ორგანიზაციის, ვაჭრობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების გამოყენების საქმეში.

3.12. უზრუნველყოფს ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთა გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

4. უფლებები

სამინისტროს უფლება აქვს:

4.1. დააყენოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე საკითხები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4.2. დააყენოს საკითხები იმ სავაჭრო საწარმოთა ფუნქციონირების დროებით ან მთლიანად შეჩერების შესახებ, რომლებიც უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს, არ იცავენ თავისუფალი კონკურენციისა და სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის პრინციპებს, უგულებელყოფენ რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებს.

4.3. გამოსცეს სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი დადგენილებები, დებულებები და ინსტრუქციები.

4.4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით ან სავაჭრო საწარმოთა წინადადებებით დაამყაროს საგარეო ეკონომიკური კავშირები დადოს ხელშეკრულებები და სავაჭრო გარიგებები საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან, რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დააყენოს საკითხი საზღვარგარეთ სავაჭრო წარმომადგენლობათა გახსნის შესახებ.

4.5. რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურად გამოყენებისა და საქონლო რესურსების ჩამოყალიბების მიზნით კოორდინაციას უწევს სახალხო მოხმარების საქონლის შემოტანა-გატანის საკითხებს.

4.6. მოამზადოს წინადადებები ვაჭრობაში ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების შექმნისა და განვითარების, აგრეთვე არსებულის რეორგანიზაციისათვის.

4.7. მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით საწარმოების, ორგანიზაციების, მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან. დააყენოს საკითხი ვაჭრობის სფეროში აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების დაწესებისა და სრულყოფის თაობაზე.

5. მუშაობის ორგანიზაცია

5.1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი.

5.2. მინისტრი წარმართავს სამინისტროს საქმიანობას და პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.3. მინისტრი საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ პირს.

5.4. მინისტრს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე, რომლებსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. მინისტრის მოადგილეებს შორის ფუნქციებს ანაწილებს მინისტრი.

5.5. სისტემის რესპუბლიკურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს არჩევს და თანამდებობაზე ნიშნავს სამინისტროს კოლეგია.

5.6. სამინისტროში მუშაობის კოორდინაციისა და დარგის ფუნქციონირების გლობალური საკითხების გადაწყვეტის მიზნით იქმნება კოლეგია მინისტრის თავმჯდომარეობით.

კოლეგიის შემადგენლობას სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. კოლეგიის შემადგენლობაში შედიან მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს ქვედანაყოფთა ხელმძღვანელები.

5.7. კოლეგიის გადაწყვეტილებები ფორმდება მინისტრის ბრძანებით ან კოლეგიის დადგენილებით, რომელთა შესრულება სავალდებულოა სისტემის ყველა წარმოება-დაწესებულებებისა და მათი მუშაკებისათვის.

5.8. მინისტრისა და კოლეგიის წევრთა უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. თავის მხრივ, კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ საკუთარი აზრი აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

5.9. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო სამინისტროს აპარატის საშტატო განრიგსა და დებულებას — ვაჭრობის მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

71 სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენის“ წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 24 თებერვლის № 213 დადგენილებით შექმნილ სახელმწიფო საწარმო — ფირმა „საქწყალმშენს“ ეწოდოს სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენი“.

1. დამტკიცდეს სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენის“ წესდება, სტრუქტურა და მასში გაერთიანებული ორგანიზაციებისა და საწარმოების თანდართული ნუსხა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი კ. გელაშვილი

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 აპრილი, № 397

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 392
დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. სამართლებრივი სტატუსი

1.1. სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენი“ (შემდგომში საწარმოო გაერთიანება) შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 24 თებერვლის № 213 დადგენილებით.

საწარმოო გაერთიანება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით.

საწარმოო გაერთიანება ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

1.2. საწარმოო გაერთიანება არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, იმყოფება სრულ სამეურნეო ანგარიშზე, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, აქვს მრგვალი ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელების აღნიშვნით; უფლებამოსილია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) ნებისმიერ საბანკო დაწესებულებებში.

1.3. საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციები და საწარმოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ საანგარიშსწორებო ანგარიშები ბანკების განყოფილებებში.

აღნიშნული ორგანიზაციების დებულებებს ამტკიცებს საწარმოო გაერთიანება.

1.4. სახელმწიფო და მისი ორგანოები პასუხს არ აგებენ საწარმოო გაერთიანების ვალდებულებებისათვის, ისევე როგორც საწარმოო გაერთიანება არ აგებს პასუხს სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ვალდებულებებისათვის.

2. საწარმოო გაერთიანების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი და მისი უფლება-მოვალეობანი

2.1. საწარმოო გაერთიანების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამელიორაციო, წყალსამეურნეო, ჰიდროტექნიკურ, მეწყერ და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა, აგრეთვე სოციალური ინფრასტრუქტურისა და სხვა დანიშნულების ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა.

თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად საწარმოო გაერთიანებას შეუძლია განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

2.2. საწარმოო გაერთიანების ძირითადი ამოცანებია:

— სამელიორაციო, წყალსამეურნეო, სამრეწველო, სოციალური სფეროსა და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობის განხორციელებით სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, სოფლის სოციალური გარდაქმნის პროგრამების განხორციელება;

— სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელება წყალსამეურნეო და ბუნებადაცვითი ობიექტების მშენებლობის სფეროში, ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვა, საწარმოო ბაზის შემდგომი განვითარება, საშენი მასალების, მოწყობილობა-დანადგარების, სათადარიგო ნაწილებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება;

— საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის კოორდინაცია;

— განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხებისადმი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის ყველა პროექტში და შეთანხმებულ იქნეს რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის სამსახურებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან; მოქმედ საწარმოთა ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და მათი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება;

— გრძელვადიანი პირდაპირი სამეურნეო კავშირის დამყარება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დამამზადებელ და მომწოდებელ ოგანიზაციებთან, საგაჭრო-სასაქონლო ბირჟებთან;

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პროგრამისა და დავალებების საფუძველზე საწარმოო გაერთიანების პროფილის შესაბამისად სამუშაოს შესრულება, აგრეთვე სტიქიური მოვლენებისა და საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელება.

2.3. მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის საწარმოო გაერთიანების დადგენილი წესით უფლება აქვს:

— დააწესონ ფასები წარმოებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, ხოლო საიჯარო სამუშაოები შეასრულოს სახელშეკრულებო ფასების საფუძველზე;

—დამოუკიდებლად განსაზღვროს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმები, სისტემები და ოდენობა;

— საბაზრო ურთიერთობათა გათვალისწინებით გამოიყენოს სამეურნეო საქმიანობის ახალი ეფექტიანი მეთოდები და საწარმოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები;

— შექმნას და გააუქმოს ორგანიზაციები იურიდიული პირის უფლებებით როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, დაამტკიცოს მათი წესდება (დებულება);

— განახორციელოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, შექმნას ერთობლივი საწარმოები როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მიიღოს მონაწილეობა მის მართვაში, გააერთიანოს მასში თავისი სახსრები, საწარმოო საშუალებანი და ძირითადი ფონდები, აიღოს ამ მიზნისათვის ბანკის კრედიტი, განახორციელოს ბარტერული გაცვლა და სხვა იმპორტისა და ექსპორტის ოპერაციები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შექმნას მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების საწარმოები, ოჯახმხმარე მეურნეობები და სოციალურ-კულტურული მომსახურების ობიექტები;

— მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობებში, ბაზრობებში, აუქციონებში;

— ააშენოს, შეიძინოს, გაასხვისოს, აიღოს და გასცეს იჯარით საკუთარი შენობა-ნაგებობანი და სხვა უძრავი და მოძრავი ქონება როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

— ფინანსური რესურსების მობილიზაციის მიზნით გამოუშვას ფასიანი ქაღალდები და მოახდინოს მათი რეალიზაცია როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2.4. საწარმოო გაერთიანება თავისი წესდებით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების შესასრულებლად ახორციელებს მრავალმხრივ საქმიანობას, მათ შორის:

— საწარმოო გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში მართვის ახალი მეთოდების დანერგვას, მათი სამეურნეო დამოუკიდებლობის შემდგომი განვითარებით სრული სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების ყოველმხრივ გამოყენებას, მშრომელთა კოლექტივებისათვის ინიციატივისა და მეწარმეობრივი საქმიანობის გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნას, კადრების მომზადების და გადამზადების სრულყოფას; ამყარებს კავშირებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ფონდებთან როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საწარმოო გაერთიანება წყალსამეურნეო და სხვა დანიშნულების მშენებლობის განვითარების პერსპექტივას და მისი სისტემის სამშენებლო, საწარმოო, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას განსაზღვრავს მასში შემავალი ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ დადებულ საიჯარო და სამეურნეო ხელშეკრულებათა, აგრეთვე ერთობლივი საქმიანობის პროგრამის საფუძველზე.

საწარმოო გაერთიანება განაგებს სახელმწიფო დაკვეთის განაწილებას ორგანიზაციებს შორის და დასახული პროგრამის ვადებში შესრულების მიზნით ახორციელებს სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის კოორდინაციას.

საწარმოო გაერთიანება დადგენილი ნორმატივების ფარგლებში ამტკიცებს საკუთარ მშენებლობათა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას და ნიშნავს მათ ექსპლუატაციაში მიმღებ კომისიას.

3. საწარმოო გაერთიანების ქონება და სახსრები

3.1. საწარმოო გაერთიანებას სამეურნეო გამგებლობაში აქვს სახელმწიფო ქონება, რომელიც შედგება ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და მატერიალურ-ფინანსური რესურსებისაგან, რომელთა ღირებულებაც აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსში და შეადგენს საწარმოო გაერთიანების საწესდებო ფონდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.2. საწარმოო გაერთიანების სახსრები შედგება:

— შესრულებულ სამუშაოთა, პროდუქციის რეალიზაციის, მომსახურების სფეროს, ერთობლივი, საწარმოებისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის ამონაგებებიდან;

— ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან;

— საბიუჯეტო სახსრები;

— ბანკის კრედიტებიდან;

— კანონით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

3.3. საწარმოო და ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ხარჯზე დადგენილი წესით ბიუჯეტში გადასახადის შეტანის შემდეგ საწარმოო გაერთიანება ქმნის საფინანსო რეზერვებს, დაზღვევისა და სამეურნეოანგარიშიან ფონდებს.

3.4. საწარმოო გაერთიანება აწარმოებს საკუთარი ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ანარიცხებს (მათ სრულ აღდგენაზე), ახდენს დროებით გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების, საწარმოების, სასაწყობო და სხვა დანიშნულების სათავსების, მოწყობილობა-დანადგარების, მექანიზმების, ტრანსპორტისა და სხვა ძირითადი საშუალებების განკარგვას და დადგენილი წესით იჯარით გაცემას, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ძირითადი ფონდების ჩამოწერას.

3.5. საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს დადგენილი წესით შეიმუშაოს წინადადებანი საწარმოო გაერთიანებაში შემავალი ორგანიზაციებისა და საწარმოების ძირითად საშუალებათა პრივატიზაციის თაობაზე და წარადგინოს შესაბამის სამთავრობო ორგანოებში.

3.6. ფინანსების, კრედიტების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში საწარმოო გაერთიანება ნერგავს თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს, უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის და ფინანსური დისციპლინის განმტკიცებას, რენტაბელობის დონის ამაღლებას, ატარებს საბრუნავ საშუალებათა შენარჩუნებისა და მათი ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს.

3.7. საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს თავის საქმიანობაში გამოიყენოს ბანკის კრედიტი, საკუთარი სახსრების ხარჯზე ბალანსიდან ჩამოწეროს უიმედო დებიტორული დავალიანებები და აწარმოოს სხვადასხვა დანიშნულების ფინანსური ოპერაციები არსებული კანონმდებლობის დაცვით.

თავისი საქმიანობის საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას და ანგარიშგებას საწარმოო გაერთიანება აწარმოებს დადგენილი წესის მიხედვით.

3.8. საწარმოო გაერთიანება ატარებს თავისი სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზს და ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს მისი გაუმჯობესების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საწარმოო გაერთიანების მართვა

4.1. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის და წესდების საფუძველზე საწარმოო გაერთიანებას მართავს მისი ხელმძღვანელი (უფროსი), რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

4.2. საწარმოო გაერთიანება უფლებამოსილია სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციისათვის დადგენილი წესით განსაზღვროს მართვის სტრუქტურა და შენახვის ხარჯები. ყველა სახის ანგარიშსწორება დამკვეთთან, მომწოდებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან და თანამშრომლებთან აწარმოოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.3. საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი (უფროსი):

— მინდობილობის გარეშე მოქმედებს საწარმოო გაერთიანების სახელით, წარმოადგენს საწარმოო გაერთიანებას ყველა ორგანიზაციასა და უწყებებში; დადგენილი წესით განაგებს საწარმოო გაერთიანების ქონებას და საშუალებებს, აფორმებს ხელშეკრულებებს, აძლევს მინდობილობებს, ხსნის დადგენილი წესით ბანკის განყოფილებებში ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშებს;

— ახდენს კადრების შერჩევასა და განაწილებას, არსებული კანონმდებლობის დაცვით ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების აპარატის მუშაკებს;

— ამტკიცებს საწარმოო გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების დებულებებს, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

— კანონმდებლობის დაცვით ღებულობს გადაწყვეტილებას საკითხებზე, რომლებიც ეხება საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობას რესპუბლიკაში ან მის ფარგლებს გარეთ;

— საწარმოო გაერთიანების საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს საწარმოო გაერთიანების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებას. ჩამოყალიბებული წესის შესაბამისად ამტკიცებს მოგების განაწილებასა და გაცემას.

4.4. საწარმოო გაერთიანების უფროსის მოადგილეები მოქმედებენ თანამდებობრივი ინსტრუქციით, განსაზღვრულ მოვალეობათა შესაბამისად.

4.5. საწარმოო გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საწარმოო საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, წარმოებაში მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების და შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დასანერგავად, მშენებარე ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განსახილველად საწარმოო გაერთიანებაში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო საწარმოო გაერთიანების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, აგრეთვე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს საწარმოო გაერთიანების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საწარმოო გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა

5.1. საწარმოო გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მისი რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შემთხვევაში.

5.2. საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაცია ხდება მისი ფუნქციის შეცვლის ან სხვა სამეურნეო ერთეულთან შერწყმის შემთხვევაში.

5.3. საწარმოო გაერთიანების ადგილსამყოფელია საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 397
დადგენილებით

ნუსხა

სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენის" შემადგენლობაში შესული ორგანიზაციებისა და საწარმოებისა

ორგანიზაციებისა და საწარმოების დასახელება	მათი ადგილმდებარეობა
I. საპროექტო-ტექნოლოგიური, საკონსტრუქტორო და კავშირგაბმულობის ორგანიზაციები	
ინსტიტუტი „საქსახწყალპროექტი"	ქ. თბილისი
საინჟინრო-ეკონომიკური ცენტრი „ინჟეკონომცენტრი"	ქ. თბილისი
კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო ტექნიკური კვანძი	ქ. თბილისი
II. სამშენებლო ორგანიზაციები და მათში შემავალი საწარმოები	
კოლხეთის მშენებლობის სამმართველოში შემავალი ორგანიზაციები	ქ. ფოთი
ქუთაისის სამშენებლო სამმართველო	ქ. ქუთაისი
ლანჩხუთის სამშენებლო სამმართველო	ლანჩხუთის რაიონი
ზუგდიდის სამშენებლო სამმართველო	ზუგდიდის რაიონი სოფელი ცაცხვი
ხობის სამშენებლო სამმართველო	ხობის რაიონი
სენაკის სამშენებლო უბანი	სენაკის რაიონი სოფელი თიკლატი
აფხაზეთის მშენებლობის სამმართველოში შემავალი ორგანიზაციები და საწარმოები	ქ. სოხუმი
ოჩამჩირის სამშენებლო სამმართველო	ოჩამჩირის რაიონის სოფელი ილორი
გულრიფშის სამშენებლო სამმართველო	გულრიფშის რაიონის სოფელი მაჭარა
გალის სპეცსამშენებლო უბანი	გალის რაიონის სოფელი ფიჩორი
გულრიფშის ავტოსატრანსპორტო ბაზა	გულრიფშის რაიონის სოფელი მაჭარა
გულრიფშის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველო	გულრიფშის რაიონის სოფელი დრანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებისა და საწარმოების დასახელება	მათი ადგილმდებარეობა
მშენებლობის სამმართველო „სამგორწყალმშენში“ შემავალი ორგანიზაციები და საწარმოები:	
თელეთის სამშენებლო სამმართველო	გარდაბნის რაიონის სოფელი ქვემო თელეთი
საგარეჯოს სამშენებლო სამმართველო	ქ. საგარეჯო
თელეთის მექანიზაციის სპეცსამმართველო	გარდაბნის რაიონის სოფელი ქვემო თელეთი
თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმო	ქ. თბილისი
თბილისის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველო	ქ. თბილისი
დედოფლისწყაროს სამშენებლო სამმართველო	დედოფლისწყაროს რაიონი
წნორის სამშენებლო სამმართველო	სიღნაღის რაიონის დაბა წნორი
გორის სამშენებლო სამმართველო	ქ. გორი
ხაშურის სამშენებლო სამმართველო	ხაშურის რაიონის სოფელი გომი
თელავის სამშენებლო სამმართველო	ქ. თელავი
გურჯაანის სამშენებლო სამმართველო	გურჯაანის რაიონის სოფელი არაშენდა
სამშენებლო სამმართველო „მრეწვსახლმშენი“	ქ. თბილისი სადგური ლილო
III. მექანიზაციის სპეციალიზებული სამმართველოები	
ფოთის მექანიზაციის სპეციალიზებული სამმართველო	ქ. ფოთი
გორის მექანიზაციის სპეციალიზებული სამმართველო	ქ. გორი
თელავის მექანიზაციის სპეციალიზებული სამმართველო	ქ. თელავი
IV. სამშენებლო ინდუსტრიის, სამშენებლო მასალებისა და სამრეწველო ქარხნები	
ქოლობნის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა	აბაშის რაიონის სოფელი ქოლობანი
ნოჯიხევის კერამიკული-სადრენაჟო მილებისა და აგურის ქარხანა	ხობის რაიონი სოფელი ნოჯიხევი
თელავის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა	ქ. თელავი
თელავის საცდელ-სარემონტო მექანიკური ქარხანა	ქ. თელავი
კაჭრეთის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა	გურჯაანის რაიონის სოფელი კაჭრეთი
საგარეჯოს პოლიმერული მილების ექსპერიმენტული ქარხანა	საგარეჯო

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებისა და საწარმოების დასახელება	მათი ადგილმდებარეობა
ლოს რკინაბეტონის ნაკეთობათა არხანა	ქ. თბილისი სადგური ლილო
ოვრის არამადნეული მასალების ქარხანა	მარნეულის რაიონის სადგური შულავერი
ოჯაანის სამრეწველო საწარმო	გურჯაანის რაიონის სოფელი მუკუზანი
ემონტო მექანიკური საწარმო „საქრემმანქანა“	გარდაბნის რაიონის სოფელი ვაზიანი
V. ავტოსატრანსპორტო საწარმოები	
თის ავტოსატრანსპორტო საწარმო	ქ. ფოთი
ის ავტოსატრანსპორტო საწარმო	ქ. გორი
ოვის ავტოსატრანსპორტო საწარმო	ქ. თელავი
რის ავტოსატრანსპორტო საწარმო	სიღნაღის რაიონის დაბა წნორი
რეთის ავტოსატრანსპორტო საწარმო	გურჯაანის რაიონის სოფელი კაჭრეთი
VI. კომპლექტაციის, მომარაგებისა და სოციალური სფეროს ორგანიზაციები	
რის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველო	სიღნაღის რაიონის დაბა წნორ
ის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველო	ქ. გორი
ლავის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველო	ქ. თელავი
ბათა მომარაგების სამმართველო	ქ. თბილისი
ხმარე სოფლის მეურნეობის სამმართველო	ქ. თბილისი
არმოო-გამაჯანსაღებელი კომბინატი „კოდორი“	გულრიფშის რაიონის სოფელი ბაბუშარა
ქწყალმშენის“ ახალდაბის დასასვენებელი ზონა	გარდაბნის რაიონის სოფელი ახალდაბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 397
დადგენილებით

სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენის“ სტრუქტურა

ადმინისტრაცია
საერთო განყოფილება
საწარმოო განყოფილება
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
მექანიზაციის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის განყოფილება
ტექნიკური განყოფილება
ეკონომიკისა და ფინანსების განყოფილება
ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება
მატერიალური ბალანსებისა და კომპლექტაციის განყოფილება
სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზის განყოფილება
კადრების და სპეცსამსახურის განყოფილება
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

72 საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კათედრების შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას სამხედრო კათედრები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

2. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე თადარიგის ოფიცრების პროგრამით სტუდენტთა სამხედრო მომზადების შესახებ“ და ნუსხა უმაღლესი სასწავლებლებისა, სადაც მზადდებიან სტუდენტები თადარიგის ოფიცერთა პროგრამით (თან ერთვის).

3. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა უზრუნველყონ სამხედრო კათედრების დაფინანსება მათთვის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 აპრილი, № 398

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 398
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე სტუდენტთა თადარიგის ოფიცერთა პროგრამით მომზადების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე სტუდენტთა მომზადება ხორციელდება შეიარაღებული ძალებისათვის თადარიგის ოფიცერთა მომზადების მიზნით.

2. სამხედრო მომზადება ტარდება უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა ნუსხა მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგენით.

3. სამხედრო სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება ქართულ ენაზე, იგი იწყება მეორე კურსიდან, გრძელდება 5-6 სემესტრის განმავლობაში და მთავრდება სამხედრო ნაწილებში სასწავლო შეკრების გავლით.

სამხედრო მომზადება შედის უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო გეგმებში, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა. სწავლის დაწყება და დამთავრება განისაზღვრება დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

4. სამხედრო მომზადება ჩაუტარდებათ მამაკაცებს 17-დან 28 წლის ასაკამდე, აგრეთვე სამედიცინო ინსტიტუტის ქალებს, რომლებიც ვარგისი არიან სამწყობრო სამსახურისათვის.

სამხედრო კათედრებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება მათი პირადი განცხადების თანახმად, ხოლო ჩარიცხულ სტუდენტთა დასწრება მეცადინეობაზე სავალდებულოა.

5. სამხედრო კათედრებზე სამხედრო მომზადება ტარდება სამხედრო კათედრების დებულებათა თანახმად, რომელიც მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ერთობლივი დადგენილებით.

იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც იქმნება სამხედრო კათედრები, სტუდენტთა მომზადება სამოქალაქო თავდაცვის საგანში ტარდება სამხედრო კათედრაზე სამოქალაქო თავდაცვის ციკლით.

6. უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო მომზადების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

7. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ევალება:

ა) საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დაადგინოს სამხედრო სპეციალობათა დადგენა, რის მიხედვითაც მომზადდებიან უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები თადარიგის ოფიცერთა პროგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამით და სამხედრო მომზადებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობის განსაზღვრა;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან ერთად უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო კათედრების დებულების, სამხედრო მომზადების პროგრამის, სამხედრო ტექნიკის შეიარაღებისა და სამხედრო-სასწავლო ქონების ნუსხის შემუშავება და დამტკიცება;

გ) სამხედრო ნაწილებში სტუდენტების სამხედრო შეკრებათა ორგანიზება და ჩატარება, უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო მომზადებისათვის სათანადო საველე-სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნა;

დ) სამხედრო მომზადების, სამხედრო კათედრებზე საიდუმლოების რეჟიმის, სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის კონტროლი; საგამოცდო კომისიების შექმნა სტუდენტებისაგან სამხედრო მომზადებაში გამოსაშვები გამოცდების მისაღებად;

ე) სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებში სამხედრო კათედრების საქმიანობის კოორდინირება.

ვ) უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო კათედრებზე ოფიცრებისა და ზემდეგების საშტატო თანამდებობრივი ერთეულების დადგენა და მათი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადრებში ჩარიცხვა. სამხედრო მოსამსახურეთათვის ხელფასის გაცემის წესის განსაზღვრა;

ზ) უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო კათედრების საშტატო თანამდებობებზე სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევა და რექტორის თანხმობის შემდეგ მათი დანიშვნა;

თ) სამხედრო კათედრების უსასყიდლოდ უზრუნველყოფა შეიარაღებით, ტყვია-წამლით, სამხედრო ტექნიკით, საავტომობილო ტრანსპორტით, სასწავლო-სავარჯიშო საშუალებებით, ხელსაწყოებით, აპარატებით, სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით, აგრეთვე სამხედრო წესდებებით, სახელმძღვანელოებით, ტოპოგრაფიული რუკებით; ლიმიტების გამოყოფა საწვავ-საცხებ და სხვა მასალებზე.

8. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ევალება:

ა) დამტკიცებული პროგრამების და დადგენილი სამხედრო სპეციალობების თანახმად სამხედრო მომზადების ორგანიზება და მეცადინეობის ხარისხიანად ჩატარებაზე კონტროლის დაწესება;

ბ) სასწავლო გეგმებში სამხედრო მომზადების გავლის წესის განსაზღვრა და სათანადო სასწავლო საათების გამოყოფა;

გ) სამხედრო კადრების საშტატო განრიგის დამტკიცება;

დ) საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის კოორდინირება (ვის დაქვემდებარებაშიც არიან უმაღლესი სასწავლებლები) სამხედრო მომზადების ორგანიზებისა და მისი ჩატარებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფისათვის;

ე) სამხედრო კათედრების ხელმძღვანელ მუშაკთა აღრიცხვის წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სამინისტროებს და უწყებებს, რომლებშიც შედიან უმაღლესი სასწავლებლები, ევალებათ:

ა) სამხედრო მომზადების ორგანიზება უმაღლეს სასწავლებლებში დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვისათვის საჭირო პირობებია შექმნა იმ უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომლებიც სამხედრო მომზადებას უზრუნველყოფენ შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკით და სათანადო ლიტერატურით;

გ) კათედრების შემადგენლობის ხელფასებისა და მატერიალური ფონდებით უზრუნველყოფა;

დ) უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა (საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ტექნიკური აღჭურვილობის, იარაღისა და ლიტერატურის გარდა).

10. სამხედრო მომზადების ხელმძღვანელობისათვის საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში შექმნილია ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და სამხედრო მომზადების სამმართველო. ამ სამმართველოში თანამდებობებზე ინიშნებიან სამხედრო სამსახურის ან თადარიგის ოფიცრები, რომელთაც აქვთ უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სამხედრო სპეციალური განათლება.

11. უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და სამხედრო კათედრების უფროსები უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი სამხედრო მომზადების ორგანიზების, მეცადინეობის ჩატარების ხარისხის, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის შენახვისა და საიდუმლოების დაცვისათვის.

მათ ევალებათ:

ა) სამხედრო მომზადებისათვის სათანადო სასწავლო საათების გამოყოფა, უმაღლეს სასწავლებლებში და სამხედრო ნაწილებში სასწავლო შეკრებებისათვის თანახმად ამ დებულების 12-13 მუხლებისა.

ბ) სამხედრო კათედრების საშტატო განრიგის შემუშავება, ხელმძღვანელ მუშაკთა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და საჭირო რაოდენობის სასწავლო დამხმარე პერსონალის მიღება სტუდენტთა სამხედრო მომზადებისათვის და ტექნიკის მოსავლელად;

გ) მეცადინეობის ჩასატარებლად სამხედრო კათედრების იზოლირებულად განლაგების უზრუნველყოფა, საჭირო სასწავლო და სამსახურებრივი შენობებისა და ობიექტების გამოყოფა;

დ) სამხედრო კათედრებისათვის სასწავლო-მეთოდური დახმარება სტუდენტთა მიერ სამხედრო დისციპლინების შესასწავლად სხვა კათედრებთან მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით;

ე) სამხედრო კათედრების მიერ მეთოდური მასალების დამუშავება და გამოცემა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სამხედრო კათედრებისათვის ფულადი სახსრების გამოყოფა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის საქმიანობისათვის, გარდა იმისა, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო;

ზ) სამხედრო ტექნიკის გამოყენების, შენახვისა და უსაფრთხოების ორგანიზება დაწესებულ მოთხოვნათა შესაბამისად;

თ) განაცხადის წარდგენა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში სამხედრო კათედრებისათვის ტაბელურ მოთხოვნათა ფარგლებში მათი შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკით, საწვავ-საცხები მასალებით, სამხედრო სასწავლო ინვენტარით და ლიტერატურით მომარაგებისათვის.

ი) სამხედრო კათედრების წლიური გეგმების განხილვა-დამტკიცება;

კ) სამხედრო მომზადების მდგომარეობის რეგულარულად განხილვა რექტორატების სხდომებსა და სამეცნიერო საბჭოებზე;

ლ) სამხედრო კათედრის ოფიცერთა შემადგენლობით გამოყენება, თანახმად უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო კათედრების დებულების შესაბამისად.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს უფლება აქვთ წაახალისონ სტუდენტები სწავლაში, მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს შეუძლიათ სათანადო დისციპლინარული სასჯელი დაადონ ან აღძრან შუამდგომლობა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წინაშე დასჯის ან თანამდებობიდან განთავისუფლების მოთხოვნით სამხედრო კათედრების იმ პროფესორ-მასწავლებლებისა, რომელთაც ნაკლოვანებანი აქვთ სასწავლო მუშაობაში.

12. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სამხედრო მომზადება მოიცავს სამხედრო ნაწილებში შეკრებების გავლით თეორიული და პრაქტიკული სწავლების კურსს.

სამხედრო მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებში ეთმობა არა უმეტეს 600 საათისა.

სამხედრო მომზადებაზე კონკრეტული საათების განაწილება წარმოებს სამხედრო მომზადების პროგრამებით, სამხედრო სპეციალობათა მიხედვით.

სავალდებულო აუდიტორიული და ინდივიდუალური მეცადინეობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით არ უნდა აღემატებოდეს დღეში 6 საათს.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის დრო იგეგმება სამხედრო მომზადების დღეებში, 8-საათიანი სასწავლო დღის ფარგლებში.

13. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო ნაწილებში ორგანიზებული სასწავლო შეკრებები, სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე ტარდება საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებულ ვადებში და უნდა დასრულდეს დამამთავრებელი კურსის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო შეკრებების ხანგრძლივობა ყველა სპეციალობისათვის 30 დღეა. სამხედრო ნაწილებში სასწავლო შეკრებების დროს სტუდენტებს უფლება აქვთ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, „საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის დროებითი დებულების თანახმად.

სამხედრო მომზადების პერიოდში სტუდენტებს უწოდებენ კურსანტებს.

14. სამხედრო მომზადების პერიოდში სტუდენტები აბარებენ ჩათვლებს და გამოცდებს.

სამხედრო მომზადების პროგრამის მთლიანად გავლისა და სასწავლო შეკრების დასრულების შემდეგ სტუდენტები გამოსაშვებ გამოცდებს აბარებენ სამხედრო ნაწილებში სპეციალურად შექმნილ საგამოცდო კომისიებს.

სამხედრო მომზადებაში გამოცდებზე სტუდენტების მიერ მიღებული ნიშნები აღირიცხება სხვა საგნებში მიღებული ნიშნების თანაბრად.

სტუდენტები, რომლებიც სისტემატურად არ ესწრებიან სამხედრო მეცადინეობას არასაპატიო მიზეზით, თავს არიდებენ სასწავლო შეკრებას სამხედრო ნაწილებში ან არღვევენ დისციპლინას სასწავლო პროცესის დროს, კათედრის უფროსის წარდგენის საფუძველზე რექტორის ბრძანებით დათხოვნილი იქნებიან სამხედრო მომზადებიდან.

15. სტუდენტებს, რომლებიც ჩაბარებენ გამოცდებს სამხედრო მომზადებაში და მოხდება მათი ატესტაცია დადგენილი წესით, მიენიჭებათ თადარიგის ოფიცრის წოდება. სამხედრო წოდების მინიჭება უნდა დაემთხვეს სტუდენტთა მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებას.

16. სამხედრო კათედრების გამგეების, მათი მოადგილეების, ციკლის უფროსების, აგრეთვე უფროსი მასწავლებლებისა და მასწავლებლების თანამდებობაზე დაინიშნებიან უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სამხედრო სპეციალური განათლების ოფიცრები. გამონაკლისის სახით კი — სამხედრო საშუალო განათლებისა და ჯარში ოფიცრის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების მქონე პირებიც.

სამხედრო კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა საშტატო თანამდებობა შეიძლება დაკავებულ იქნეს თადარიგის ოფიცრის მიერ.

17. სამხედრო მოსამსახურეთა დანიშვნა სამხედრო კათედრების საშტატო თანამდებობებზე გამგეების, მათი მოადგილეების, კანდიდატურების ან მათი გადაადგილება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ თანხმდება რექტორთან.

სამხედრო კათედრების ოფიცრების სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ხდება მოქმედი დებულების თანახმად უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან შეთანხმებით.

პროფესორ-მასწავლებელთა საშტატო თანამდებობების დაკავება თადარიგის ოფიცრების მიერ კონკურსით ხდება:

სასწავლო-დამხმარე პერსონალის საშტატო თანამდებობები კომპლექტდება სათანადო უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ბრძანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ოფიცრებს და ზემდეგებს, რომლებიც დანიშნული არიან სამხედრო ...ოთედრებზე, აგრეთვე განათლების სისტემის სამხედრო მომზადების ორგა-...ოებში ითვლებიან სამხედრო სამსახურში, უნარჩუნდებათ ყველა უპირატი-...ობა, რომლებიც გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთათვის.

თადარიგის ოფიცრები სტუდენტებთან მეცადინეობის ჩატარებისას ატა-...ებენ სამხედრო ფორმას სათანადო განმასხვავებელი ნიშნებით მინიჭებული ...ოდების მიხედვით. სამხედრო ფორმით მათ უსასყიდლოდ უზრუნველყოფს ...საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 398
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა, სადაც მზადდებიან სტუდენტები თადარიგის ოფიცერთა პროგრამით:

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

73 „საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 24 ივლისის № 584 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისა და სახსრების ეკონომიის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სპორტისა და ტურიზმის რეგიონალური სამმართველოები და შემცირდეს აღნიშნული სამმართველოებისათვის გამოყოფილი საშტატო ერთეულების რიცხოვნობა 75 ერთეულით.

2. სპორტისა და ტურიზმის რეგიონალური სამმართველოების გაუქმებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 24 ივლისის № 584 დადგენილების მე-6 პუნქტი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 აპრილი, № 399

74 სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ი. გ. გვერდწითელის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

მიღებულ იქნეს სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინადადება და მიეკუთვნოს მას გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ირაკლი გრიგოლის ძე გვერდწითელის სახელი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებლი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 აპრილი, № 401

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 რესპუბლიკური გაერთიანება „საქხილბოსტანვაჭრობის“ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანება „საქხილბოსტანვაჭრობა“ გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ბალანსიდან ბალანსზე 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში დარჩეს რესპუბლიკური გაერთიანება „საქხილბოსტანვაჭრობის“ ობიექტები, თანახმად დანართისა.

3. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს ლილოს ხილობსტნეულის შენახვისა და გადამუშავების კომბინატში პროდუქციის ზამთრის მარაგში ჩაწყობა და ქალაქებში თბილისსა და რუსთავში განლაგებული ობიექტების შეუფერხებელი მომარაგება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 აპრილი, № 402

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობ
1992 წლის 6 აპრილის № 402
დადგენილების დანართი

ნუსხა

რესპუბლიკური გაერთიანება „საქხილბოსტანვაჭრობის“ ობიექტებისა, რომ ლებიც რჩება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში

ქალაქ თბილისში განლაგებული ობიექტები

ლილოს ხილბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავების კომბინატი
ნაძალადევის რაიონი
№ 109 მაღაზია
კრწანისის რაიონი
№ 24 მაღაზია
ისნის რაიონი
№ 81 მაღაზია
ვაკის რაიონი
№ 9 მაღაზია
გლდანის რაიონი
№ 112 მაღაზია.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

76 საქართველოს რესპუბლიკის სწავლულ ექსპერტთა საბჭოს შექმნისა და საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული სამეცნიერო-საატესტაციო სისტემის დაარსების მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან საზოგადოებრივ საწყისებზე სწავლულ ექსპერტთა საბჭო.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს დამტკიცოს წამყვან სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებათა მიერ გამოჩენილი მეცნიერების დელეგირების საფუძველზე სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პერსონალური შემადგენლობა.

3. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

4. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულების შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტები და განსაზღვროს დარგთა და სპეციალისტთა ნომენკლატურა.

5. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან ერთად ორი თვის განმავლობაში შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დებულება საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო წოდებების მინიჭების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემასრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი ,1992 წ. 6 აპრილი, № 406

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 6 აპრილის № 406
დადგენილებით

დებულება

საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკაში დაწესებულია მეცნიერებათა კანდიდატისა და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

2. საქართველოს რესპუბლიკაში მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხს ანიჭებს სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო დისერტაციის საჯარო დაცვის საფუძველზე და გასცემს სათანადო დიპლომს.

3. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება სწავლულ ექსპერტთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევა საქართველოს წამყვანი სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებში მომუშავე გამოჩენილი მეცნიერები.

4. საქართველოს რესპუბლიკაში მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭება როგორც საქართველოს, ისე ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეს.

5. სამეცნიერო ხარისხი ასახავს მეცნიერის განსწავლულობას, მის პროფესიულ დონესა და მეცნიერულ მიღწევებს.

II. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო

6. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, სადაც არსებობს მაღალი დონის სამეცნიერო კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები და მუშაობენ შესაბამისი დარგის აღიარებული სპეციალისტები, უფლება აქვთ სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წინაშე ადრძრან სათანადოდ დასაბუთებული შუამდგომლობა სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს შექმნისა და სპეციალობათა ნომენკლატურის შესახებ.

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეცნიერებათა დოქტორები. გამონაკლის შემთხვევაში სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლულ მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე პირი. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს მუდმივ წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს თერთმეტზე ნაკლები და ოცდახუთზე მეტი.

7. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო იქმნება იმ დაწესებულებებში, სადაც ძირითადად მუშაობენ დასამტკიცებლად წარმოდგენილი საბჭოს მუდმივი წევრების ნახევარზე მეტი. დაწესებულება, რომელთანაც დაარსებულია სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო, ვალდებულია საბჭოს შეუქმნას მუშაობისათვის საჭირო პირობები. დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს დაწესებულება, სადაც მუშაობს ხარისხის მაძიებელი.

8. თითოეულ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს შეუძლია სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს მეცნიერების მოცემული დარგის არა უმეტეს ოთხ სპეციალობაში. ხარისხის მიმნიჭებელ საბჭოში თითოეული სპეციალობა უნდა იყოს წარმოდგენილი არანაკლებ ხუთი წევრით (იმ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს რეგისტრაციის საკითხს, რომლის საბაზო სპეციალობებში რესპუბლიკის ფარგლებში არ მოიპოვება მისი ფორმირებისათვის მეცნიერებათა დოქტორების საკმარისი რაოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, საგანგებოდ განიხილავს და გადაწყვეტს სწავლულ ექსპერტთა საბჭო). საბჭოში ერთჯერადად მოწვეულ წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს საბჭოს მუდმივ წევრთა რიცხვის მესამედს. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ორი საბჭოს მუდმივი წევრი.

III. დისერტაციის დაცვა

9. საკანდიდატო დისერტაციის წარდგენისა და დაცვის უფლება აქვს პირს, რომელმაც გაიარა ასპირანტურის სრული კურსი ან ჩაბარებული აქვს შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდები.

მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი შრომა უნდა ასახავდეს დისერტანტის განსწავლულობას, პროფესიულ დონეს, მეცნიერული კვლევის ჩვევებს და უნდა შეიცავდეს დამოუკიდებლად მიღებულ ახალ აპრობირებულ მეცნიერულ შედეგებს.

კონკრეტულ მოთხოვნებს საკანდიდატო დისერტაციის ძირითადი დებულებების აპრობაციის შესახებ ყოველი დარგის მიხედვით ადგენს შესაბამისი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო.

საკანდიდატო დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოცემული მონოგრაფიის ან ხელნაწერის სახით, რომელშიც აისახება გამოქვეყნებული შრომების (შრომის) ძირითადი შედეგები. ხელნაწერი არ უნდა აღემატებოდეს 6 ნაბეჭდ თაბახს.

10. სადოქტორო დისერტაციის წარდგენისა და დაცვის უფლება აქვს მეცნიერებათა კანდიდატს. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია დამთავრებული სამეცნიერო ნაშრომია, რომელშიც დამუშავებულია აქტუალური სამეცნიერო პრობლემა და მიღებულია არსებითად ახალი მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები, აპრობირებული საერთაშორისო დონეზე.

კონკრეტულ მოთხოვნებს სადოქტორო დისერტაციის ძირითად დებულებათა აპრობაციის შესახებ საერთაშორისო დონეზე ყოველი ცალკეული დარგის მიხედვით ადგენს შესაბამისი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო.

სადოქტორო დისერტაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს გამოცემული მონოგრაფიის ან ხელნაწერის სახით. ხელნაწერის წარმოდგენისას დისერტაციის ძირითადი დებულებანი წინასწარ უნდა იყოს გამოქვეყნებული. ხელნაწერი არ უნდა აღემატებოდეს 12 ნაბეჭდ თაბახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დისერტაციასთან ერთად მაძიებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს წარუდგენს „სადისერტაციო მაცნეს“, რომელიც შეიცავს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე შინაარსსა და ძირითად შედეგებს. „სადისერტაციო მაცნეს“ მოცულობა საკანდიდატო დისერტაციისათვის არ უნდა აღემატებოდეს ერთ ნაბეჭდ თაბახს და ორ ნაბეჭდ თაბახს სადოქტორო დისერტაციისათვის.

12. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ქართულ ან აფხაზურ ენაზე. დისერტაციის წარმოდგენა და დაცვა რომელიმე უცხო ენაზე დასაშვებია მხოლოდ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოსთან შეთანხმებით.

13. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო დისერტაციის წინასწარი ექსპერტიზისათვის გამოყოფს შესაბამისი მიმართულების ორ სპეციალისტს — საბჭოს წევრს (ექსპერტს, მეცნიერებათა დოქტორს), რომლებიც ერთი თვის განმავლობაში ადგენენ დასკვნას დისერტაციის მეცნიერული ღირსების შესახებ და მის შესაბამისობას საბჭოს მოთხოვნებთან. ექსპერტების დასკვნა გადაეცემა სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა იყოს რეკომენდაციები შესაძლებელი ოპონენტების, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში საბჭოს დაძატებითი წევრების ერთჯერადი მოწვევის შესახებ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით.

14. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო ნიშნავს საკანდიდატო დისერტაციისათვის ორ ოფიციალურ ოპონენტს, ხოლო სადოქტორო დისერტაციისათვის სამ ოფიციალურ ოპონენტს. ოპონენტად შეიძლება დაინიშნოს საბჭოს არა უმეტეს ერთი წევრისა.

ოპონენტი არ შეიძლება იყოს დისერტაციის ხელმძღვანელი, ნაშრომთა თანაავტორი, იმ საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და სწავლული მდივანი, სადაც ხდება მოცემული დისერტაციის დაცვა.

სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტები უნდა იყვნენ მეცნიერებათა დოქტორები, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი შესაძლებელია იყოს მეცნიერებათა კანდიდატი. ოპონენტები საბჭოს წარუდგენენ რეცენზიებს დისერტაციის დაცვამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა.

15. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო მაძიებლის თხოვნით ვალდებულია ნაშრომის სამეცნიერო შეფასებისას უარყოფითი ოფიციალური რეცენზიების შემთხვევაშიც დანიშნოს დაცვა.

16. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს მიერ დისერტაციის მიღების შემდეგ საკანდიდატო „სადისერტაციო მაცნე“ ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ანოტაცია — რომელიმე უცხო ენაზე, ხოლო სადოქტორო „სადისერტაციო მაცნე“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე, რომელიც წინასწარ არის შეთანხმებული საბჭოსთან. აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში საკანდიდატო „სადისერტაციო მაცნე“ ქვეყნდება ქართულ და აფხაზურ ენებზე, ანოტაცია — რომელიმე უცხო ენაზე, ხოლო სადოქტორო „სადისერტაციო მაცნე“ — ქართულ, აფხაზურ და რომე-

ლიმე საერთაშორისო ენაზე, ხოლო სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოსთან შეთანხმებით — რომელიმე უცხო ენაზეც, „სადისერტაციო მაცნე“ დისერტაციის დაცვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა, ეგზავნება სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს წევრებს, საბჭოს მიერ რეკომენდებულ სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებს საქართველოს რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ.

17. დისერტანტს უფლება აქვს უარი თქვას დაცვაზე მოსამზადებელი პერიოდის ნებისმიერ ეტაპზე. ამ შემთხვევაში დისერტაციის ხელახალი წარდგენა შეიძლება არა უადრეს ერთი წლისა.

18. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს დისერტანტი, ყველა ოპონენტი და საბჭოს წევრების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი (მათ შორის მოცემული სპეციალობის წევრთა სამი მეხუთედი), დასაშვებია ობიექტური მიზეზით მხოლოდ ერთი ოპონენტის დაუსწრებლობა, თუ მას წარმოდგენილი აქვს დროებითი რეცენზია.

19. სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საკითხს წყვეტს ფარული კენჭისყრით. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობისა და ოქმის დამტკიცება ხდება ღია კენჭისყრით. დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სხდომაში მონაწილე წევრთა ხმების არანაკლებ სამი მეოთხედისა.

კენჭისყრის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია დისერტანტს დართოს გადამუშავებული დისერტაციის ხელმეორედ დაცვის ნება არა უადრეს ორი წლისა.

20. დაუშვებელია ხარისხის მინიჭება იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომში მაძიებელი სხვა ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს წარმოადგენს, როგორც საკუთარს. პლაგიატის დადგენა შედის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს კომპეტენციაში.

პლაგიატისა და ფაქტობრივი მასალის გაყალბების დადგენის შემთხვევაში სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო გადაწყვეტილებას ხარისხის მინიჭების შესახებ აუქმებს ნებისმიერ დროს.

21. დისერტაცია, სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომის სტენოგრამა და დისერტაციის დაცვის სხვა მასალები სამი წლის მანძილზე ინახება სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოში, შემდეგ გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანეს“.

IV. სწავლულ ექსპერტთა საბჭო

22. სწავლულ ექსპერტთა საბჭო იქმნება საქართველოს წამყვანი სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების მიერ მეცნიერებათა დოქტორების დელეგირების გზით; ისინი უნდა წარმოადგენდნენ რესპუბლიკაში არსებულ ყველა სამეცნიერო დარგს (თითოეული დარგიდან არა უმეტეს სამი წარმომადგენლისა). სწავლულ ექსპერტთა საბჭო თვითონ განსაზღვრავს თავის სტრუქტურასა და მუშაობის წესს, ირჩევს თავის თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო
და სწავლულ ექსპერტთა საბჭო:

ა) არეგულირებენ დარგებისა და სპეციალობათა ნომენკლატურას;

ბ) რეგისტრაციაში ატარებენ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს ოთხი
წლის ვადით. დებულებასთან მისი საქმიანობის შეუსაბამობის შემთხვევაში
იხილავენ ამა თუ იმ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს გაუქმების საკითხს
და ღებულობენ შესაბამის გადაწყვეტილებას;

გ) სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოსთან ერთად იხილავენ და აწესრიგებენ
„საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დებულებით"
გაუთვალისწინებელ სადაო საკითხებს;

დ) სამეცნიერო ხარისხების ნოსტრიფიკაციის სახელმწიფო დონეზე გა-
დაწყვეტამდე, სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოებთან შეთანხმებით, არეგუ-
ლირებენ საქართველოში მიღებული სამეცნიერო ხარისხის სხვა ქვეყნების მიერ
ცნობისა და საზღვარგარეთ მიღებული სამეცნიერო ხარისხის საქართველოს
ნიერ ცნობის საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

77 საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო კომერციული ბანკის „საქექსიმბანკის“ შექმნის შესახებ

რესპუბლიკის საექსპორტო ბაზის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, საქონლისა და მომსახურების იმპორტის ხელშეწყობის, საერთაშორისო საკრედიტო, სავალუტო, საანგარიშსწორებო, საგარანტიო, სასესხო-სადეპოზიტო და სხვა საერთაშორისო საბანკო ოპერაციების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო კომერციული ბანკი „საქექსიმბანკი“ ყოფილი სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის თბილისის განყოფილების ბაზაზე, აქციონერულ საწყისებზე.

2. განისაზღვროს „საქექსიმბანკის“ საწესდებო კაპიტალის მოცულობა 100 მილიონი მანეთის ოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ორი კვირის განმავლობაში გამოძებნოს საშუალება ბანკის საწესდებო კაპიტალის შესავსებად და ბანკის აქციების უმოკლეს ვადაში გავრცელება-გაყიდვის უზრუნველსაყოფად.

4. გამოცხადდეს „საქექსიმბანკი“ ყოფილი სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის თბილისის განყოფილების უფლებამონაცვლედ.

5. „საქექსიმბანკი“ და მისი დაწესებულებები დაიბეგროს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

6. დაევალოს „საქბინსოცბანკს“ თავის შენობაში დაუთმოს „საქექსიმბანკს“ საჭირო სამუშაო ფართობი თბილისის მერიის მიერ შესაფერისი შენობის გამოყოფამდე.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს გამოუყოს „საქექსიმბანკს“ საჭირო რაოდენობის საქალაქო სატელეფონო ნომერი და ოთხი ხაზი საერთაშორისო სატელექსო კავშირების დასამყარებლად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 აპრილი, № 411

78 „მოსახლეობის დასაქმების სოციალური გარანტიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 10 ივნისის № 474 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

„მოსახლეობის დასაქმების სოციალური გარანტიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 10 ივნისის № 474 დადგენილების მე-14 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„— ქუთაისის შრომის რეგიონალური ბირჟა, რომელიც მოემსახურება ქალაქებს ქუთაისს, წყალტუბოს, ტყიბულის ზონას, ვანის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, სამტრედიისა და ხონის რაიონებს;

— ზესტაფონის შრომის რეგიონალური ბირჟა, რომელიც მოემსახურება ჭიათურის ზონას, ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლის, ბაღდათისა და საჩხერის რაიონებს“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 აპრილი, № 412

ეროვნული ბიბლიოთეკა

79 საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი გაფართოების და ამ საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტი.

2. გადაყვანილ იქნეს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური სამსახურები და ორგანიზაციები.

3. გადაეცეს უწყებრივ დაქვემდებარებაში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტი.

4. დაინიშნოს იოსებ ელიზბარის ძე ცისკარიშვილი საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

5. დაინიშნოს თეიმურაზ დავითის ძე მამაცაშვილი საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი კ. გელაშვილი

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 აპრილი, № 416

80 საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი კ. გელაშვილი.

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 აპრილი, № 418

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 14 აპრილის № 418
დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო") შექმნილია „საქართველოს რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 4 თებერვლის № 115 დადგენილების საფუძველზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო არის სახელმწიფო მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს დარგის საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის საქმიანობის კოორდინაციას და ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

— სახელმწიფო შეკვეთებით (პროგნოზებით) გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისი ასორტიმენტისა და ხარისხის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და მისი მომხმარებლებისათვის მიწოდების ორგანიზაცია და კოორდინაცია;

— სამინისტროს სისტემაში შემავალი დარგების პერსპექტიული პრიორიტეტების და პროპორციების განსაზღვრა; დარგის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, კონცეფციებისა და პროგრამების დამუშავება;

— პროდუქციის წარმოების მოცულობის პროგნოზირების საფუძველზე სისტემის საწარმოთა დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების უზრუნველყოფის ორგანიზაცია;

— რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და დარგობრივი მეცნიერების განვითარების უზრუნველყოფით ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ამაღლება;

— პროდუქციის გატანა-შემოტანის დადგენილი კვოტების უზრუნველყოფის ორგანიზაცია და სალიცენზიო სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

— დარგის საწარმოებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს შორის საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობების დამკვიდრების, შესაბამისი საშუამავლო სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და ამ სფეროში კონკურენციისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

3. სამინისტროს საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. იგი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, სამინისტროს ბრძანებებისა და სხვა ნორმატიული აქტების, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ამ დებულების შესაბამისად.

4. სამინისტრო:

— ახორციელებს ხელმძღვანელობას ღვინის, ჩაის, პურპროდუქტებისა და პურ-ფუნთუშეულის, საკონსერვო, მინერალური წყლების, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, ხორცის, რძის, საკონდიტრო, თამბაქოს, ეთერზეთების და ცხიმ-ზეთების, შაქრის, სპირტის, ლიქიორ-აოყის, ტარა-ძესაფუთი მასალების, კვების კონცენტრატების, საპარფიუმერიო და სხვა უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიმართ;

— სრულყოფს საწარმოთა მართვისა და კოორდინაციის სისტემას სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და დამოუკიდებლობის შემდგომი გაფართოების მიზნით;

— ხელს უწყობს ძირითად საწარმოო რგოლში მართვის იმგვარ ორგანიზაციას, რომელიც გამომდინარეობს მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის განვითარებისა და მოქნილი შეხამების აუცილებლობიდან (სამრეწველო საწარმო და საწარმოო გაერთიანება, კომბინატი, ფირმა, სამეურნეო ამხანაგობა, კერძო და საზოგადოებრივი საიჯარო და კოლექტიური საწარმო, კოოპერატივი, ერთობლივი საწარმო და სოფლის მეურნეობის ან სხვა დარგის საწარმოებთან ინტეგრირებული სამეურნეო ორგანო).

5. სამინისტროს პასუხისმგებლობა ეკისრება რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მდგომარეობისათვის, დარგის შემდგომი განვითარების წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, ეკოლოგიურად სუფთა და ტექნიკური პირობებით განსაზღვრული ხარისხის პროდუქციის გამოშვების, კაპიტალურ დაბანდებათა, არსებული საწარმოო სიმძლავრეების ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებისა და ახალი სიმძლავრეების დროულად ამოქმედებისა და ათვისების, შრომის, უსაფრთხოების ტექნიკის, საფინანსო დისციპლინის დაცვის, პროდუქციის მიწოდების, სახელმწიფო დაკვეთების, სახელშეკრულებო და ბიუჯეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

6. სამინისტრო მისი დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციებისა და მათი მართვის ორგანოების მიმართ მმართველობის ფუნქციას ახორციელებს რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისა და საწარმოთა უფლებების გათვალისწინებით, ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში ახდენს მართვის ფუნქციების დელეგირებას მისდამი დაქვემდებარებულ შუალედურ რგოლებში.

7. სამინისტრო იცავს მის სისტემაში შემავალი საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ხელს უწყობს მათ შორის ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, კანონით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ-სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლებრივი ფორმის შექმნას, მონათესავე და მომსახურე დარგებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი და გადამმუშავებელი ასოციაციებისა და ფირმების შექმნასა და საქმიანობას, საიჯარო ურთიერთობის განვითარებას, პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების საფირმო და კომერციულ-სავალუტო სავაჭრო ობიექტების ქსელის ჩამოყალიბებას, კომერციული ბანკების, ნედლეულისა და მატერიალური რესურსების ბირჟის, მარკეტინგის, აუდიტორიული და სხვა სამსახურების შექმნას, იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს საწარმოთა პრივატიზების ღონისძიებათა განხორციელებაში.

8. სამინისტრო მისთვის მინიჭებული იურისდიქციისა და კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავს კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სისტემის საწარმო-ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად აუცილებელი ეკონომიკური მეთოდების გამოყენებისათვის, რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად იღებს ზომებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის.

9. სამინისტრო ორგანიზაციას უწევს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა გაფორმებას სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მოცულობითა და ვადებში, აკონტროლებს მათი შესრულების მიმდინარეობას.

10. სამინისტრო, როგორც სახელმწიფო ქონების მესაკუთრის უფლებამოსილი პირი, ახორციელებს სისტემაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვას უშუალოდ ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების (რესპუბლიკური სამრეწველო ან სხვა გაერთიანებების) საშუალებით. იგი არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიში ეროვნულ ბანკში, საკუთარი ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და შტამპი თავისი სახელწოდებით, უფლება აქვს იქონიოს სპეციალური სავალუტო ანგარიში საგარეო ეკონომიკურ ბანკში.

სამინისტროს აპარატის შენახვა ხორციელდება დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული ანარიცხების მეშვეობით, რისთვისაც შესანახი ხარჯების, დაზღვევის, დროებითი ფინანსური დახმარების, კომერციის განვითარებისა და სხვა ფონდების, მატერიალური უზრუნველყოფისა და სოციალური განვითარების ღონისძიებათა და ცალკეულ მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად მობილიზაციას უკეთებს საწარმოთა და ორგანიზაციათა განკარგულებაში დატოვებული მოგების თანხის არაუმეტეს 10 პროცენტს.

დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დასაფინანსებლად სამინისტრო მობილიზაციას უკეთებს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ პროდუქციის თვითღირებულებაზე დარიცხულ თანხას 1,5 პროცენტის ოდენობით.

11. სამინისტროს ძირითადი ამოცანაა:

— ხელი შეუწყოს კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის, ეროვნული მეურნეო-

ბის დარგების, სახელმწიფოს თავდაცვის მოთხოვნათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე ამ პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა-რეალიზაციას;

— განახორციელოს, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, დემონოპოლიზაციის, საწარმოთა პრივატიზაციისა და სოციალური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა;

— იზრუნოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის, დარგის სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების განმტკიცებისა და რენტაბელობის ამაღლებისათვის, პროდუქციის წარმოების ხარჯების შემცირების, მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების დროული უკუგებისა და ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის მტკიცედ დაცვისათვის;

— განახორციელოს დარგთა შორის წამოჭრილი პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ტერიტორიული მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძველზე;

— გააფართოოს დარგის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა. დაიცვას სავალუტო თვითუზრუნველყოფის პრინციპები, განახორციელოს პროგრესული საინვესტიციო, ბარტერული და მაკრეტინგული პოლიტიკა;

— იზრუნოს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მიაღწიოს მათი მატერიალურ-სოციალური მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

12. სამინისტრო ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებს, ამტკიცებს რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა და სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა წესდებებს ან დებულებებს რესპუბლიკაში მოქმედი კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით, თანხმებს სამრეწველო გაერთიანებათა დაქვემდებარებულ ზოგიერთ მსხვილ საწარმოთა დებულებებს.

13. სამინისტრო — თავის საქმიანობას ახორციელებს რესპუბლიკის კანონების საფუძველზე. იღებს ზომებს მათი აღსრულებისათვის სისტემის საწარმო-ორგანიზაციებში და ამ მიმართებით წარმართავს შესაბამის სამართლებრივ მუშაობას, სახელმწიფო საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად ატარებს საწარმო-ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შერჩევით შემოწმებას დამოუკიდებლად ან დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად.

სამინისტრო იურიდიული სამსახურის საშუალებით განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს დარგობრივი კანონმდებლობის სრულყოფისათვის, საჭიროების შემთხვევაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად ან საქართველოს რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან, უწყებებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად იღებს დადგენილებებს, ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე.

14. სამინისტრო დაგეგმვისა და წარმოების დარგში მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე:

— მონაწილეობს დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა კონცეფციის, სახელმწიფო დავალების საკონტროლო ციფრების, საექსპორტო პროდუქციისა და საიმპორტო ნედლეულის მოცულობის, ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების პროექტების შემუშავებაში;

— მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს საქვეუწყებო საწარმოთა და სხვა სტრუქტურული ერთეულების განვითარებისა და განლაგების საკითხებს, დაგეგმვის დროს უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების რაციონალურ შეხამებას საწარმო- ორგანიზაციათა, რეგიონისა და დარგის ინტერესებთან, აქტიურად მონაწილეობს დარგის საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანისათვის საჭირო მეთოდებისა და ფორმების შემუშავებაში, აგრეთვე საკუთრების სხვადასხვა ფორმების განვითარებასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურების შექმნაში;

— განიხილავს მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს დავალებათა და მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ანგარიშებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

— შეისწავლის და აანალიზებს რესპუბლიკის სამეურნეო და საგარეო ეკონომიკურ მოთხოვნილებებს კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე და ამის საფუძველზე სახავს მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტიულ ღონისძიებებს;

— ორგანიზაციას უკეთებს პირველად აღრიცხვას სისტემის საწარმო-ორგანიზაციებში. აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებას არსებული დებულების დაცვით, ახორციელებს ღონისძიებებს წარმოებაში აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დასანერგად;

— შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს სისტემის საწარმოებისათვის საჭირო ასორტიმენტისა და რაოდენობის ნედლეულის წარმოებისათვის;

— მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის საპროგნოზო მაჩვენებლების შემუშავებაში;

— ხელს უწყობს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაციაში კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ ცალკეული სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის წესს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორგანიზაციას უწევს საწარმოების მიერ ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადებას უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებთან (საზოგადოებრივი სექტორი, მეიჯარე, კერძო სექტორი);

ქმნის ერთიან ქმედით სისტემას ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად;

— აწესებს სათანადო კონტროლს სისტემის საწარმოებში სანიტარიული რეჟიმის დაცვისადმი, პროდუქციის ხარისხიანობის ნორმების დარღვევის ან სანიტარიული რეჟიმის დაუცველობის შემთხვევაში შეაჩერებს პროდუქციის წარმოებას და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდებას;

— ხელს უწყობს საექსპორტო პროდუქციის წარმოების დავალების შესრულებას, რომელიც პასუხობს საგარეო ბაზრის მოთხოვნებს, იღებს ზომებს საექსპორტოდ განკუთვნილი იმ საქონლის წარმოების ზრდისათვის, რომლის რეალიზაცია იძლევა მაღალ სავალუტო ეფექტს, აგრეთვე განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს საექსპორტოდ პერსპექტიული პროდუქციის შესამუშავებლად.

15. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად სამინისტრო:

— ზრუნავს დარგის განვითარებისათვის რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის, საერთო სახელმწიფო და რეგიონალური პროგრამების საფუძველზე;

— განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების ძირითად მიმართულებებს და ასრულებს დამკვეთის ფუნქციებს;

— ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვას სამეურნეო-ეკონომიკური მეთოდების საშუალებით;

— ქმნის ეკონომიკურ და მატერიალურ პირობებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების დასაჩქარებლად;

— ახორციელებს ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა შესაბამისი ტექნიკური სიახლეების, გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და ლიცენზიების რეალიზაციისათვის;

— ორგანიზაციას უწევს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა პრაქტიკულ განხორციელებას, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დანერგვას ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისათვის, საწარმოო პროცესების მართვის, დაგეგმვისა და დაპროექტების დარგში;

— წარმართავს შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა ეფექტიან საქმიანობას და განვითარებას;

— ხელს უწყობს სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზის განვითარებას;

ეროვნული № ბიბლიოთეკა

— ორგანიზაციას უწევს სამინისტროს და დარგობრივი სამეცნიერო-ტე
ნიკური საბჭოების მუშაობას და ახორციელებს კონტროლს მიღებულ გადა
წყვეტილებათა შესრულებისადმი.

16. კაპიტალური მშენებლობის დარგში სამინისტრო:

— ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას თავის სისტემაში შემავალ
საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სახელმწიფო ცენტრალიზებულ
კაპიტალური დაბანდებისა და საწარმო-ორგანიზაციათა საკუთარი სახსრები
ხარჯზე ორგანიზაციას უწევს კვლევისა და გადამმუშავებელი მრეწველობი
დარგების კომპლექსურ განვითარებას;

— კაპიტალურ დაბანდებას, ასევე საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ს
მუშაობებს წარმართავს, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკური კვლავაღჭურვი
რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის, აგრეთვე არასაწარმოო დანიშნ
ლების ობიექტების მშენებლობისათვის;

— ახორციელებს დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სოციალ
რი სფეროს განვითარებას, ასევე მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უ
რუნველყოფას;

— ნიშნავს, დადგენილი წესით, სახელმწიფო მიმღებ კომისიებს დამთა
რებული ობიექტების საექსპლუატაციოდ გადასაცემად, ამტკიცებს მათი მ
ღების აქტებს და იღებს გადაწყვეტილებებს კრებსით სახარჯთაღრიცხვო-ს
ფინანსო გაანგარიშებათა დახურვის შესახებ;

— უზრუნველყოფს საკუთარი დარგის სამშენებლო ბაზის განვითარება
განმტკიცებასა და მოდერნიზაციას საკუთარი ძალებით მშენებლობის განს
ხორციელებლად;

— ხელს უწყობს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკვეთ
და მათივე ხარჯით ძირითადი ფონდების კაპიტალურ შეკეთებას, ასევე მო
ყობილობათა მოდერნიზაციას, მათი ტექნიკური დონისა და მწარმოებლურ
ბის ამაღლებას, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა ტექნიკურ და საექსპლუატაც
მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასაშენებელი ობიექტების პროექტებისა
ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზას.

17. ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის დარგში სამინისტრო:

— ახორციელებს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ს
ფუძველზე ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას, ასრულებს ბუნების დაცვის საქმ
ნობის მაკოორდინებელი ორგანოს ფუნქციას;

— ადგენს ოპერატიულ და პერსპექტიულ გეგმებს, წყლის რესურსებ
და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებებს, გამწმენდ ნაგებობათა პრ
ექტებსა და მშენებლობათა გეგმებს;

— კონტროლს უწევს მოქმედ საწარმოებში ბუნების დაცვისა და ეკ
ლოგიური ვითარების შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობ

— ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს სისტემის წარმოება-ორგან
ზაციებისათვის გამოყოფილი მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაც
ონალური გამოყენების, აღდგენისა და დაცვის უზრუნველსაყოფად მიმართ
ლი კანონმდებლობის შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში სამინისტრო:

— სახელმწიფო დაკვეთების მოცულობის შესასრულებლად ხელს უწყობს საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას;

— აწესრიგებს შიდასასისტემო საბითუმო ვაჭრობას და ქმნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პროგრესული ფორმების გამოყენების საფუძვლებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სისტემის საქონელგამტარი ქსელის საშუალებით, იღებს ზომებს რესპუბლიკის გარეთ მყოფ მიმწოდებლებთან ხანგრძლივი სამეურნეო კავშირების დასამყარებლად;

— ახორციელებს მატერიალური რესურსების რაციონალური ხარჯვისა და მეორეული რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ღონისძიებებს.

19. ფინანსების, კრედიტებისა და ფასწარმოქმნის დარგში სამინისტრო:

— ზრუნავს დარგში საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გასაუმჯობესებლად, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მყარი ფინანსური მდგომარეობის შესაქმნელად და მათ მიერ ბანკების (სახელმწიფო, სავალუტო, კომერციული) კრედიტების გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად;

— დადგენილი წესით მონაწილეობს ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის შესახებ წინადადებების შემუშავებაში და ახორციელებს მათ.

20. კადრების, შრომის, ხელფასის და სოციალური განვითარების დარგში სამინისტრო-

— შეიმუშავებს და ახორციელებს სამინისტროს სისტემის ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და სწორი გამოყენების ღონისძიებებს;

— სრულყოფს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, მუშაობის სტილსა და მეთოდებს, უზრუნველყოფს მის ფორმირებას ინიციატივიანი, კვალიფიციური, გამოცდილი და კომპეტენტური მუშაკებით, თანამედროვე ეკონომიკის მართვისადმი გაზრდილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

— ხელს უწყობს ახალგაზრდა პერსპექტიულ მუშაკთა დაწინაურებას, კადრების საიმედო რეზერვის შექმნას, ორგანიზაციას უწევს დარგის განვითარებას ყველა მიმართულებით მუშაკთა მომზადებასა და გადამზადებას დარგობრივი და დარგთაშორის სასწავლო ცენტრებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებში, უშუალოდ საწარმოებში, აგრეთვე განამტკიცებს ამ სისტემის მატერიალურ ბაზას;

— ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საზღვარგარეთ მივლინებას, აგრეთვე იღებს უცხოელ სპეციალისტებს ერთობლივ საქმიანობაში ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების დასამყარებლად.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, თანამდებობრივ სარგოებსა და დანამატებს მაღალი შრომითი მიღწევებისათვის და პრემირების დებულებას შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში, დადგენილი წესით, ამტკიცებს მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა ჩოიცხოვნობას და ანაზღაურების ფონდს ამტკიცებს მინისტრი;

— მონაწილეობს შრომის პროგრესული ორგანიზაციის, წარმოებისა და ხელფასის დარგში მართვის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების, მატერიალური და მორალური სტიმულირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში;

— სისტემის მუშაკების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით ყოველმხრივ განავითარებს მატერიალურ ბაზას.

21. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის დარგში სამინისტრო:

— შეიმუშავებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს;

— ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციათა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სავალუტო თვითანაზღაურების სტიმულირების უზრუნველსაყოფად;

— ატარებს შესაბამის ღონისძიებებს საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღების, საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლისა და სარეკლამო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

— ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პროგრესული ფორმების განვითარებას, სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და სხვა სტრუქტურული ერთეულების პირდაპირი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის დამყარებას სხვა ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე ერთობლივ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნას;

— ზრუნავს საწარმოების იმპორტული მოწყობილობით, ნედლეულით, სხვა საქონლითა და ტექნოლოგიებით დროულად მომარაგებისა და მათი ეფექტიანად გამოყენებისათვის.

22. სამინისტრო თავის მუშაობას წარმართავს დარგისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიალობისა და ერთმმართველობის პრინციპების შეხამების საფუძველზე, ამასთან, აწესებს თანამდებობის პირთა პერსონალურ პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაოებანზე არსებული მდგომარეობისა და სამუშაოზე დაქირავების კონტრაქტით განსაზღვრული დავალებების შესრულებისადმი.

23. სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. მინისტრის მოადგილეთა შორის ფუნქციებს ანაწილებს მინისტრი.

24. მინისტრი პერსონალურად აგებს პასუხს კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის. მინისტრი აწესებს მინისტრის მოადგილეთა, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, თანამდებობაზე ნიშნავს და ამტკიცებს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მინისტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს ინსტრუქციებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის სავალდებულო მითითებებს, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათ შესრულებას..

25. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

26. სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები, აგრეთვე სამინისტროს სისტემის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

27. სამინისტროს კოლეგია იღებს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს დარგის ძირითადი საქმიანობის შესახებ და პასუხს აგებს დარგის მუშაობის სრულყოფისა და მისი საქმიანობის შედეგებისათვის. კოლეგია გადაწყვეტილებათა მიღებისას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, საჭიროების მიხედვით ატარებს გამსვლელ სხდომებს მომიჯნავე სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მონაწილეობით.

28. სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, დადგენილებით ან მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, ხოლო თავის მხრივ კოლეგიის წევრებს შეუძლიათ შეატყობინონ თავიანთი აზრი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

29. სამინისტროში იქმნება დარგის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, როგორც სათათბირო ორგანო, რომელსაც მეთაურობს მინისტრი, საბჭოს შემადგენლობაში შედიან წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები, საწარმოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მოწინავე მუშაკები. საბჭო ატარებს თავის სხდომებს წელიწადში ორჯერ მაინც და განიხილავს დარგის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ძირითად საკვანძო საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

სამინისტროს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება შეიქმნას აგრეთვე სხვა სათათბირო და საკონსულტაციო ორგანოები, რომელთა შემადგენლობასა და დებულებებს ამტკიცებს მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. სამინისტრო, კანონით დადგენილი წესით, ორგანიზაციას უწევს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და სწორად განხილვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

81 საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს თანდართული დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **ო. ჭვილითაია**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 აპრილი, № 432

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 17 აპრილის № 432
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს
დებულება

I. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო — (შემდგომში „სამინისტრო") არის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო, ემორჩილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა რესპუბლიკაში ბუნებადაცვითი საქმიანობისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების უზრუნველყოფისათვის.

1.2. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს რესპუბლიკაში ბუნებადაცვითი საქმიანობისა და ბუნებათსარგებლობის პროცესის კომპლექსურ მართვას, გარემოს მდგომარეობასა და მისი დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ჰიდრომეტეოროლოგიურ უზრუნველყოფას.

1.3. სამინისტრო, მისი რესპუბლიკური და რეგიონალური ქვედანაყოფები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი სამსახურები ქმნიან გარემოს დაცვის, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ერთიან ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ სისტემას.

1.4. სამინისტრო თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

1.5. სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების შესაბამისი სამსახურები, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, სამართალდაცვით და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

1.6. სამინისტრო კოორდინაციას უწევს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საქმიანობას გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში.

1.7. სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების გადაწყვეტილებები, მიღებული მათი კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყებების, საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, საქართველოს ადგილობრივი ორგანოების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისათვის უცხოელი მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე.

II. ძირითადი ამოცანები

სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

2.1. გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და მისი გატარება საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის ტერიტორიული წყლების, ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში.

2.2. გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის წინადადებების შემუშავება, ბუნებადაცვითი ღონისძიებების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, გარემოს ბუნებრივი წონასწორობის, მისი ხარისხის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების აღდგენისა და შენარჩუნებისათვის გამიზნული სამუშაოების ჩატარების კოორდინაცია და კონტროლი.

2.3. სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა, იურიდიულ პირთა და აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ, გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში ეკოლოგიური ნორმატივების დაცვის მიზნით სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფა.

2.4. გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შეფასება, ამინდის, მდინარეთა წყლიანობის, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების, აგრომეტეოროლოგიური მეთოდებით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მოსავლის საერთო რაოდენობის პროგნოზების შედგენა, სამინისტროებისა, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის შესაბამისი ინფორმაციით ოპერატიული და სისტემატური უზრუნველყოფა, სახალხო მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებსა და მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების განხორციელება.

2.5. გარემოს მდგომარეობისა და მის ცვალებადობაზე დაკვირვებები, სახელმწიფო სისტემის ორგანიზაცია და განვითარება, ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა სახელმწიფო ფონდის წარმოება.

2.6. გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში სამამულო და საზღვარგარეთული მოწინავე გამოცდილების დანერგვა.

2.7. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან, მოქალაქეთა ეკოლოგიური პროფილის საზოგადოებრივ გაერთიანებებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მოსახლეობის ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ძირითადი ფუნქციები

სამინისტრო:

3.1. სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე ამზადებს წინადადებებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ სახელმწიფო კონცეფციებში და პროგრამებში სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზებში მათ გასათვალისწინებლად.

3.2. უზრუნველყოფს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადებას.

3.3. ორგანიზაციას უწევს (დამკვეთის ფუნქციით) და უზრუნველყოფს გარემოს დაცვის რეგიონალური და დარგობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავებას.

3.4. მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებთან, დეპარტამენტებთან და უწყებებთან ერთად ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში ეკონომიკური მეთოდებისა და ნორმატივების შემუშავების, დანერგვის, საგადასახადო, ფინანსურ-საკრედიტო, საინვესტიციო და ფასების პოლიტიკის სრულყოფის თაობაზე წინადადებების მომზადებაში.

3.5. ამზადებს ან ითანხმებს წინადადებებს მიწის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, წიაღის, განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების, ცხოველთა სამყაროს (მათ შორის თევზის, წყლის სხვა ბინადართა და წყალმცენარეების), მცენარეული საფარის (მათ შორის ტყის) დაცვისა და გამოყენების, ამ სფეროში სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების საფუძვლების დადგენისა და სრულყოფის თაობაზე, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტებისათვის.

3.6. ახორციელებს რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების კონცეფციების, პროგრამებისა და პროგნოზების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გენგეგმების, ცალკეული სამრეწველო და საწარმოო ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის), გაფართოებისა და ტექნიკური გადაიარაღების პროექტების, წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების, მასალებისა და ნივთიერებების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის (მათ შორის შეთანხმების) მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მის ჩატარებას.

3.7. მონაწილეობს მოსალოდნელი საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების პროგნოზირების, მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებასა და აღკვეთაში.

3.8. ითანხმებს, შეიმუშავებს ან დადგენილი წესით ამტკიცებს ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირებისა და გარემოს დაცვის კონტროლის სფეროში სტანდარტების, ნორმებისა და წესების, სხვა სამართლებრივი, ნორმატიულ-ტექნიკური და მეთოდოლოგიური საბუთების პროექტებს.

3.9. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან ერთად კოორდინაციას უწევს მეცნიერულ გამოკვლევებს ბუნებრივი რესურსების კომპლექსური, რაციონალური გამოყენებისა და გარემოზე უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედების თავიდან აცილების, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების, მოწყობილობებისა და მასალების, აგრეთვე გარემოს მდგომარეობისა და დაბინძურების წყაროების მაკონტროლებელი ხელსაწყოების, ავტომატიზებული სისტემებისა და სხვა საშუალებების შექმნის სფეროში.

3.10. ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს:

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებების და განკარგულებების შესრულების მიმდინარეობისადმი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

გარემოს გაჯანსაღებაზე, მიწის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, წიაღის, განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების, მცენარეული საფარის (მათ შორის ტყისა და მწვანე მშენებლობის) და ცხოველთა (მათ შორის თევზის, წყლის სხვა ბინადართა) სამყაროს დცვის, აღწარმოებისა და გამოყენების რეგულირებაზე;

განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვაზე;

ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებების წარმოქმნაზე, გამოყენებაზე, გადამუშავებასა და უტილიზაციაზე;

ბუნებადაცვითი ღონისძიებებისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე, გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში ეკონომიკური მეთოდებისა და ნორმატივების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

3.11. უზრუნველყოფს დაინტერესებულ სამინისტროებთან, დეპარტამენტებთან, უწყებებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან ერთად წინადადების მომზადებას მეზობელ ქვეყნებთან წყლის რესურსების საერთაშორისო და სარეგიონთაშორისო განაწილების თაობაზე.

3.12. განსაზღვრავს გარემოზე დაკვირვების (მონიტორინგის) წარმოებასა, ბუნებრივი რესურსების დაცვასა და გამოყენებაზე, ერთიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ნორმატიული უზრუნველყოფის ერთიან მეთოდურ საფუძვლებს; რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან, დეპარტამენტებთან, უწყებებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობს მიწის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, წიაღის, ცხოველთა სამყაროს (მათ შორის თევზის, წყლის სხვა ბინადართა), მცენარეული საფარის (მათ შორის ტყის), აგრეთვე განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და ერთიანი სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის შემუშავებაში.

3.13. ორგანიზაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის „წითელი წიგნის“ წარმოებას.

3.14. მონაწილეობს რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების, სამრეწველო და სხვა დანიშნულების საწარმოებისა და ობიექტებისათვის ტერიტორიის შერჩევაში.

3.15. ითანხმებს სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების გეგმების (მათ შორის საანგარიშო ტყეკაფების) პროექტებს, მიწების გამოყოფას სამეურნეო საქმიანობისათვის, მიწებისა და ტყეების ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანის საკითხებს.

3.16. ითანხმებს ლიმიტებს, კვოტებს და ლიცენზიებს ბუნებრივი რესურსების (გარდა წიაღისეულის მარაგისა), მათ შორის მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს გამოყენებაზე; აწესებს დასაშვებ ნორმებს გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოფრქვევასა და ჩაშვებაზე.

3.17. აწარმოებს სისტემატურ დაკვირვებებს ატმოსფეროს, წყლების, ნიადაგების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მდგომარეობაზე, გარემოს დაბინძურების დონეზე, საერთო რადიაციულ ვითარებაზე; უზრუნველყოფს გარემოს ცვალებადობასა და მდგომარეობაზე დაკვირვების სახელმწიფო სისტემის საიმედო ფუნქციონირებას და მის შემდგომ განვითარებას, ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებზე აქტიურ ზემოქმედებას.

3.18. უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საერთო სარგებლობის ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით (მათ შორის პროგნოზითა და შტორმულით); აფრთხილებს სტიქიური მოვლენების, გარემოს მაღალი და ექსტრემალურად მაღალი დონის დაბინძურების შესახებ; აწვდის მოსახლეობას აღნიშნულ პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

IV. უფლებამოსილებანი

სამინისტრო:

4.1. ახორციელებს ინსპექციას და ამოწმებს მათთან წინასწარ შეუთანხმებლად საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს (მათ შორის სამხედრო და სხვა სპეციალური დანიშნულების) განსაკუთრებულად დაცულ, ტერიტორიებს, სხვა ობიექტებს (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და კუთვნილების ფორმისა), რომლებიც განლაგებულნი არიან და ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე; შემოწმების შედეგების მიხედვით ადგენს აქტებს და ოქმებს, გასცემს სავალდებულო მიწერილობებს, გამოაქვს დადგენილებები ბუნებადაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღსაკვეთად.

4.2. ისმენს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს, მათ მიერ ბუნებათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების, ამ დარგში პროგნოზების და ღონის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებების, ბუნებადაცვითი დანიშნულების მოწყობილობების, ხელსაწყოების, სხვა ტექნიკური საშუალებებისა და მასალების წარმოების დავალებათა შესრულების თაობაზე, აგრეთვე გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სხვა საკითხებზე.

4.3. განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან ერთად გარემოს მდგომარეობის, ბუნებათსარგებლობის, ბუნებადაცვითი ღონისძიებების შესრულების შესახებ სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშების ფორმებს, წარმოების წესსა და პერიოდულობას.

4.4. იღებს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებიდან, დეპარტამენტებიდან, უწყებებიდან, საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან საჭირო ინფორმაციებს და სტატისტიკურ ანგარიშებს გარემოს მდგომარეობის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და აღწარმოების ბუნებადაცვითი ღონისძიებების შესრულების შესახებ, ცნობებს დამაბინძურებელ ნივთიერებათა გარემოში ავარიული გამოყოფის შესახებ და სხვა მასალებს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

4.5. განსაზღვრავს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან სპეციალისტების, მეცნიერების, დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის წესს.

4.6. ამზადებს წინადადებებს რესპუბლიკური და ადგილობრივი ეკოლოგიური ფონდების ფორმირებისა და გამოყენების წესის თაობაზე.

4.7. განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხებზე წარმოშობილ უთანხმოებებს და გასცემს სათანადო დასკვნებს.

4.8. დროებით აჩერებს ან კრძალავს საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე სამრეწველო და სხვა დანიშნულების ობიექტთა მშენებლობის (რეკონსტრუქციის, გაფართოების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ყველა სხვა სამუშაოების ჩატარებას, რომელთაც ეკოლოგიური ექსპერტიზა არ გაუვლიათ ან მიიღეს ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა და ხორციელდებიან ბუნებადაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით; შეაქვს წარდგინებები საბანკო დაწესებულებებში ამგვარი სამუშაოებისათვის ფინანსების შეწყვეტის შესახებ.

4.9. ზღუდავს, დროებით აჩერებს ან კრძალავს ცალკეული აგრეგატების, დანადგარების, უბნების, საამქროების ან მთლიანად საწარმოების მოქმედებას, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ეკოლოგიური ნორმებისა და წესების დარღვევით, აგრეთვე კრძალავს ისეთი პროდუქციისა და მასალების გამოშვებას (გამოყენებას), რომელთა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს გარემოს მაღალი დონის დაბინძურება ან მისი დეგრადაცია.

4.10 შეაქვს წინადადებები დადგენილი წესით მიწათმოსარგებლეთათვის პიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ, თუ მათ მიერ მიწების ექსპლუატაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას, მის დეგრადაციას ან დაბინძურებას.

4.11. წარუდგენს სარჩელს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საქართველოს მოქალაქეებს, უცხოელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს ბუნებათსარგებლობის ქრაკანონიერი სამეურნეო ააქმიანობის ან ბუნებათმოსარგებლის მიზეზით გამოწვეული ავარიების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სახსრების ამოღების მიზნით; იღებს გადაწყვეტილებებს ბუნებადაცვითი კანონმდებლობის დამრღვევ პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის თაობაზე.

4.12. აყენებს წინადადებებს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტებისა და უწყებების, საწარმოების, ადგილობრივი მმქართველობის ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც დაუშვეს ბუნებადაცვითი კანონმდებლობის დარღვევა; საჭიროების შემთხვევაში გადასცემს მასალებს საგამოძიებო ორგანოებს ამგვარ დარღვევებში დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე.

4.13. წარმოადგენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს საერთაშორისო, უცხოეთის ქვეყნების ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებსა და შეხვედრებზე, გამოდის ამგვარი თანამშრომლობის განხორციელების ინიციატივით.

4.14 დადგენილი წესით ქმნის, აუქმებს და გარდაქმნის დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებს, სამეცნიერო-კვლევით და სხვა ორგანიზაციებს, ამტკიცებს და ცვლის მათ დებულებებს (წესდებებს).

V. ხელმძღვანელი ორგანოები

5.1. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

5.2. მინისტრი:

— ახორციელებს სამინისტროს საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებაზე, დაქვემდებარებული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაობაზე;

— ანაწილებს ფუნქციებს მინისტრის მოადგილეთა შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

— განსაზღვრავს მოადგილეთა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისა და უბნების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების მუშაობისათვის;

— ამტკიცებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის, აგრეთვე მისი რესპუბლიკური და ადგილობრივი სტრუქტურული ქვედანაყოფების საშტატო განრიგებსა და დებულებებს.

5.3. სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის პერსონალურ შემადგენლობას მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

სამინისტრო კოლეგიის სხდომებზე განიხილავს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის, ვარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების და ჰიდრომეტეოროლოგიის ორგანიზაციისა და სრულყოფის ძირითად საკითხებს, სამინისტროს სისტემაში საქმიანობის ორგანიზაციას, ნორმატიული და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების პროექტებს და სამინისტროს მუშაობის სხვა საკითხებს, კადრების შერჩევის, მომზადების, გამოყენებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, განიხილავს უმნიშვნელოვანესი დადგენილებების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, დაქვემდებარებული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ანგარიშებს, სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, ბუნებათმოსაკრებლე სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოხსენებებსა და ინფორმაციებს სამინისტროს კომპეტენციით განსაზღვრულ საკითხებზე.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება კოლეგიის დადგენილებებით ან მინისტრის ბრძანებებით; მინისტრისა და კოლეგიის წევრთა უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან, წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას; კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ თავიანთი განსხვავებული აზრი აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

5.4. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა), საქართველოს მოქალაქეთათვის, უცხოელ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელთაც არა აქვთ საქართველოს მოქალაქეობა.

5.5. სამინისტროსთან საჭიროების შემთხვევაში იქმნება საუწყებათაშორისო, სამეცნიერო-ტექნიკური, საზოგადოებრივი საბჭოები და კომისიები, საექსპერტო ჯგუფები, რომლებშიც შედიან თვალსაჩინო მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწენი, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთა პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს სამინისტროს კოლეგია.

5.6. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82 მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების პროექტის შედგენის, მისი ადგილზე გამიჯვნისა და სახელმწიფო აქტების გადასაცემად მასალების მომზადების ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და დაწესდეს, რომ:

მიწის რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებით ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამუშაოებია შესასრულებლად, საპროექტო გეგმის შესადგენად, მიწის ადგილზე გასამიჯნავად და გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე სახელმწიფო აქტის გასაცემად მიწის მიმღები მოქალაქეები იხდიან მათ კანონიერ და ზღვრულ ნორმამდე შესავსები ფართობებისათვის:

— 0,15 ჰექტარამდე — 150 მანეთს;
— 0,25 ჰექტარამდე — 175 მანეთს;
— 0,50 ჰექტარამდე — 200 მანეთს;
— 0,75 ჰექტარამდე — 250 მანეთს;
— 1-1,25 ჰექტარამდე და ზევით — 300 მანეთს.

ცალ-ცალკე მდებარე ერთზე მეტი ნაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში ყოველ ნაკვეთზე შესრულებული სამუშაოს ღირებულება იზრდება 25 პროცენტით.

მთის რეგიონებში მოქალაქეებს გადასახდელი თანხა შეუმცირდეთ 50 პროცენტით.

მოქალაქეები თანხებს ჩარიცხავენ საველე სამუშაოების დაწყებისთანავე, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის მიზნობრივ სპეცანგარიშზე, რომელიც თავის მხრივ ამ თანხებს ჩაურიცხავს სამუშაოს შემსრულებელ საპროექტო ორგანიზაციებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **ო. ჭვილითაია**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ტ. თბილისი, 1992 წ. 17 აპრილი, № 438

ეროვნული ბიბლიოთეკა

83 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტისათვის პროფესორ მ. ზ. ნოდიას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინადადება და მიეკუთვნოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების ფუძემდებლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ მიხეილ ზოსიმეს ძე ნოდიას სახელი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **ო. ჭვილითაია**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 აპრილი, № 439

84 საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით დროებით ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით ფასების ლიბერალიზაციის პირობებში მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. 1992 წლის 1 მაისიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვ.) განისაზღვროს თვეში 500 მანეთის ოდენობით.

შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეში არ გაითვალისწინება დანამატები, წანამატები, პრემიები და სხვა წამახალისებელი გასაცემლები.

2. ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მინიმალური თანამდებობრივი სარგოებისა და განაკვეთების 500 მანეთამდე გაზრდასთან დაკავშირებით 1992 წლის 1 მაისამდე მოქმედი თანამდებობრივი სარგოები და განაკვეთები გადიდდეს 1,56 კოეფიციენტით. ამავე კოეფიციენტით გადიდდეს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში დასაქმებულ მუშაკთა შრომის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს, რომ მუშათა, მოსამსახურეთა და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვაგვარი შემოსავლები თვეში 500 მანეთამდე ოდენობით, რაც მიღებულია მათ ძირითად საქმიანობაზე (სამსახურის, სწავლის) ადგილას, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წინადადებანი „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის № 286 დადგენილებით დამტკიცებულ დროებით დებულებაში სათანადო ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

4. 1992 წლის 1 მაისიდან:

— სტუდენტებისა და მოსწავლეთა სტიპენდიების ოდენობა თვეში განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოების (განაკვეთების) მინიმალური დონის (500 მანეთი) მიმართ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ფრიადოსანი სტუდენტებისათვის — 80 პროცენტის, ხოლო აკადემიური მოსწრების მქონე დანარჩენი სტუდენტებისათვის — 70 პროცენტის ოდენობით, შესაბამისად სახელმწიფო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 70 და 60 პროცენტი, ხოლო სახელმწიფო პროფსასწავლებლებში — 60 და 50 პროცენტი;

— ასპირანტებისა და სახელობითი სტიპენდიები გადიდდეს 20 პროცენტით.

5. დაწესდეს უმუშევრის სტატუსის მქონე პირებზე გასაცემი შემწეობის ქვედა და ზედა ზღვრები:

ა) უმუშევრობის პირველი სამი თვის განმავლობაში:
ქვედა ზღვარი — მინიმალური ხელფასის დონეზე,
შემწეობის მაქსიმალური ოდენობა არ იზღუდება.

ბ) უმუშევრობის მე-4-დან მე-6 თვის ჩათვლით:
ქვედა ზღვარი — მინიმალური ხელფასის 70 პროცენტი,
ზედა ზღვარი — მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობა.

გ) უმუშევრობის მე-7-დან მე-9 თვის ჩათვლით:
ქვედა ზღვარი — მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი,
ზედა ზღვარი — მინიმალური ხელფასის ერთნახევარი სიდიდე.

დ) უმუშევრობის მე-10-დან მე-12 თვის ჩათვლით:
ქვედა ზღვარი — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი,
ზედა ზღვარი — მინიმალური ხელფასის დონეზე.

ე) უმუშევრის სტატუსის მქონე იმ პირებისათვის, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს (უმაღლესი ან საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი და სხვ.), შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთისა და აღზრდითი მკურნალობის ადგილებიდან გათავისუფლებული პირებისათვის შემწეობის ოდენობა განისაზღვრება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უმუშევრის სტატუსის მოქმედების პირველი ექვსი თვის განმავლობაში მინიმალური ხელფასის 60 პროცენტით;

— დანარჩენი ექვსი თვის მანძილზე — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტით.

6. მოხუცებულობის პენსიების მქონე არამომუშავე პენსიონერთა, I და II ჯგუფის ინვალიდთა (მათ შორის ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდთა), 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალური პენსიები, წელთა ნამსახურობისა და პერსონალური პენსიები გადიდდეს 100 მანეთით.

7. მარჩენალის დაკარგვის გამო, ყველა სახის III ჯგუფის ინვალიდობის და სოციალური პენსიები გადიდდეს 50 მანეთით.

8. ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე (მათ შორის ვადიანი ხელშეკრულებით) პენსიონერს, დაკავებული თანამდებობის მიუხედავად, პენსია ხელფასთან (შემოსავალთან) ერთად მიეცეს სრულად, თუ ხელფასმა (შემოსავალმა) და პენსიამ არ გადააჭარბა დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგ ოდენობას. თუ ხელფასი (შემოსავალი) და პენსია აღემატება აღნიშნულ თანხას (1500 მანეთი), შესაბამისად შემცირდეს პენსია.

ეს წესი არ გავრცელდება იმ მომუშავე პენსიონერებზე, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობით ხელფასისა და პენსიის ოდენობა არ ეზღუდებათ.

9. დაწესდეს ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების შემდეგი ოდენობანი:

ა) ერთდროული დახმარება ბავშვის დაბადებისას — მინიმალური ხელფასის ოდენობით;

ბ) 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი — 300 მანეთი;

გ) 1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი — 250 მანეთი;

დ) მარტოხელა დედების და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი — 250 მანეთი.

10. მოიხსნას ყოველგვარი შეზღუდვა საპენსიო ასაკს მიღწეული მოქალაქეებისათვის არასრული სტაჟის დროს პენსიების დანიშვნისას, გარდა 5 წლის აუცილებელი სტაჟისა.

11. მოსწავლეებზე მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები გაიცეს 23 წლის ასაკის მიღწევამდე.

12. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდისა და საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექციებს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი შემოსავლებსა და ხარჯებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. 1992 წლის 1 მაისიდან გაორმაგდეს საწარმოო ტრავმით გამოწვეული შრომითი დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისას საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებიდან გასაცემი ნაწილის ოდენობა.

14. ამ დადგენილებით რესპუბლიკაში შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან ერთად ორი კვირის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობები, თანამდებობრივი განაკვეთების მინიმალურ დონესთან თანაფარდობის კოეფიციენტების გათვალისწინებით.

15. გაუქმდეს 1992 წლის 1 მაისიდან „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილების მე-4 პუნქტი.

16. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს რადიო-ტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **ო. ჭვილითაია**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 აპრილი, № 441

ეროვნული ბიბლიოთეკა

85 საქართველოს რესპუბლიკაში ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების დამზადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში სპეციალური პროდუქციის მოუწოდებლობის გამო შეიქმნა ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების მწვავე დეფიციტი, რამაც განაპირობა ადგილობრივ არსებული ძალებით, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით სახელმწიფო სანომრე ნიშნების დამზადება.

ლათინური შრიფტით დამზადებული სახელმწიფო სანომრე ნიშნებით ამჟამად არსებულის შეცვლა გამოიწვევს საავტომობილო პარკის აღრიცხვის გაუმჯობესებას, გატაცებულ და დანაშაულებრივი მიზნით გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებათა ძებნითი სამუშაოების ოპერატიულად ჩატარებასა და ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის უკეთ შესწავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება სატრანსპორტო საშუალებათა არსებული სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლისა და ლათინურშრიფტიანი სახელმწიფო სანომრე ნიშნების დამზადების აუცილებლობის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს შეარჩიოს სატრანსპორტო საშუალებათა ლათინურშრიფტიანი სახელმწიფო სანომრე ნიშნების დამამზადებელი ორგანიზაცია და გააფორმოს სათანადო ხელშეკრულებანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 20 აპრილი, № 442

ეროვნული ბიბლიოთეკა

86 საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების კუთვნილი ობიექტებისა და სამხედრო ქონების შეძენის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ობიექტების (სამხედრო ადმინისტრაციული შენობები, ყაზარმები, ქარხნები, ფაბრიკები, ბაზები, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სახლები, აეროდრომები და სხვა) და სამხედრო ქონების ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა ან შესყიდვა სამთავრობო კომისიის ნებართვის გარეშე.

2. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ობიექტებისა და ქონების პირად მემკვიდრედ ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

3. დაევალოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ნუსხა იმ დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა, კოოპერატივებისა და ასოციაციებისა, რომლებსაც გადახდილი აქვთ სათანადო თანხები სამხედრო ობიექტების შესაძენად.

4. ნება დაერთოს სამთავრობო კომისიას გააუქმოს სამხედრო ორგანიზაციებთან სამხედრო ობიექტების შესაძენად ადრე დადებული ხელშეკრულებანი.

5. ის სამხედრო ქონება, რომლის შეძენა არ იქნება მიზანშეწონილი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ, შეიძლება მიეყიდოს დაწესებულებებს, კოოპერატივებს, ასოციაციებს, აგრეთვე კერძო პირებს.

6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 20 მარტის № 342 დადგენილებით განსაზღვრულ სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული ბატონი ჯონი ფაილოძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 23 აპრილი, № 446

ეროვნული ბიბლიოთეკა

87 საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ბეგარის მოსახდელად წვევამდელთა გაწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 11 აპრილის დეკრეტის თანახმად 1992 წლის აპრილ-ივნისში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეწყობა სამხედრო ბეგარის მოსახდელად წვევამდელთა გაწვევა შეიარაღებულ ძალებში.

გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებმა, საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამგეობებმა სამხედრო განყოფილებებთან ერთად უზრუნველყონ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება რეზერვში მყოფი ახალგაზრდა ოფიცრებით, სერჟანტებითა და ზემდეგებით, პარალელურად სათანადოდ მოამზადონ და გაიწვიონ სამხედრო ბეგარის მოსახდელად წვევამდელები.

2. სამხედრო ბეგარის მოსახდელად რაიონებისა და ქალაქების გამწვევ უბნებში გამოცხადებას დაექვემდებაროს 1974 წელს დაბადებული წვევამდელები, რომლებსაც გაწვევის დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი და აგრეთვე 1973-1968 წლებში დაბადებული წვევამდელები, რომლებმაც დაკარგეს გადავადების უფლება ან არ იყვნენ გაწვეული სხვადასხვა მიზეზის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში პირველ რიგში გაწვეულ იქნენ უფროსი ასაკის წვევამდელები.

3. საქართველოს რესპუბლიკის წვევამდელები, რომლებიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვევას ექვემდებარებიან, ვალდებულნი არიან გამოცხადნენ შესაბამის გამწვევ უბნებში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. გამოცხადების ვადები კონკრეტულად ინიშნება და ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამგეობების სამხედრო განყოფილებების უფროსების ბრძანებათა საფუძველზე;

წვევამდელები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მიიღებენ უწყებას გამწვევ უბნებში გამოცხადების შესახებ, ვალდებულნი არიან 1992 წლის 15 მაისამდე მიმართონ ადგილობრივ სამხედრო განყოფილებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ის წვევამდელები, რომლებიც გაწვევის პერიოდში დროებით სხვა რაიონის (ქალაქი) ტერიტორიაზე იმყოფებიან ან ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან მიმართონ იმ გამწვევ უბნებს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც სამხედრო აღრიცხვაზე იმყოფებიან.

4. წვევამდელები, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევად რაიონისა და ქალაქის გამწვევ უბნებში დროულად არ გამოცხადებიან ან თავს აარიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, პასუხს აგებენ არსებული კანონის თანახმად.

5. საქართველოს რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციების, ბანკების, კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების, სასწავლო დაწესებულებებისა და სოფლის საკრებულოების ხელმძღვანელები, აგრეთვე სახლმმართველობები ვალდებულნი არიან პერსონალური უწყებებით უზრუნველყონ მათთან მომუშავე ან მათ გამგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე მცხოვრებ წვევამდელთა გამოცხადება შესაბამის გამწვევ უბნებში სამხედრო განყოფილების ბრძანებით დაწესებულ ვადებში.

6. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში 1992 წლის 30 აპრილამდე შეიქმნას შესაბამისი გამწვევი კომისიები, რომლებშიც შევიდნენ რაიონებისა და ქალაქების გამგეობათა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, შინაგან საქმეთა და სამხედრო განყოფილებათა წარმომადგენლები. კომისიის შექმნისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ მოსახლეობას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებებით. გამწვევი კომისიის ხელმძღვანელობა დაევალოს ადგილობრივ სამხედრო განყოფილებათა უფროსებს.

7. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამწვევი კომისიების მუშაობის ხელშეწყობისა და საქმიანობის კონტროლისათვის შეიქმნას რესპუბლიკური გამწვევი კომისია, რომლებშიც უნდა შევიდნენ რესპუბლიკის მთავრობის, თავდაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები.

8. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ (ი. მეგრელაძე) განიხილოს და მოამზადოს სპეციალური მითითება და რეკომენდაციები რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სამედიცინო დაწესებულებებში სამხედრო სამსახურში გასაწვევი კონტინგენტის ჯანმრთელობის შესამოწმებლად და საჭიროების შემთხვევაში მათი სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის გამოსაკვლევად. გამწვევი უბნების საექიმო კომისიები დაკომპლექტდეს მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტებით.

9. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ (ა. ჩხეიძე) უზრუნველყოს წვევამდელთა გადაყვანა ადგილობრივ სამხედრო განყოფილებათა შეკვეთების და განაცხადების თანახმად.

10. საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება ახალგაზრდა რეზერვის ოფიცრებისა და წვევამდელების გასაწვევად, სამხედრო ბეგარის მოსახდელად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში.

ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებმა გასაწვევ უბნებში დაიცვან წესრიგი და უზრუნველყონ იმ წვევამდელთა ძებნა, რომლებიც თავს აარიდებენ სამხედრო ბეგარას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ინტენსიური პროპაგანდა გაუწიოს ძალიან ცოტა ძალებში საძხედრო საძსახურისათვის წვევამდელთა ძიძახდებასა და გაწვევას, აგრეთვე საძხედრო შეხვედრების, ხაწილების და სასწავლო დაწესებულებების ოფიცრებით დაკომპლექტებას.

12. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ (ლ. შარაშენიძე) განახორციელოს წვევამდელთა გაწვევა ექსტერიტორიული პრინციპით და ეროახდინოს სამხედრო ნაწილებში მათი მიღება და განაწილება რეგიონების მიხედვით, ეტაპობრივად, ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს ცალკე გეგმის მიხედვით.

13. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობამ, რაიონებისა და ქალაქების გამგეობებმა სათანადო მუშაობა გასწიონ წვევამდელთა გასაწვევად მომზადებისა და გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებისათვის, რის შესახებაც პერიოდულად მოახსენონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

14. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველომ (თ. პაპავა) კონტროლი გაუწიოს რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებათა მუშაობას ახალგაზრდა რეზერვის ოფიცერთა და წვევამდელთა მომზადებისა და გაწვევის მიმდინარეობის მხრივ.

15. გაგრძელდეს სათანადო მუშაობა რეზერვის ოფიცრების, ზემდეგების, სერჟანტების და რიგითების შესარჩევად და მათი ხელშეკრულებით ჩარიცხვა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სწრაფი რეაგირების კორპუსის ნაწილებში.

16. ყოფილი საბჭოთა სამხედრო კომისარიატების გაუქმებასთან დაკავშირებით, რის გამოც დროულად ვერ ჩატარდა ჭაბუკთა მიწერა გამწვევ უბნებზე, რაიონის (ქალაქის) სამხედრო განყოფილებებმა ამ მიზნით დაგეგმილი ღონისძიებანი განახორციელონ მიმდინარე წლის 1 ივლისამდე.

17. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს (ლ. შარაშენიძე).

18. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ბიერ წარმოდგენილი რესპუბლიკური გამწვევი კომისიის შემადგენლობა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 450

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის გამწვევი კომისიის

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

თ. პაპავა — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს უფროსი — პოლკოვნიკი — კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები:

ს. ადამია — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის ეროვნული უშიშროების და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის საკითხთა სახელმწიფო მრჩეველი.

მ. ღუდუშაური — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსი.

კ. კვირკველია — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი.

ჯ. კორძაია — საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

88 საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსათვის მიზნობრივი დანიშნულების არა საბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდების შესაქმნელად ახალი ნორმატივების დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს შუამდგომლობა და ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს გაითვალისწინონ 1992 წლის 1 აპრილიდან მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მიერ გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში დანახარჯები ამ თვითღირებულების პროცენტულად ანარიცხების სახით ზემოაღნიშნული მართვის ორგანოების მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალურ ფონდებში მათი შემდგომი გადარიცხვისათვის შემდეგი ოდენობით:

— საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრო — 0,95;

— საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო — 1,5.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 5 სექტემბრის № 716 დადგენილების 1-ლ პუნქტში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 458

ეროვნული ბიბლიოთეკა

89 საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტისაგან კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტის გამოყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტს გამოეყოს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტს ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

3. კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტი დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს.

4. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს ორი კვირის განმავლობაში გადაწყვიტონ შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირებასთან დაკავშირებული საკადრო, სტრუქტურული და ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 459

ეროვნული ბიბლიოთეკა

90 ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული არასაცხოვრებელი ფართობის გაცემის წესის შესახებ

ქალაქ თბილისში არასაცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და საიჯარო ვადასახადის სატარიფო განაკვეთების მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს ქალაქ თბილისის მერიას დააწესოს მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართობით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განაკვეთები.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არასაცხოვრებელი ფართობების საიჯარო ქირის განაკვეთების ნაწილში, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 11 ოქტომბრის № 778 განკარგულების მე-3 პუნქტი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 461

ეროვნული ბიბლიოთეკა

91 სახელმწიფო საწარმო — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენის“ წესდების დამტკიცების შესახებ

„თბილისის საგვირაბო მშენებლობის სამმართველო „თბილგვირაბმშენის“ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენად“ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 24 ოქტომბრის № 808 დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სახელმწიფო საწარმო — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენის“ თანდართული წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 463

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 24 აპრილის № 463
დადგენილებით

სახელმწიფო საწარმო — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო საწარმო — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენი“ (შემდგომში ფირმა „თბილმეტრომშენი“) დაფუძნებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ და იმყოფება მის გამგებლობაში, იგი გაერთიანებულია საქართველოს რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსში, ევალება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა და სპეციალური სტრატეგიული მნიშვნელობის მიწისქვეშა, საინჟინრო ნაგებობის დაპროექტება და აგება.

„თბილმეტრომშენი“ არის სამეურნეოანგარიშიანი სახელმწიფო დამოუკიდებელი სამშენებლო-სამონტაჟო საწარმო, აქვს იურიდიული პირის სტატუსი. მის შემადგენლობაში შედიან შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: № 5, № 9, № 32 საგვირაბო რაზმები, საქალაქო-საბინაო მშენებლობის სამმართველო, საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველო, ავტოსატრანსპორტო კანტორა, რკინა-ბეტონისა და ლითონკონსტრუქციების ქარხანა, მექანიზაციის სამმართველო, მეტროსპეცსამონტაჟო სამმართველო, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, დამხმარე მეურნეობისა და მუშათა მომარაგების სამმართველო, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო, გასამხედროებული სამთო მაშველი ნაწილების შტაბი.

2. ფირმა „თბილმეტრომშენი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და ამ წესდებით, რომელიც შედგენილია „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის შესაბამისად.

3. „თბილმეტრომშენის“ სრულ სამეურნეო გამგებლობაშია საკუთარი და მისთვის განკუთვნილი სახელმწიფო ქონება. იგი თავის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას წარმართავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესაბამისად. ადგენს დამოუკიდებელ ბალანსს, აქვს მრგვალი ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით და დასახელების აღნიშვნით, უფლებამოსილია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

4. ფირმა „თბილმეტრომშენის“ გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულები არსებობენ იურიდიული პირის უფლების გარეშე, მათ დებულებებს ამტკიცებს ფირმა „თბილმეტრომშენი“ დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ფირმა „თბილმეტრომშენის“ ქონება

1. ფირმა „თბილმეტრომშენის“ ქონება შედგება სახელმწიფოს მიერ გაცოყოფილი და საკუთარი ძირითადი ფონდებისაგან, აგრეთვე საბრუნავი საშუალებებისაგან, რომელთა ღირებულება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსში.

2. ფირმა „თბილმეტრომშენის“ ქონების შექმნის წყაროა:

ა. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან და სხვა სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები;

ბ. ფასიანი ქაღალდებიდან (აქციები და სხვა), გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი;

გ. კაპიტალური დაბანდებები ბიუჯეტიდან;

დ. ბანკებისა და სხვა კრედიტორების მიერ გაცემული კრედიტები.

3. ფირმა „თბილმეტრომშენი“ საწარმოო და ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგად მიღებული მოგების ხარჯზე, დადგენილი წესით, ბიუჯეტში გადასახადის შეტანის შემდეგ, ქმნის საფინანსო რეზერვს, წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის სოციალური განვითარებისა და სხვა ფონდებს.

4. ფირმა „თბილმეტრომშენის“ საკუთარი საბრუნავი საშუალებების საერთო ოდენობა (ნორმატივი), მათი ზრდა და შემცირება განისაზღვრება საწარმოო პროგრამიდან გამომდინარე და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯისა და მარაგის დამტკიცებული ნორმების საფუძველზე.

ფირმა „თბილმეტრომშენის“ ჭარბი საბრუნავი საშუალებები არ ამოიღება ზემდგომი ორგანოს მიერ და გადადის შემდგომ წელში.

ფირმა „თბილმეტრომშენი“ თავის საბრუნავ საშუალებებს უნაწილებს სტრუქტურულ ერთეულებს მათი საწარმოო პროგრამებისა და სასაქონლო მატერიალური რესურსების ხარჯვისა და მარაგების დამტკიცებული ნორმების საფუძველზე.

5. მოქმედი ნორმების საფუძველზე ფირმა „თბილმეტრომშენი“ აწარმოებს თავისი ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ანარიცხებს (მათი სრული აღდგენისათვის). დროებით გამოუყენებელი შენობა-ნაგებობანი, საწარმოო, სასაწყობო და სხვა დანიშნულების სათავსოები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ობიექტები შეუძლია გადასცეს სხვა ორგანიზაციებს იჯარით, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ფირმა „თბილმეტრომშენის“ ვალდებულებისათვის, ფირმა „თბილმეტრომშენი“ პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ფირმა „თბილმეტრომშენის“ მართვა

1. ფირმა „თბილმეტრომშენს“ მართავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი პირი — ფირმის ხელმძღვანელი (პრეზიდენტი) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის და ფირმის წესდების საფუძველზე.

ფირმა უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი მართვის ორგანოების სტრუქტურა და მათი შესანახი ხარჯები.

2. ფირმა „თბილმეტრომშენის“ ხელმძღვანელს (პრეზიდენტს) ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, დანიშვნისას ხელმძღვანელი (პრეზიდენტი) ფირმის სახელით დებს კონტრაქტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, სადაც განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობა, პასუხისმგებლობა ზემდგომი ორგანოსა და ფირმის მუშაკთა მიმართ, შრომის ანაზღაურების პირობები, კონტრაქტის ვადა და დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების პირობები.

3. ფირმა „თბილმეტრომშენის“ ხელმძღვანელი (პრეზიდენტი) დამოუკიდებლად წყვეტს ფირმის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს (ზემდგომი ორგანოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების გამოკლებით), კერძოდ:

ა. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თავის მოადგილეებს (ვიცე-პრეზიდენტებს) მართვის აპარატისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და მუშაკებს, განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობას.

ბ. ადგენს სტრუქტურულ ერთეულებთან შიგასაწარმოო ურთიერთობის წესებს, წყვეტს ყველა სადავო საკითხს.

გ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აყალიბებს ფირმის მართვის ორგანოს — საბჭოს, რომლის შემადგენლობას უთანხმებს ზემდგომ ორგანოს.

4. ფირმა „თბილმეტრომშენის“ საბჭო ძირითადად:

ა. განსაზღვრავს ფირმის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგად მიმართულებას და სუფთა მოგების განაწილებას;

ბ. იღებს გადაწყვეტილებებს ფასიანი ქაღალდების (აქციების) გამოშვებისა და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მათი შეძენის შესახებ;

გ. წყვეტს საკითხებს ასოციაციებში, გაერთიანებებში, კავშირებში შესვლის, გამოსვლის შესახებ, საგარეო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის შესახებ სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ;

დ. იხილავს წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციებს ადმინისტრაციას და შრომით კოლექტივებს შორის და იღებს ზომებს მდგომარეობის მოწესრიგებისათვის;

ე. არ მონაწილეობს ადმინისტრაციის ოპერატიულ-განმკარგულებელ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ფირმა „თბილმეტრომშენის“ ძირითადი ამოცანები, უფლება-მოვალეობანი

1. ფირმა „თბილმეტრომშენის“ ძირითადი ამოცანებია:

ა. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს თბილისის მეტროპოლიტენის ობიექტებისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული და სპეციალური დანიშნულების სხვა მიწისქვეშა და საინჟინრო ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და სიმძლავრეთა ამოქმედების სახელმწიფო შეკვეთები;

ბ. სრულყოს სამშენებლო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის, დაგეგმვის, სამეურნეო ანგარიშის საქმიანობა, შეამციროს პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) თვითღირებულება, აამაღლოს რენტაბელობის დონე;

გ. გაზარდოს შრომისნაყოფიერება, შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდებისა და მართვის ეფექტიანი სტრუქტურების დანერგვის, სამუშაოთა წარმოების უსაფრთხო მეთოდების გამოყენების, შრომის ანაზღაურების ფორმებისა და სისტემების სრულყოფის, მატერიალური სტიმულირების განვითარების საფუძველზე;

დ. განახორციელოს გარემოს დაცვის აუცილებელი ღონისძიებანი;

ე. შექმნას ფირმის სტრუქტურულ ერთეულებში სტაბილური შრომითი კოლექტივები და შეასრულოს ამ კოლექტივების სოციალური განვითარების ფართო პროგრამა, განსაკუთრებით საკუთარი ბინათმშენებლობის გაძლიერების და ცხოვრების დონის ამაღლების გზით;

ვ. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის პროგრამებისა და დავალებების მიხედვით შეასრულოს ქ. თბილისში და რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფირმის შესაბამისი ხასიათის სამუშაო, მათ შორის გამოწვეული ექსტრემალური სიტუაციით.

2. ფირმა „თბილმეტრომშენს“ უფლება აქვს:

ა. სახელმწიფო შეკვეთის გარდა მიიღოს გარეშე ორგანიზაციების შეკვეთები, გამოიყენოს მათ მიერ მოწოდებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

ბ. საბაზრო ურთიერთობების გათვალისწინებით გამოიყენოს სამეურნეო საქმიანობის ახალი ეფექტიანი მეთოდები და წარმოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები (იჯარა, სახელმწიფო-სააქციო საწარმო და სხვა);

გ. საჭიროების შემთხვევაში შექმნას ორგანიზაციები (ქვესაწარმოები) იურიდიული პირის და ბანკების დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის უფლებებით, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ დაამტკიცოს მათი წესდება.

დ. დამოუკიდებლად განსაზღვროს შრომის ანაზღაურების ფორმები, სისტემები და ოდენობა, მათ შორის:

— გამომუშავების და სხვა ნორმები;

— შრომის და დასვენების რეჟიმი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, მუშაობის ცვლიანობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუშაკთა სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის წესი.

ე. აწარმოოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, შექმნას ერთობლივი საწარმოები, როგორც რესპუბლიკის ტერიტორიაზე ისე მის ფარგლებს გარეთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საკუთარი კაპიტალური მშენებლობის სფეროში ფირმა „თბილმეტრომშენი" ამუშავებს სათანადო პროგრამებს და საკუთარი ძალებით აშენებს ობიექტებს, ამტკიცებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემას.

4. ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში ფირმა „თბილმეტრომშენი" ადგენს საფინანსო პროგრამას, უზრუნველყოფს პროგრამის შესრულებას, სამეურნეო ანგარიშისა და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, რენტაბელობის დონის ამაღლებას, ატარებს საბრუნავი საშუალებების შენარჩუნებისა და მათი ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს. ფირმას უფლება აქვს თავის საქმიანობაში გამოიყენოს ბანკის კრედიტი, ჩამოწეროს ბალანსიდან გამოუყენებელი ძირითადი ფონდები და უიმედო დებიტორული დავალიანებანი. თავისი საქმიანობის ბუღალტრულ ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას და ანგარიშგებას ფირმა აწარმოებს დადგენილი წესის მიხედვით.

5. ფირმა „თბილმეტრომშენის" სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს ფირმის რევიზორი. საჭიროების შემთხვევაში ფირმის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო.

V. ფირმა „თბილმეტრომშენის" რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ფირმა „თბილმეტრომშენის" რეორგანიზაცია (შერწყმა, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და ლიკვიდაცია წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით. ფირმის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს აგრეთვე სასამართლოსა და საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გაკოტრების შემთხვევაში.

2. ფირმა „თბილმეტრომშენის" ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სალიკვიდაციო კომისიის მიერ, რომელსაც ქმნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ან მისი გადაწყვეტილებით ფირმის ხელმძღვანელობა.

VI. ფირმა „თბილმეტრომშენის" მისამართი, ანგარიშის ნომერი

მისამართი: 380012 ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2, ანგარიში № 0002286702 საქმრეწვმშენბანკის ქ. თბილისის დიდუბის ფილიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

92 რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში კულტმასობრივი, აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის რეორგანიზაციის შესახებ

რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და სახელმწიფო საბინაო ფონდის პრივატიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლდნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში კულტმასობრივი, აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ორგანიზაციისა და ამ სფეროში დასაქმებულ ინსპექტორ-ორგანიზატორთა, პედაგოგ-ორგანიზატორთა და ფიზკულტურის მეთოდისტ-ინსპექტორების შენახვის ხარჯებისაგან.

2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა თავიანთ ფინანსურ და მატერიალურ შესაძლებლობათა ფარგლებში უზრუნველყონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში კულტმასობრივი, აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ორგანიზაცია, სპორტული და საბავშვო მოედნების, აგრეთვე წრეობრივი მუშაობისათვის განკუთვნილი სათავსებისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობა.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 მაისის № 301 დადგენილება „სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორის დებულების შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 464

ეროვნული ბიბლიოთეკა

93 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, საქართველოს რესპუბლიკაში ყოფილი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ძვირფასი ლითონების სამმართველოს სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის გაუქმების მომენტში არსებული აქტივებითა და პასივებით.

2. დამტკიცდეს დებულება სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ და დაევალოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაამტკიცოს სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის წესდება.

3. ამოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1991 წლის 12 აპრილს დამტკიცებული საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის წესდებიდან:

II თავის 2.3. პუნქტის მე-13 აბზაცი;

IV თავის 4.4. პუნქტის მე-4 აბზაცი;

V თავის 5.2. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

4. დაევალოს ქ. თბილისის მერიას განიხილოს სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის განთავსებისათვის საჭირო ფართობის გამოყოფის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 465

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 24 აპრილის № 465
დადგენილებით

დებულება

სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო სასინჯ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მეშვეობით.

1.2. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი.

სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე, აქვს გერბიანი ბეჭედი შესაბამისი დასახელებით, ანგარიში ბანკებში და სარგებლობს იურიდიული პირის სხვა უფლებებით, კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს აქტებით და ამ დებულებით.

2. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ფუნქციები

სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას ევალება:

2.1. ძვირფასი ლითონებისა და მათი შენადნობებით დამზადებული საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობების, როგორც სამამულო წარმოების, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნახევარფაბრიკატების, შენადნობებისა და ზოდების გასინჯვა, ანალიზი (ძვირფასი ლითონების შემცველობაზე) და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი სინჯების დამადასტურებელი სახელმწიფო დაღით მათი დადაღვა;

2.2. ძვირფასი ლითონების შემცველობის დასადგენად არბიტრაჟული და საკონტროლო ანალიზების ჩატარება ნაკეთობებში, ზოდებში, ნახევარფაბრიკატებში, სარჩილში, მონეტებში, გალვანოდანაფარებში, ნარჩენებში, ნამწვში, ყველა სახის ქიმიურ შენაერთებში;

2.3. სასინჯი რეაქტივების დამზადება იმ სახელმწიფო, კოოპერაციული, საიჯარო, აქციონერული, ერთობლივი (შერეული) საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დაკვეთით, რომლებიც იყენებენ და მოიხმარენ ძვირფას ლითონებს;

2.4. ანალიტიკური მიზნებისათვის ლაბორატორიულ პირობებში ძვირფასი ლითონების ლნობა და აფინაჟი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. სინჯის განმსაზღვრელი სახელმწიფო დაღის ანაბეჭდების ექსპერტიზა;

2.6. იმ ძვირფასი თვლების, ძვირფასი ლითონებისა და მათი გამოყენებით დამზადებული დეტალებისა და ნაკეთობების ამოღება საანალიზოდ და ექსპერტიზისათვის, რომლებიც არ პასუხობენ სასინჯი ზედამხედველობის დებულების მოთხოვნებს;

2.7. ძვირფასი ლითონების, ძვირფასი თვლებისა და მათი ნაკეთობების ტექნიკური ექსპერტიზების ჩატარება მათში ძვირფასი ლითონების დასახელების, სინჯის და მასის განსაზღვრისათვის, აგრეთვე ძვირფასი თვლების მახასიათებლების დადგენისათვის;

2.8. საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდში შეშოსულ ფასეულობებსა და ჩამბარებლის მიერ დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ ხარისხსა და წონას შორის არსებულ განსხვავებათა გამოვლენა;

2.9. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნიხრის შესაბამისად ძვირფასი ლითონების ნაკეთობები გასინჯვის, ანალიზის და დადაღვის, აგრეთვე ექსპერტიზისა და სხვა სამუშაოების ჩატარებისათვის შესაბამისი გადასახადის გადახდევინება;

2.10. კონტროლის დაწესება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში:

— ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების მიღების, გამოყენების ხარჯვის, შესყიდვის, გაყიდვის, გირაოდ მიღების და ინდივიდუალურ მეწარმეობაში მათი გამოყენების მართლზომიერებაზე;

— ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების აღრიცხვის, შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფაზე;

— ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების დანაკლისისა და ზენორმატიული დანაკარგების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე;

— ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების ეკონომიისა და მათი არაძვირფასი ლითონებით შეცვლის მიმართულებით განხორციელებულ ყველა სამეცნიერო, კვლევით, საცდელ და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე;

— ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების ნარჩენებისა და ჯართის მთლიანად შეგროვებასა და სახელმწიფო ფონდში დროულად ჩაბარებაზე.

2.11. მოქმედი კანონმდებლობით დაჯარიმება იმ თანამდებობის პირებისა, რომლებმაც დაარღვიეს ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების ან მათი შემცველი ნაკეთობის მიღების, ხარჯვის, აღრიცხვის, შენახვისა, ნარჩენებისა და ჯართის შეგროვება-ჩაბარების წესები.

3. საქართველოს რესპუბლიკაში ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაკეთობებისათვის სინჯის დადგენა

3.1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ყველა საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობანი, რომლებიც განკუთვნილია გასაყიდად ან შესრულებულია კერძო დაკვეთით, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს რესპუბლიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილ რომელიმე სინჯს და აუცილებლად უნდა იყოს დადაღული (მარკირებული) სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში.

3.2. ძვირფას ლითონებს განეკუთვნება:

ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (პალადიუმი, როდიუმი, ირიდიუმი და ოსმიუმი).

ძვირფასი ლითონების ნაკეთობად აღიარებულია ნაკეთობანი, რომლებიც დამზადებულია ძვირფასი ლითონების შენადნობებისაგან ან ძვირფასი ლითონებისა და ფერადი ლითონების შენადნობებისაგან.

3.3. შენადნობების ღირსება, რომლისაგანაც დამზადებულია ნაკეთობა, განისაზღვრება სინჯით, რომელიც გამოხატავს ძვირფასი ლითონის წონითი ერთეულის რაოდენობას შენადნობების ათასეულ წონით ერთეულში.

3.4. საქართველოს რესპუბლიკაში დგინდება შემდეგი სინჯები:

საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებისათვის:

პლატინის	950	(ცხრაას ორმოცდაათი)
ოქროსი	375	(სამას სამოცდათხუთმეტი)
ოქროსი	585	(ხუთას ოთხმოცდახუთი)
ოქროსი	750	(შვიდას ორმოცდაათი)
ოქროსი	958	(ცხრაას ორმოცდათვრამეტი)
ვერცხლის	830	(რვაას ოცდაათი)
ვერცხლის	875	(რვაას სამოცდათხუთმეტი)
ვერცხლის	925	(ცხრაას ოცდახუთი)
ვერცხლის	960	(ცხრაას სამოცი)
პალადიუმის	500	(ხუთასი)
პალადიუმის	850	(რვაას ორმოცდაათი)

ოქროსა და ვერცხლის ვარაყისათვის (ფურცლოვანი ოქრო და ვერცხლი) — 910-დან 1000-მდე (ცხრაას ათიდან ერთი ათასამდე) ყოველი მეათე სინჯის შემდეგ: 910, 920, 930, 940, 950, 960, 970, 980, 990, 1000.

მწვანე ოქროსათვის — 750 (შვიდას ორმოცდაათი).

3.5. ძვირფასი ლითონების იმ ნაკეთობათა წარმოება, გაყიდვა ან საზღვარგარეთიდან სარეალიზაციოდ შემოტანა, რომელიც არ შეესაბამება ერთ რომელიმე დადგენილ სინჯს, ყოვლად დაუშვებელია.

3.6. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში აუცილებელი დადაღვისაგან (მარკირებისაგან) თავისუფლდება:

3.6.1. ძვირფასი ლითონების ნაკეთობანი, რომელთაც აქვთ ისტორიული ან არქეოლოგიური მნიშვნელობა, აგრეთვე ორდენები, მედლები და მონეტები;

3.6.2. ოქროსა და ვერცხლის ზარნიშნიანი (ინკრუსტაცია) იარაღი, ვაზა, ლანგარი, ზარდახშა, რელიგიური დანიშნულების ნივთი და სხვ;

3.6.3. ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული სამეცნიერო, ტექნიკური, სამედიცინო და სხვა სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოები, ინსტრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძენტები, ლაბორატორიული ჭურჭელი და სხვა ნაკეთობანი. აღნიშნული სახის ნაკეთობებს უკეთდება მარკირება, ეტიკეტი ან ტვიფრი დამამზადებელი საწარმოს მიერ.

შენადნობების შემადგენლობანი, რომლითაც მზადდება აღნიშნული სახის ნაკეთობანი, რეგლამენტირებულია შესაბამისი სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით.

4. ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების გადამმუშავებელი და მომხმარებელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობანი

4.1. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი, საიჯარო აქციონერული, ერთობლივი (შერეული) საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, სამხედრო ნაწილი და ქვედანაყოფი, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმენი, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ძვირფას ლითონებთან და ძვირფას თვლებთან, ვალდებულნი არიან:

4.1.1. მიიღონ სპეციალური ნებართვა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში.

ზემოთ აღნიშნული იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ სპეციალური ნებართვის აღების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

4.1.2. აწარმოონ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი თვლებისა და მათი ნარჩენების მკაცრი აღრიცხვა;

4.1.3. მიზნობრივად გამოიყენონ და ხარჯონ ძვირფასი ლითონები და ძვირფასი თვლები, მკაცრად დაიცვან მათი ეკონომია;

4.1.4. ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების, მათი გამოყენებით დამზადებული ნაკეთობების, აგრეთვე მათი ნარჩენების შენახვა განახორციელონ მოქმედი ინსტრუქციებისა და წესების შესაბამისად;

4.1.5. დროულად ჩააბარონ სახელმწიფო ფონდში გამოუყენებელი ძვირფასი ლითონები და ძვირფასი თვლები, მათი ნარჩენები და ჯართი.

4.2. საიუველირო და სხვა საწარმოები, საიუველირო სახელოსნოები სალონები, აგრეთვე ცალკეული პირები, რომლებიც ძვირფასი ლითონებისაგან და ძვირფასი თვლებისაგან ამზადებენ ნაკეთობებს, ვალდებული არიან იქონიონ სახელობითი დაღი, რომლის ნიშანი უდგინდებათ სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ. სახელობითი დაღის ანაბეჭდი დამამზადებლის მიერ ისმება ყველა დამზადებულ ნაკეთობაზე, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად ან დამზადებულია კერძო დაკვეთით.

4.3. აფინაჟისა და სპეცშენადნობების საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის დადაღვის (მარკირების) წესი დგინდება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სპეციალური ინსტრუქციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.4. საიუველირო და სხვა საწარმოები, საიუველირო სახელოსნოები, სალონები და კერძო პირები ყოველწლიურად წარადგენენ სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში თავიანთი სახელობითი დაღის ანაბეჭდებს.

სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში რეგისტრაციაში გაუტარებელი სახელობითი დაღის გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

4.5.4.1. პუნქტში აღნიშნული ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლებს გაუწიოს ყოველგვარი დახმარება მათზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

5. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფლებები

სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას ენიჭება უფლება:

5.1. ჩაუტაროს ტექნოლოგიური ხასიათის რევიზიები, შემოწმებები და გამოკვლევები — სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ, საიჯარო აქციონერულ, ერთობლივ (შერეულ) საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სამხედრო ნაწილებსა და ქვედანაყოფებს, აგრეთვე მეწარმეებს, რომლებიც ეწევიან ძვირფასი ლითონებისა და თვლების მიღებას, გადამუშავებას და გამოყენებას.

5.2. ჩაატაროს რევიზიები აფინაჟის საწარმოებში, მოითხოვოს მათგან დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ძვირფასი ლითონების მიწოდებას, ამოღებას, გადამუშავებას, შენახვას, აღრიცხვას და გაცემას.

ზემდგომი ორგანოს სპეციალური დავალებით ჩაატაროს რევიზია საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდში ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების მიღების, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის მართლზომიერებაზე.

5.3. აწარმოოს ყველა სარევიზიო ობიექტზე სათავსების, სამუშაო ადგილების, საწყობების, ძვირფასი ლითონების, ძვირფასი თვლებისა და მათი ნაკეთობების შესანახი სხვა ადგილების დათვალიერება. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა უხეში დარღვევები მიღების, ხარჯვის, აღრიცხვის, შენახვის, ჯართისა და ნარჩენების შეგროვების დადგენილ წესებში დალუქოს ისინი.

5.4. შეამოწმოს და საჭირო შემთხვევაში დალუქოს ბუღალტრული წიგნები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვა დოკუმენტები, რომელიც ეხება ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების, მათი ჯართისა და ნარჩენების მიღებას, ხარჯვას, აღრიცხვას და შენახვას.

5.5. მოსთხოვოს თანამდებობის პირებს ახსნა-განმარტებები და ცნობები, რომელიც ეხება ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების, მათი ნაკეთობების, ჯართისა და ნარჩენების გამოყენების, ხარჯვის, აღრიცხვის და შენახვის საკითხებს.

5.6. ამოიღოს შესამოწმებლად და საანალიზოდ:

— ნაკეთობანი, რომლებიც ექვემდებარება დადაღვას, მაგრამ არა აქვთ სინჯის აღმნიშვნელი დაღის ანაბეჭდი;

მუხ. 93
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნაკეთობანი, რომელთაც აქვთ სინჯის აღმნიშვნელი დაღის ანაბეჭდი, ნაგრამ ეჭვს იწვევს თავის უტყუარობაში, გაურკვეველი რელიეფის გამო, რაც გამოწვეულია ნაკეთობის დაზიანებით, წაშლით ან სხვა მიზეზებით;

ნაკეთობანი, სადაც სინჯის აღმნიშვნელი დაღი მირჩილულია ან დადაღულია დადგენილი წესის გაუთვალისწინებლად;

— ნაკეთობანი, რომლის სინჯი დადგენილზე დაბალია ან ამოვსებულია ზედმეტი რაოდენობის სარჩილით ან არაძვირფასი ლითონით;

— ძვირფასი თვლები, რომელნიც იწვევენ ეჭვს თავის ჭეშმარიტებაში.

5.7. დადგენილი წესით აწარმოოს სინჯისა და ნიმუშების აღება ძვირფასი ლითონების შემცველი პროდუქციიდან წარმოებისა და სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ლაბორატორიებში საანალიზოდ:

— ზოდებიდან, მავთულებიდან, ფირფიტებიდან და სხვა მასალებიდან, რომელიც გათვალისწინებულია ნახევარფაბრიკატებისა და ნაკეთობების დასამზადებლად;

— სამრეწველო და ანალიზური მიზნებისათვის გათვალისწინებული ყველა სახის ქიმიური შენაერთებიდან;

— ნაკეთობებიდან და კვანძებიდან;

— ძვირფასი ლითონების შემცველი ჯართიდან და ნარჩენებიდან, აგრეთვე სხვა სახის მასალებიდან.

5.8. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლები მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას პირადი მოწმობისა და შესაბამისი მიწერილობის წარდგენისთანავე დაუბრკოლებლივ დაიშვებიან წარმოებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მათი დაქვემდებარებისა და მუშაობის რეჟიმის მიუხედავად.

5.9. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია სარევიზიო ობიექტების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებს წარუდგენს შესაბამის მოთხოვნებს რევიზიის შედეგად გამოვლენილ ნაკეთობათა აღმოსაფხვრელად და აკონტროლებს მათ შესრულებას.

5.10. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებისას დადგინდა, რომ სასინჯი ზედამხედველობის წესია დარღვევა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები ასეთ დარღვევაზე გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

თუ შემოწმებისას ადგილი არა აქვს სისხლის სამართლის დანაშაულს, ნაშინ ის ნივთები, რომლებიც არ პასუხობს ამ დებულების მოთხოვნებს, იმსხვრევა და შემდგომში უბრუნდება მფლობელს სათანადო აქტის გაფორმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94 საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის კურსების რეორგანიზაციის შესახებ

რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კერძო საწარმოების, კოოპერატივებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებების მუშაკთა სამოქალაქო თავდაცვაში მომზადების ხარისხის ამაღლების, კურსების მასწავლებელთა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების უკეთ შერჩევისა და საფინანსო-მატერიალური ხარჯების ეკონომიის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს 1992 წლის 1 აპრილიდან საქართველოს რესპუბლიკაში არსებული სამოქალაქო თავდაცვის 27 კურსი და მათ ნაცვლად შეიქმნას რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების, საქალაქო და სარაიონთაშორისო რეგიონალური სამოქალაქო თავდაცვის II კურსი, დანართის თანახმად.

ამასთან დაკავშირებით შემცირდეს სამოქალაქო თავდაცვის კურსების მუშაკთა საერთო რაოდენობა 357-დან 159 ერთეულამდე და ამით დაზოგილი ხელფასის ფონდის 70 პროცენტი გამოყენებულ იქნეს ახლად შექმნილი სამოქალაქო თავდაცვის კურსების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების გასაუმჯობესებლად.

2. საქალაქო და რაიონული სამოქალაქო თავდაცვის გაუქმებული კურსების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გადაეცეთ სამოქალაქო თავდაცვის შესაბამის შტაბებს საკონსულტაციო პუნქტების შესაქმნელად.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბმა:

— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით გადაწყვიტოს საქალაქო და სარაიონთაშორისო რეგიონალური სამოქალაქო თავდაცვის კურსების დაფინანსების საკითხი;

— უზრუნველყოს რეგიონალური სამოქალაქო თავდაცვის კურსების ხელმძღვანელთა, მასწავლებელთა და სპეციალისტთა თანამდებობებისა და ავტოკლუბების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება;

— *განსაზღვროს თანამდებობის პირთა კატეგორიები, რომლებმაც უნდა გაიარონ სამოქალაქო* თავდაცვაში მომზადება რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკების, საქალაქო და სარაიონთაშორისო რეგიონალურ სამოქალაქო თავდაცვის კურსებზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 466

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 24 აპრილის № 466
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების, საქალაქო და სარაიონთაშორისო რეგიონალური სამოქალაქო თავდაცვის კურსებისა

კურსების დასახელება	მიმაგრებული რაიონების რაოდენობა	მიმაგრებული რაიონებისა და ქალაქების დასახელება
საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის კურსები	—	რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელი შემადგენლობის მომზადება
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	8	ქალაქები სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი, გალის, გულრიფშის, გუდაუთის და ოჩამჩირის რაიონები
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	9	ქალაქი ბათუმი, ქედის, ჭობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევის, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონები
ქ. თბილისი	13	ქალაქ თბილისის რაიონები, დუშეთის, მცხეთის და ყაზბეგის რაიონები
ქ. რუსთავი	7	ქალაქი რუსთავი, მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს და წალკის რაიონები
ქ. ფოთი	9	ქალაქი ფოთი, ზუგდიდის, აბაშის, მესტიის, მარტვილის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონები
ქ. ქუთაისი	9	ქალაქები ქუთაისი, ტყიბული, წყალტუბოს, ბაღდათის, ვანის, ლენტეხის, სამტრედიის, ხონის და ცაგერის რაიონები
ქ. ზესტაფონი	7	ქალაქი ჭიათურა, ზესტაფონის, ამბროლაურის, ონის, თერჯოლის, საჩხერის და ხარაგაულის რაიონები
ქ. გორი	9	ქალაქი ცხინვალი, გორის, ჯავის, ახალგორის, ყორნისის, ქარელის, კასპის, ხაშურის რაიონები
ქ. თელავი	9	გურჯაანის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთის და დედოფლისწყაროს რაიონები
ქ. ახალციხე	6	ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის და ნინოწმინდის რაიონები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

95 სახელწოდებების „კოლმეურნეობისა“ და „საბჭოთა მეურნეობის“ შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და „საბჭოთა მეურნეობას“ ეწოდოს „სახელმწიფო მეურნეობა“.

2. რჩევა მიეცეს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს უახლოეს პერიოდში განიხილოს საკითხი სახელწოდება „კოლმეურნეობის“ შეცვლის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 467

96 საქართველოს რესპუბლიკაში ფასების ლიბერალიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ „ფასების ლიბერალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 29 იანვრის № 83 დადგენილებით რესპუბლიკაში 1992 წლის 1 თებერვლიდან განხორციელდა ფასების (ტარიფების) ადმინისტრაციული რეგლამენტაციისაგან განთავისუფლების ფართო მასშტაბის ღონისძიებანი, საწარმოო დანიშნულებისა და სამომხმარებლო საქონლის (მომსახურების) უდიდესი ნაწილის რეალიზაცია ხდება თავისუფალ (საბაზრო) ფასებში. ამასთან რესპუბლიკაში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებისა და სამანეთო ზონაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების პირობებში რესპუბლიკის ინტერესების დაცვის მიზნით, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, აუცილებელია ფასების ლიბერალიზაციის დამატებითი ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის საწარმოებსა და გაერთიანებებს, ყველა იურიდიულ პირს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიუხედავად, ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა სახის პროდუქციისა და საქონლის სამუშაოებისა და მომსახურების (გარდა ამ დადგენილების დანართში ჩამოთვლილი სახეებისა) რეალიზაცია 1992 წლის 1 მაისიდან მოახდინონ თავისუფალი (საბაზრო) ფასებით, რომლებიც ყალიბდებიან წარმოების (რეალიზაციის) ხარჯების, მოქმედი საგადასახადო სისტემისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში წარმოქმნილი ბაზრის კონიუნქტურის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვა ძოხდეს თავისუფალ (საბაზრო) ფასებში.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 29 იანვრის № 83 დადგენილების 1-ლი პუნქტი და № 1 და 2 დანართები.

2. თავისუფალი კონკურენციის განუვითარებლობის, წარმოების მონოპოლიზმისა და საყოველთაო დეფიციტის პირობებში ფასწარმოქმნაში ანარქიის თავიდან აცილების, შინარესპუბლიკური ბაზრის დაცვისა და რესპუბლიკის გარეთ საქონელგაცვლაში ეკვივალენტობის უზრუნველყოფის მიზნით დაევალოთ:

ა) რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

— დეტალურად შეისწავლონ და გააანალიზონ თავიანთ დარგებში თავისუფალი (საბაზრო) ფასების გამოყენების ეკონომიკური შედეგები და სათანადო ინფორმაცია და წინადადებანი ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს;

— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამუშავებული დებულების საფუძველზე ახალი ეკონომიკური პირობების შესაბამისად შეიმუშაონ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულების კალკულაციის დარგობრივი ინსტრუქციები და ორი თვის ვადაში წარუდგინონ ისინი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს შესათანხმებლად;

— განახორციელონ თავიანთი სისტემის საწარმოებში თავისუფალი (საბაზრო) ფასების ფორმირების საერთო მეთოდური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, აგრეთვე დახმარება აღმოუჩინონ მათ რესპუბლიკის გარეშე ბაზრის კონიუნქტურისა და ფასების შესწავლაში, ფასების შესახებ სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფაში.

ბ) რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს:

— თავისუფალი (საბაზრო) ფასების ფორმირება და საქონლის რეალიზაცია მოახდინონ არსებული წესის მკაცრი დაცვით და მათი სამოქმედოდ შემოღებისთანავე (ცვლილებებისას) დაუყოვნებლივ აცნობონ შესაბამის სამინისტროს (უწყებას) დადგენილი წესით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინფორმაცია თავისუფალი (საბაზრო) ფასების შესახებ წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტსა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დადგენილი წესის მიხედვით;

— საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატან პროდუქციაზე ფასების ფორმირებისას გაითვალისწინონ რესპუბლიკაში შემოსატან პროდუქციაზე მომწოდებელთა მიერ დაწესებული ფასები და უზრუნველყონ ეკონომიკურად დასაბუთებული ეკვივალენტობა საქონელგაცვლაში.

3. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა უზრუნველყოს ფასების (ტარიფების) დონეებისა და დინამიკის სისტემატური აღრიცხვა.

4. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ცალკეული დარგების (სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ.) სპეციფიკიდან გამომდინარე, ორი თვის ვადაში დაამუშაონ თავისუფალი (საბაზრო) ფასების ფორმირებისა და გამოყენების დარგობრივი მეთოდური მითითებანი და სამოქმედოდ შემოიღონ ისინი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ.

5. რჩევა მიეცეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აღგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე მიზანშეწონილია:

— უზრუნველყოფილ იქნეს ფასების (ტარიფების) შედარებითი სტაბილურობა დროის გარკვეული პერიოდის (თვე, კვარტალი, სეზონი) განმავლობაში;

— მასობრივი მოხმარების ერთსა და იმავე პროდუქციაზე, საქონელსა და მომსახურებაზე ერთი და იმავე ფასების (ტარიფების) დაწესება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალკეული რეგიონების მიხედვით მათი წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები, აგრეთვე ბაზრის კონიუნქტურა (მაგალითად, საკურორტო ზონაში — საკურორტო სეზონის განმავლობაში) არსებითად განსხვავებულია ობიექტური მიზეზების გამო;

— ფასწარმოქმნისა და მარკეტინგული სამსახურების შექმნა (გაძლიერება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ უმოკლეს ხანში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წინადადებანი ფასწარმოქმნისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების ფორმირების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 470

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 24 აპრილის № 470
დადგენილების დანართი

ნუსხა

იმ პროდუქციის, საქონლისა და მომსახურებისა, რომლებზეც ვრცელდება ფასებისა და ტარიფების პირდაპირი სახელმწიფო რეგულირება

საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია და მომსახურება

ქვანახშირი
ბუნებრივი და თხევადი გაზი
ელექტროენერგია
ძვირფასი ლითონები, მათი შენადნობები, ჯართი და ნარჩენები

სამომხმარებლო საქონელი და მომსახურება

პური
რძე
მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმი, ინვალიდობის პროფილაქტიკისა და ინვალიდთა რეაბილიტაციის ტექნიკური საშუალებები
ბუნებრივი და თხევადი გაზი
ელექტროენერგია
კომუნალური და კავშირგაბმულობის მომსახურების ძირითადი სახეები,
ბინის ქირა
ყველა სახის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

97 ელექტროენერგიის ტარიფების მოწესრიგების შესახებ

ფასების ლიბერალიზაციის პირობებში რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული დარგის ნორმალური მოქმედებისა და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და 1992 წლის 1 აპრილიდან შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს მთავარი საწარმოო სამმართველო „საქმთავარენერგოს“ და საბითუმო გადამყიდველების ელექტროქსელებიდან გაცემული ელექტროენერგიის ტარიფი — ერთ კილოვატსაათზე 2 მანეთი და 43 კაპიკი (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით) ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის, გარდა მოსახლეობისა და მასთან გათანაბრებული მომხმარებლებისა, აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციებისა. ამასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 იანვრის № 47 დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერგიის ტარიფი ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა.

2. შენარჩუნებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 იანვრის № 47 დადგენილებით დაწესებული ელექტროენერგიის ტარიფი:

— მოსახლეობისათვის და მასთან გათანაბრებული მომხმარებლებისათვის — ერთ კილოვატსაათზე 12 კაპიკი (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით) მოქმედი შეღავათების გათვალისწინებით;

— საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ერთ კილოვატსაათზე 52,5 კაპიკი (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით).

3. ანგარიშსწორება საწარმოო სამმართველო „საქმთავარენერგოსა“ და საბითუმო გადამყიდველებს შორის განხორციელდეს ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საწარმოო სამმართველო „საქმთავარენერგოსთან“ ერთად სათბობის ფასებისა და სხვა ხარჯების არსებითი ცვლილებებიდან გამომდინარე, არეგულიროს ელექტროენერგიის ტარიფი 20-პროცენტიანი წლიური ზღვრული რენტაბელობის გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საწარმოო სამმართველო „საქმთავარენერგომ“, სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ელექტროენერგიის ახალი ტარიფების დაყვანა საწარმოებამდე და ორგანიზაციებამდე.

6. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 აპრილი, № 473

ეროვნული ბიბლიოთეკა

98 საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 14 თებერვლის № 156 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოიყო სატყეო მეურნეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქტყემეურნეობა“.

2. დაკმაყოფილდეს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქტყემეურნეობის“ თხოვნა, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან, და გარდაიქმნას იგი საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტად.

3. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, № 1 და № 2 დანართების თანახმად.

4. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის კოლეგია შვიდი კაცის შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად კოლეგიის წევრთა პერსონალური შემადგენლობა.

5. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს იყოლიოს ორი მოადგილე.

6. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და დაქვემდებარებული ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის დეპარტამენტების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა თანამდებობრივი სარგოები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილების შესაბამისად.

7. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 55 კაცით (შენობის დაცვისა და მომსახურე პერსონალის გარეშე) და 1865,0 ათასი მანეთი წლიური შესანახი ხარჯებით, მათ შორის — 1075,0 ათასი მანეთი შრომის ანაზღაურების ფონდით. დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის შენახვა განხორციელდეს დაქვემდებარებული სატყეო მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული ანარიცხების ხარჯზე.

8. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შექმნან შესაბამისი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტები ორმაგი დაქვემდებარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა 15 დღის განმავლობაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დეპარტამენტის დებულების პროექტი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 28 აპრილი, № 474

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 28 აპრილის № 474
დადგენილების დანართი № 1

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა

ხელმძღვანელობა
ხელმძღვანელობასთან არსებული აპარატი
ტყეთმოწყობისა და ტყის რესურსების გამოყენების ორგანიზაციის სამმართველო
ტყის აღდგენის სამმართველო
ტყის დაცვის სამმართველო
კომპლექსური სატყეო-სამეურნეო განყოფილება
დამხმარე სოფლის მეურნეობის განყოფილება
ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველო
კადრების, შრომის დაცვისა და საქმეთა მმართველობის განყოფილება
მექანიზაციისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის განყოფილება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 28 აპრილის № 474
დადგენილების დანართი № 2

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სამეურნეო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სხვა ერთეულების

ნ უ ს ხ ა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი
აჭარის სატყეო მეურნეობა
გაგრის სატყეო მეურნეობა
გალის სატყეო მეურნეობა
გუდაუთის სატყეო მეურნეობა
გულრიფშის სატყეო მეურნეობა
ოჩამჩირის სატყეო მეურნეობა
სოხუმის სატყეო მეურნეობა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი
ქედის სატყეო მეურნეობა
ქობულეთის სატყეო მეურნეობა
შუახევის სატყეო მეურნეობა
ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობა
ხულოს სატყეო მეურნეობა

უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები

ადიგენის სატყეო მეურნეობა
ამბროლაურის სატყეო მეურნეობა
ახალგორის სატყეო მეურნეობა
ახალციხის სატყეო მეურნეობა
ასპინძის სატყეო მეურნეობა
ახმეტის სატყეო მეურნეობა
ბაკურიანის სატყეო მეურნეობა
ბაღდათის სატყეო მეურნეობა
ბოლნისის სატყეო მეურნეობა
ბორჯომის სატყეო მეურნეობა
გურჯაანის სატყეო მეურნეობა
დმანისის სატყეო მეურნეობა
დუშეთის სატყეო მეურნეობა
ვანის სატყეო მეურნეობა
თბილისის სატყეო მეურნეობა
თეთრი წყაროს სატყეო მეურნეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თელავის სატყეო მეურნეობა
თიანეთის სატყეო მეურნეობა
კასპის სატყეო მეურნეობა
კოლხეთის სატყეო მეურნეობა
ლაგოდეხის სატყეო მეურნეობა
ლანჩხუთის სატყეო მეურნეობა
ლენტეხის სატყეო მეურნეობა
მარნეულის სატყეო მეურნეობა
მარტვილის სატყეო მეურნეობა
მესტიის სატყეო მეურნეობა
მცხეთის სატყეო მეურნეობა
ოზურგეთის სატყეო მეურნეობა
ონის სატყეო მეურნეობა
საგარეჯოს სატყეო მეურნეობა
საჩხერის სატყეო მეურნეობა
სიღნაღის სატყეო მეურნეობა
სიონაღის სატყეო მეურნეობა
ქარელის სატყეო მეურნეობა
ქუთაისის სატყეო მეურნეობა
ყვარლის სატყეო მეურნეობა
ყორნისის სატყეო მეურნეობა
ჩოხატაურის სატყეო მეურნეობა
ჩხოროწყუს სატყეო მეურნეობა
ცაგერის სატყეო მეურნეობა
ცხინვალის სატყეო მეურნეობა
წალენჯიხის სატყეო მეურნეობა
ხაიშის სატყეო მეურნეობა
ხაშურის სატყეო მეურნეობა
ხარაგაულის სატყეო მეურნეობა
ხობის სატყეო მეურნეობა
ჯავის სატყეო მეურნეობა
თბილისის მერქნის გადამუშავების კომბინატი
სვანეთის ხე-ტყის დამზადების კანტორა
წალენჯიხის სატყეო სამრეწველო კომბინატი
თბილისის დენდროლოგიური პარკი
თბილისის ეროვნული პარკი
ზესტაფონის სატყეპარკო მეურნეობა
სართიჭალის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა
საქართველოს ტყის თესლის დამზადება-გასაღების საწარმო „საქტყეთესლი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტყის ჯიშთა თესლების საკონტროლო სადგური
მომარაგების საიჯარო საწარმოო სამმართველო „საქტყემომარაგება“
ზუგდიდის მრავალდარგოვანი სამრეწველო სავაჭრო ფირმა „მეტყევე“
ადმინისტრაციულ-დამხმარე ნაგებობათა სამმართველო

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ КАБИНЕТА МИНИСТРОВ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

№ 2, 1992 წელი

გამომცემელი: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VIII-92 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 16,5, სააღრიცხვო თაბახი 16,5

შეკვეთა № 818 ტირაჟი 2415

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის სტამბა